

## **ადგისოსტრატიული აქტი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2023, №4

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)**

2023, №4

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)**

2023, №4

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)**

2023, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარიგა გაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საქონლები

<b>1. ბინადრობის საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება</b>	
საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი ..... 4	
მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე ადმინისტრაციული აქტის კანონიერება ..... 20; 28; 44	
საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება ..... 58	
მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის კანონიერება ..... 66	
<b>2. სხვა ადმინისტრაციული აქტების კანონიერება</b>	
სანდაზმულობის მოტივით აღმასკომის გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის კანონიერება ..... 83	
სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება .... 109	
ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის მოთხოვნის კანონიერება ..... 127	
ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე ბრძანების კანონიერება ..... 160	
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა ..... 179	
სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნისა ჯარიმის დაკისრების კანონიერება ..... 191	

# 1. პირადობის საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება

საქართველოში საინვესტიციო პირადობის ნებართვის  
გაცემაზე ურის თქმის საფუძველი

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-904(23-22)

30 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
გ. მაკარიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### აღნერილობითი ნაწილი:

2019 წლის 15 თებერვალს ა. ი. ს. ა-მა სარჩელით მიმართა თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერ-  
ვისების განვითარების სააგენტოს მიმართ. სარჩელის დაზუსტე-  
ბის შემდეგ, მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისე-  
ბის განვითარების სააგენტოს 2019 წლის 18 იანვრის №1000400048/  
5 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი  
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-  
ცემა, საინვესტიციო წებართვის მინიჭების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ი. ს. ა-ის  
სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპე-  
ლაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ი. ს. ა-ის  
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიის 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა  
ახალი გადაწყვეტლება; ა. ი. ს. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწი-  
ლობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნო-  
ბილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019

ნლის 18 იანვრის №1000400048/5 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითა მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი გადაწყვეტილების მიღება, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ა. ი. ს. ა-ის მიმართ საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა. ი. ს. ა-ი (დაბადებული ... ნლის ...) არის ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე.

თბილისში, ... ქუჩა №47-ში მდებარე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია ა. ი. ს. ა-ის საკუთრების უფლება (ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 399.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობები №1, №2. ამავე პირის საკუთრებად რეგისტრირებულია ასევე თბილისში, ... გამზირ №117-ში მდებარე 35.35 კვ.მ ფართის სხვენი №28ა (შენობა №4) და თბილისში, ... ქუჩა №16-18-ში მდებარე უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები №1-დან №6-ის ჩათვლით, საერთო ფართი – 114,60 კვ.მ).

ა. ი. ს. ა-ი არის შპს „ლ...“-ისა და შპს „ა...-ის“ დირექტორი. იგი აღნიშნული კომპანიების 100%-ანი წილის მფლობელია.

2014 ნლის 26 სექტემბერს ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ი. ს. ა-მა განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

განცხადების განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2014 ნლის 29 სექტემბერს №1000400048/1 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა ა. ი. ს. ა-ისთვის მუდმივი საინვესტიციო ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2014 ნლის 15 ოქტომბრის MIA41402051295 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს ა. ი. ს. ა-ის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 ნლის 16 ოქტომბრის №1000400048 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. ი. ს. ა-ის განცხადება; „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად, ა. ი. ს. ა-ის

სახელზე საქართველოში გაცემულ იქნა საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, მუდმივი ცხოვრების უფლებით.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 18 იანვრის №1000400048/5 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი, მეორე, მე-6 ნაწილების, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონების პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2019 წლის 18 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №1000400048 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ა. ი. ს. ა-ის სახელზე მუდმივი საინვესტიციო ნებართვის გაცემის თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებაში სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მართალია, საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორი შეფასება მისცა მათ, შესაბამისად მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევას, რაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეების არმქონების პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს, იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმიბის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონების პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მათი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ამინტერესთა დაბალანსებით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული

დაცვით, საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი ოჯახის წევრებზე. ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის კონკრეტული საფუძვლები. პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დაგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამონურვისას. სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება 21-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ. უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის ვადის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ელექტრონული ან წერილობითი ფორმით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ა. ი. ს. ა-ისათვის საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხზე სააგენტომ იმსჯელა ზემოაღნიშნული „წესის“ შესაბამისად, შეამონმა წარდგენილი დოკუმენტები, წერილით მიმართა შსს კონტრდაზერვის დეპარტამენტს და გამოითხოვა ინფორმაცია – არსებობდა თუ არა აღნიშნული პირისათვის მუდმივი საინვესტიციო ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. შსს კონტრდაზერვის დეპარტამენტის 2014 წლის 15 ოქტომბრის MIA 4 14 02051295 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს საქმეში მითითებული პირის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდა. საბოლოოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ ა. ი. ს. ა-ი აკმაყოფილებდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-15 მუხლის „თ“ პუნქტით დადგენილ პირობას. ამასთანავე, მის მიმართ არ არსებობდა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 18 იანვრის №100040048/5 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №1000400048 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ა. ი. ს. ა-ის სახელზე საქართველოში მუდმივი საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად მითითებულ იქნა ის გარემოება, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურისათვის ცნობილი გახდა ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ი. ს. ა-ის მიმართ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით დადგენილი საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებას, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. აღნიშნულ დოკუმენტს სასამართლო გაეცნო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული საფუძვლით ნებართვის გაცემაზე უარის თქმა პირდაპირ პასუხობს კანონის მიზნებს. ამასთანავე, კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს, არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. სააპელაციო პალატის განმარტებით, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე.

თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, ერთმანეთს შეუპი-

რისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება ბინადრობის ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემაზე უარის თქმისა თუ უკვე გაცემული ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „კონტრდაზერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე და აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამასთან, იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, სასამართლოს იმავდროულად აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპრიეტულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. სსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოხსენებული ასპექტები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სადაც საკითხის გადაწყვეტილისას, დასაბუთების გარეშეა დატოვებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებანი, რომელთა სწორად დადგენისა და სათანადოდ შეფასების პირობებში, თანაზომიერების პრინციპის დაცვით, სააგენტოს შეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. განცხადების განხილვისას, სათანადო ყურადღება უნდა გამახვილებულიყო იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს არ დაურღვევია ზემოაღნიშნული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისი პუნქტებით გათვალისწინებული არსებითი პირობები (გარდა ამავე მუხლის „ბ“ პუნქტისა), რაც გახდებოდა მასზე გაცემული ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების წინაპირობა. ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს მითითებული მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, თუმცა საიდუმლო მასალის შესწავლისა და მისი შინაარსის ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ ჩათვალა, რომ მხოლოდ ამ არგუმენტზე მითითება, უფრო მყარი არგუმენტისა და მტკიცებულებების გარეშე, დაუსაბუთებელს ხდის მოპასუხის პოზიციას გასაჩივრებული აქ-

ტის კანონიერებასთან დაკავშირებით. სააგენტოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ზოგადი განმარტება. ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილად არ დაუდგენია სადაც საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელი გარემოებები – გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და ა. ი. ს. ა-მა.

კასატორი – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც ა. ი. ს. ა-ის სარჩელი არ დაკამაყოფილდება.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთანავე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის და მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევით არის გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, რის გამო, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში მოპოვებული მასალები და დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება არ შედის სსიპ სახელმწიფო სერვისის განვითარების სააგენტოს კომპეტენციაში. ამდენად, გაურკვევებულია, კიდევ რა საფუძველი უნდა დაედგინა სააგენტოს, იმ პირობებში, როდესაც არსებობდა საიდუმლო ინფორმაციიდან გამომ-

დინარე, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამეცნიერო და სხვა ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, სახელმწიფო ოფებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას უცხოელი პირისათვის, დროის იმ მონაკვეთში, როდესაც იგი კანონიერად იმყოფება საქართველოში. ამასთანავე, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოახდინა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხვილი ინფორმაციის რევიზია. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ადგენს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანეულობის შესახებ ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ ნესრიგს. საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის ნესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სა-

ფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღები-დან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ვალდებულება სააგენტომ შეასრულა და გამოითხოვა საიდუმლო ინფორმაცია კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთად დერთ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. სასამართლოს მითითება, რომ სააგენტომ მხოლოდ გაიზიარა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა და სხვაგვარად არ დაუსაბუთება კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია, მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადაცოს გახდის და გააპათილებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას, რომელიც კონკრეტული პირის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობას შეეხება. ამდენად, საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დგინდება, კანონის რა მოთხოვნა დაარღვია სააგენტომ, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო სააგენტოს 2019 წლის 18 იანვრის სადაცო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორი – ა. ი. ს. ა-ი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სარჩევი სრულად დაკმაყოფილდება. კასატორის განმარტებით, 2014 წლიდან მასზე გაცემული იყო მუდმივი ბინადრობის ნებართვა. 2019 წლის 18 იანვრის სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა მისთვის მინიჭებული მუდმივი ბინადრობის ხებართვა, რომლის საფუძველზეც, საქართველოში არაერთი ფინანსური აქტიცობა აქვს განხორციელებული.

კასატორის მოსაზრებით, აღმტურველი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის პირობებში, აღარ არსებობს ახალი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების დავალების შესახებ მოთხოვნის არსებობის საჭიროება, თუმცა მისმა იურისტმა (და არა ადვოკატმა) მანიც მოითხოვა ახალი აქტის გამოცემა. მეორე მოთხოვნა ზედმეტი იყო და სასამართლოს მხედველობაში არ უნდა მიეღო. სააპელაციო სასა-

მართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაუსაბუთებელია. არასწორია სააპელაციის პალატის დასკვნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა იმსჯელოს სადავო საკითხზე და გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, ვინაიდან შესაბამისი აქტი უკვე გამოცემულია 2014 წელს.

კასატორის განმარტებით, საქმის განხილვის დროს დადგინდა, რომ თავად სადავო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვისაც კი არ იყო ცნობილი, რომელი ირგანოს/უწყების მიმართვა გახდა წარმოების დაწყებისა და შესაბამისად, აღმჭურველი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით, აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა ინცორმაციის საიდუმლო შინაარსი. ამდენად, მოპასუხემ დაადასტურა, რომ სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი საფუძვლის კვლევის უფლება არ აქვს. ამ პირობებში, სააპელაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით მაინც გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, შეაფასა სხვა მტკიცებულებებთან ერთად და ჩათვალა, რომ დაუსაბუთებელია მასში ასახული მოსაზრებები. ამდენად, თუ სასამართლო ადგენს, რომ დასკვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული, საქმის ხელახლა გამოკვლევით არაფერი შეიცვლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 29 ივლისის და 24 აგვისტოს განჩინებებით წარმოებაში იქნა მიღებული სისიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ა. ი. ს. ა-ის საკასაციო საჩივრები. ამავე სასამართლოს 2022 წლის 27 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ი. ს. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სისიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრებით უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველო-დან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგ-

რეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 ლარის ოდენბის ინვესტიცია, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი იჯახის წევრებზე. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ უცხოელის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და მის სრულ კმაყოფაზე მყოფი ქმედულუნარო ან შრომისუუნარო პირი. ამავე კანონის 21-ე მუხლი ადგენს უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლი ადგენს საქართველოში ბინადრობის ნებართვის ვადის შეწყვეტისა და გაგრძელების პირობებს. აღნიშნული მუხლის სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამონტურვისას. ამასთანავე, სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვეტის უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები და იურიდიული და/ან ფიზიკური პირები ვალდებული არიან, სააგენტოს აცნობონ უცხოელისთვის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია, ჩაატაროს ადმინისტრაციულ ნარმოება და მხედველობაში მიიღოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან გამოთხოვილი ინფორმაცია, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოში უცხოელი პირის ცხოვ-

რების მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთანავე, უცხოელისათვის საქართველოში მინიჭებული ბინადრობის წებართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უპირობოდ არ გულისხმობს ამგვარი უფლებამოსილების გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, შეამონმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისალები. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №1000400048 გადაწყვეტილებით ა. ი. ს. ა-ის სახელზე საქართველოში გაცემული იყო საინვესტიციო ბინადრობის წებართვა, მუდმივი ცხოვრების უფლებით.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 18 იანვრის №1000400048/5 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი, მეორე მე-6 ნაწილების, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის წებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2019 წლის 18 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №1000400048 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ა. ი. ს. ა-ის სახელზე მუდმივი საინვესტიციო წებართვის გაცემის თაობაზე. საქმის მასალებით და მოპასუხე მხარის განმარტებით დადასტურებულია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 18 იანვრის №1000400048/5 გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალა-ქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, სახლმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაა. კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. ამასთანავე, კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი მიუთითებს, რომ საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შენყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, შეაპიროს სპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიღლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, კონტრდაზვერვით საქმიანობად მიიჩნევა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლობებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატორი და ოპერატორიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ქვეანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება

სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადაც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის შესაძლო ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისას და მოსარჩელისათვის მინიჭებული ბინაღრობის ნებართვის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ დასკვნის გაკეთებისას, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო დაეყრდნო სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვილ შესაბამის ინფორმაციას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მოამზადა დასკვნა, რომელსაც საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტისათვის, უცილებელია იმ ინფორმაციის გაცნობა და შესწავლა, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტაციის სასამართლოების ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან საქმეზე გამოითხოვილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მისი შინაარსი მხარეებს გააცნოს და სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახოს. საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება, ა. ი. ს. ა-ისათვის მუდმივი საინვესტიციო ნებართვის მინიჭების შესახებ გამოცემული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №1000400048 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არქონე“ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათოლად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, უსაფუძვლოა ასევე სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, ა. ი. ს. ა-ის საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ხოლო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრი უნდა დაქმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ი. ს. ა-ის სარჩელი არ დაქმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, ა. ი. ს. ა-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, ასევე სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 (სამასი) ლარის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. ამასთანავე, ა. ი. ს. ა-ს უნდა დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## **გ ა ღ ა ტ ე ზ ი ტ ა:**

1. ა. ი. ს. ა-ის საკასაციონ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციონ საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ა. ი. ს. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. ა. ი. ს. ა-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და საკასაციონ საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
6. ა. ი. ს. ა-ს დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკასაციონ სასამართლოში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
7. საკასაციონ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გულივაზი ბინადრობის ცენტრის გაცემაზე უარის  
თქმის თაობაზე აღმინისტრაციული აქტის  
კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-898(კ-22)

27 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

**აღნერილობითი ნაწილი:**

ჯ. რ. ფ-ომ 2021 წლის 31 მარტს წარმომადგენლის მეშვეობით  
სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო სერ-  
ვისების განვითარების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა ჯ. რ. ფ-  
ოს მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაო-  
ბაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021  
წლის 24 მარტის №1000741695 გადაწყვეტილების ბათილად ცნო-  
ბა და ჯ. რ. ფ-ოსთვის მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებარ-  
თვის გაცემის შესახებ მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების  
განვითარების სააგენტომ მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებარ-  
თვის გაცემაზე უარი უთხრა იმ საფუძვლით, რომ არსებობდა უფ-  
ლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებ-  
რივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად  
მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, რაც  
გამოიხატებოდა მის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელებაში,  
რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და  
საზოგადოებრივ წესრიგს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ არ არსე-  
ბობდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე არახაირი რეალური სა-  
ფუძველი, რომ მოსარჩელე მიჩნეულიყო რაიმე სახის საფრთხის  
შემცველ პიროვნებად სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფ-

რომების მიზნებიდან გამომდინარე. ჯ. რ. ფ-ო აღნიშნავდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანს აყენებდა მის შრომით უფლებასა და ლახავდა ოჯახის ერთიანობის პროცესს, კინაიდან იგი მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა საქართველოში, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში, იგი იძულებული გახდებოდა დაეტოვებინა საქართველო და მისი ორსული მეუღლე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევე მიიჩნევდა, რომ გააჩნდა მუდმივი ბინადრობის მიღები, საქართველოში მუშაობისა და ოჯახთან ერთად ცხოვრების გაგრძელების ყველა წინაპირობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, ჯ. რ. ფ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 24 მარტის №1000741695 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა ჯ. რ. ფ-ოსათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 17 თებერვლის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა მუდმივი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულნლოვან შევილზე, საქართველოს არასრულნლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ამავე კა-

ნონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. სწორედ ამ ნორმებზე მითითებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოსარჩელი-სათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა, რაც გახდა სააგენტოს მიერ სადაც აქტის გამოცემის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავდა ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დადასტურდა ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 17 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

კასატორის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტომ შეასრულა საქართველოს

მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებითაც, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. რ. ფოს სარჩელი არ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 24 მარტის №1000741695 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ჯ. რ. ფ-ოს უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანია მიღებული გადაწყვეტილება ემყარება თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების

ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტრირორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით (*Case of Leander v. Sweden*). ამსთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვეტის და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს (*Case of Lupsa v. Romania*).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვანი შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მმობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ

ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვ-რებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გა-თანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არ-მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედ-ვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინ-ტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უა-რის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელე-ბის დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ ნესრიგს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრი-ვი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებარ-თვის გაცემის საკითხი განხილება და წყდება საქართველოს მთავ-რობის მიერ დადგენილ წესის შესაბამისად. საქართველოს მთავ-რობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკი-ცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკით-ხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენი-ლია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნ-ქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შე-საბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისა-გან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და სა-ზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგარად, მოქმედი კა-ნონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭე-ბის საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდე-ბულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელ-მწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწი-

ფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 24 თებერვალს №1000741695/ა წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 22 მარტის №SSG 1 21 00035346 წერილით, სააგენტოს შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ჯ. რ. ფ-ოსთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა, რის საფუძვლზეც გამოიცა სადაცვო აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიერ 2022 წლის 12 ოქტომბრის №ბს-898(კ-22) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძვლზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა. საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესნავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგრამარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვ-

ნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ჯ. რ. ფ-ოს მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. მასვე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ჭ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 17 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ჯ. რ. ფ-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ჯ. რ. ფ-ოს (პასპორტის №...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასამართლოს დაუკისროს სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მუდმივი გინადრობის ცენტრის გაცემაზე უარის  
თქმის თაობაზე აღმინისტრაციული აქტის  
კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1056(კ-22) 27 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. 2020 წლის 21 ივლისს ბ. მ-იმ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხება – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

სარჩელის თანახმად, ირანის მოქალაქე ბ. მ-ი საქართველოში 2017 წელს ჩამოვიდა სამუშაოდ და აღნიშნული პერიოდიდან და-საქმებულია ...ში ლექტორის თანამდებობაზე. მოსარჩელის სახელზე პირველად 2013 წელს გაიცა დროებითი ბინადრობის ნებართვა ერთი წლის მოქმედების ვადით და აღნიშნულის შემდგომ უგრძელდება შრომითი კატეგორიის დროებითი ბინადრობის ნებართვა. 2019 წლის 17 ივლისს იქტირნინა საქართველოს მოქალაქე რ. ა-თან თბილისის ქორწინების სახლში. იმავე წლის 16 აგვისტოს მოსარჩე-

ლეგმ მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს განაცხადით (№ 1000681919) და მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა, თუმცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 13 სექტემბერის № 1000681919 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ხელახლა განიხილა პ. მ-ის განცხადება და 2020 წლის 16 ივლისს № 1000681919 გადაწყვეტილებით უარი უთხრა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე ისე, რომ განაცხადის განხილვისას პ. მ-ის მონაწილეობა არ მიუღია ადმინისტრაციულ წარმოებაში და დამატებით არც რაიმე საბუთი მოუთხოვიათ მისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა: – ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის № 1000681919 გადაწყვეტილება პ. მ-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე; ბ) დაევალოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პ. მ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) 2019 წლის 16 აგვისტოს პ. მ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; ბ) ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე პ. მ-მა 2019 წლის 17 ივლისს იქირნინა საქართველოს მოქალაქე რ. ა-ზე; გ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოსარჩელე პ. მ-ის განცხადების საფუძველზე, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ 2019 წლის 19 აგვისტოს წერილობით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა არსებობდა თუ არა პ. მ-ის-

თვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 12 სექტემბრის SSG 1 19 00167424 ნერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა პ. მ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 13 სექტემბრის №1000681919 გადაწყვეტილებით, პ. მ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 შუბლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე; დ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 13 სექტემბრის №1000681919 გადაწყვეტილება პ. მ-მა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/7815-19) სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხების გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 13 სექტემბრის №1000681919 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე №3/7815-19) საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დაიწყო ხელახლი ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ 2020 წლის 6 ივლისს წერილობით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა არსებობდა თუ არა პ. მ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 15 ივლისის SSG 8 20 00085295 ნერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა პ. მ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის №1000681919 გადაწყვეტილებით, პ. მ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 შუბლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების სა-

ფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-9 პუნქტზე, მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტზე, ამავე კანონის მე-18 მუხლზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-13 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამონება რა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს და მიღებული ინფორმაციის შედეგად, ამავე მუხლის მე-7 პუნქტისა და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, მოპასუხე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, ხოლო მოსარჩელისათვის სამართლებრივი შედეგი წარმოშვა გასაჩივრებულმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც უარი ეთ-

ქვა საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე და მე-7 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 6 ივლის ნერილი წარმოადგენს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენტური ორგანოს დასკვნას, ვინაიდან მითითებულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომელიც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრულად აღნიშნულ დოკუმენტში ვერ აისახებოდა.

სასამართლომ განმარტა, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრიულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, იგი უფლებამოსილია ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 6 ივლისის ნერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლდაცვითი მიზნებისათვის. სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შეემონებებინა ნერილის საფუძვლად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, ცალსახაა, რომ სააგენტოს სადავო გადაწყვეტილების მოტივირება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით, შეესაბამება კანონმდებლობას და ნინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხვილ იქნა ინფორმაცია მოსარჩევისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუნონლად მიჩნევის საფუძვლის

დასადგენად. გადაცემული ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი. სააგენტომ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, შესაბამისად, არ არსებობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. მ-იმ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ბ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივნისის № 1000681919 გადაწყვეტილება ბ. მ-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე და მოპასუხე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ბ. მ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმე-

ზე დადგენილ გარემოებებს, რის გამოც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წინამდებარე საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის №1000681919 გადაწყვეტილების კანონიერება ბ. მ-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე. ასევე, სასამართლოს შეფასების საგანია, არსებობს თუ არა საფუძველი, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბ. მ-ის-თვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადაცო აქტის შინაარსის მიხედვით, ბ. მ-ისათვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი სამართლებრივად ეფუძნება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონების პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კომპეტენტური ორგანოს დასკვნას, ბ. მ-ისათვის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუნილობის შესახებ, წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 12 სექტემბრის SSG 1 19 00167424 ნერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუნიჩად მიაჩნდა ბ. მ-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის კანონმდებლობით მინიჭებულ დისკრიციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც უპირობოდ არ განაპირობებს მისი გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სწორედ სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს, გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრიციული უფლებამოსილების კანონიერება, კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრიციული უფლებამოსილების კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით განხორციელება. ამგვარად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრიციული უფლებამოსილება, ისე-ვე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფ-

ლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენბული კრიტიკიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემონმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით განმარტა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები პრიოტეტულია, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკენების გაეთვალისწინებოდას. სადაცო შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავს ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დასტურდება მისი მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ბ. მ-ის მიმართ დადგენილი არ არის ისეთი გარემოებების არსებობა, რომლებიც შექმნიდა კანონისმიერ წინაპირობებს მისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარისათვის. აღნიშნული კი ცხადყოს, რომ სადაცო აქტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის №1000681919 გადაწყვეტილება ბ. მ-ის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე, წინააღმდეგობაშია მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ წორმებთან, რაც ქმნის წანამძღვრებას მისი ბათილად ცნობისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმე-

ბა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის №1000681919 სადავო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონიერების პრინციპის განხორციელების გზით, კონკრეტულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, მთავრობის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის წესაცდის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ შესაბამისად. სააგენტომ იხელმძღვანელა რა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამავდროულად, გაითვალისწინა რა კერძო და საჯარო ინტერესი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველიც გახდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე და მე-7 მუხლზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტო დაეყრდნო კომპეტენტური ორგანოს მიერ წარდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს მაშინ, როცა საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამასთან, განცხადების მანმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადაცვოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოებს სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი. ამავე განჩინებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს დაევალა წარმოედგინა წერილობითი ინფორმაცია/მასალები (მათ შორის საიდუმლო), რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 15 ივლისის SSG 8 20 00085295 წერილის გაცემას და აღნიშნული წერილის საფუძველ-

ზე, ბ. მ-ისათვის (დაბ: ...ნ., პასპორტის ნომერი: ...) საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სიი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის №1000681919 გადაწყვეტილებას.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სიი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერბა-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სიი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ირანის მოქალაქე ბ. მ-მა 2019 წლის 17 ივლისს იქრინინა საქართველოს მოქალაქე რ. ა-ზე; ბ) 2019 წლის 16 აგვისტოს, ბ. მ-მა განცხადებით მიმართა სიი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; გ) სიი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოსარჩელე ბ. მ-ის განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ 2019 წლის 19 აგვისტოს წერილობით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა, ეცნობებინა არსებობდა თუ არა ბ. მ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები; დ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 12 სექტემბრის SSG 1 19 00167424 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ბ. მ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება; ე) სიი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 13 სექტემბრის №1000681919 გადაწყვეტილებით, ბ. მ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე; ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2020 წლის 5 თებერვლის გადაწ-

ყვეტილებით (საქმე №3/7815-19) პ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 13 სექტემბრის № 1000681919 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმი-სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ზ) კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე №3/7815-19) საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 6 ივლისს წერილობით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა, ეცნობებინა არსებობდა თუ არა პ. მ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები; თ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 15 ივლისის SSG 8 20 00085295 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა პ. მ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება; ი) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის № 1000681919 გადაწყვეტილებით, პ. მ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაც საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელე პ. მ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება და მოპასუხისმოვის მოსარჩელის სახელზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონზე, რომელიც არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების

პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენ-  
ციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას (მუხლი 1.2).

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრი-  
ვი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის  
„ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის  
საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი,  
რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი  
პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმო-  
ბა. ალნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყ-  
ნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძ-  
ლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში,  
ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავ-  
სი ტაბის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრე-  
ციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა  
ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის  
მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნ-  
ველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებე-  
ბისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მი-  
სი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავ-  
ლობაში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრი-  
ვი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის  
(საქართველოში ბინადრობის ნებართვის გამცემი ორგანო და ბი-  
ნადრობის ნებართვის გაცემის ზოგადი პირობები) პირველი პუნ-  
ქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაიცემა  
საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომე-  
ლიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქარ-  
თველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო.

ამავე კანონის მე-15 მუხლში ჩამოთვლილია ბინადრობის ნე-  
ბართვის სახეები, მათ შორის, მოცემული მუხლის „ბ“ პუნქტის თა-  
ნახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მო-  
ქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს  
არასრულწლოვანი მოქალაქის მმობელზე. მუდმივი ცხოვრების ნე-  
ბართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინად-  
რობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბო-  
ლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში  
სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ  
წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენ-  
ლობები მუშაობის პერიოდი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის  
საფუძვლებს ითვალისწინებს მითითებული კანონის მე-18 მუხლი,

რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

ამავე კანონის 18.2 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობის ინფორმაცია, რომელიც აღბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე; ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური, თანმიმდევრული, უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკაცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის

მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 6 ივლისს წერილობით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა, ეცნობებინა არსებობდა თუ არა ბ. მ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 15 ივლისის SSG 8 20 00085295 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ბ. მ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 ივლისის №1000681919 გადაწყვეტილებით, ბ. მ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხ-

ლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეცისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 15 ივლისის SSG 8 20 00085295 ნერილი წარმოადგენს სწორედ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად და რასაც სათანადოობის, საკმარისობის, პრიორიტეტულობისა და, საბოლოო ჯამში, გაზიარების თვალსაზრისით, მისი შინაარსის გათვალისწინებით, გააჩნია არსებოთი ხასიათის მტკიცებულებითი ძალა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მიერ 2022 წლის 12 ოქტომბრის №ბს-1056(კ-22) განჩინებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელის სთვის მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემა. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი კანონიერია და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სა-

აგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად და უპირატესობა მართებულად მიენიჭა საჯარო – სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანს. პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულება, ჩატარა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და საქმის მასალების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, რაც გამორიცხავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადაც აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და არ დაკმაყოფილდეს ბ. მ-ის სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა ბ. მ-ის უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება. ამასთან, ბ. მ-ის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე, 411-ე, 53.1 მუხლებით და

## **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ფ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ბ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ბ. მ-ის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
5. ბ. მ-ის დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდ არ საჩივრდება.

## **გულივი ბინადრობის ცენტრის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე აღმინისტრაციული აქტის კანონის რეაბილიტაციის**

### **განცილება საქართველოს სახელით**

№ბს-1057(კ-22)

27 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. ოქროპირიძე,  
გ. აბუსერიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. 2020 წლის 24 ივნისს ს. მ. მ-ომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №1000709196 გადაწყვეტილება; ბ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალოს ახალი ინდიკიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. მ. მოს მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე 2011 წლიდან იმყოფება საქართველოში, 2014 წლიდან არის ...ი, ენევა შემოქმედებით საქმიანობას, მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში, სიმპოზიუმებსა და პლენერებში, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ამავდროულად, მოსარჩელის საქმიანობას მინიჭებული აქტს მიკრო ბიზნესის სტატუსი, საქმიანობით – მხატვარი. 2017 წლის 31 ოქტომბერს იქორწინა საქართველოს მოქალაქე ა. ს-ესთან. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე, საფუძვლად კი მიეთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგრამართობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნაზე სააგენტომ, 2017 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით, იმავე საფუძვლით უთხრა უარი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, რაც გაასაჩივრა სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული აქტი და მოპასუხეს დაევალა ახალი აქტის გამოცემა ს. მ. მ-ოსთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების თაობაზე. ვინაიდან საქმის განხილვის დროს სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის საქართველოში ყოფნა არავითარ საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგრამართობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს. მ. მ-ოს სარჩელი დაუმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №1000709196 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერ-

ვისების განვითარების სააგენტოს დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. მ. მთხოვთის საქართველოში მუდმივი ცხოვრების წესართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ს. მ. მ-ო 2014 წლიდან არის ...ი, ენევა შემოქმედებით მუშაობას, მონაწილეობს როგორც საქართველოს, ასევე, საერთაშორისო სამსატვრო გამოფენებში, სიმპოზიუმებსა და პლენერებში; ბ) ს. მ. მ-ო იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში საქართველოს მოქალაქე ა. ს-ესთან; გ) ს. მ. მ-ომ 2020 წლის 11 მაისს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა მისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების წესართვის გაცემა; დ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 12 მაისს №1000709196/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაბიზურების დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ს. მ. მ-ოსათვის მუდმივი ბინადრობის წესართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაბიზურების დეპარტამენტის 2020 წლის 28 მაისის SSG 8 20 00062317 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ს. მ. მ-ოსათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების წესართვის მინიჭება; ე) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №1000709196 გადაწყვეტილებით ს. მ. მ-ოს, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის წესართვის გაცემაზე.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-14 მუხლის 1-ელ პუნქტზე, მე-18 მუხლზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის 1520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის წესართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, საქართველოს კანონის „კონტრაბიზურებითი საქმიანობის შესახებ“ 1-ელ მუხლზე, მე-6 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებზე, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ უცხოელისათვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის წესართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამო-

სილებას განეკუთვნება. იგი პინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია დაიცვას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლები, ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განახორციელოს იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც აქვს მინიჭებული ეს უფლებამოსილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო და კერძო ინტერესების პროცესულობის, ურთიერთშეჯერების ვალდებულებას. მითითებული ვალდებულების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებით (განხორციელებული ქმედება) პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც მიღებულ იქნა იგი, გადაწყვეტილებამ არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები პრიორიტეტულია, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

სასამართლის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩევისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწინლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად (მიღებული ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარდგენილი იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს). სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის (დასკვნის), ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროცესულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, უნდა გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინებით აპელანტ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სადაცვო სამართალურთიერთობის პერიოდში (09.06.2020წ.) მოქმედ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-15 მუხლის „ზ“ მუხლზე, ამავე ნორმების მოქმედ რედაქციაზე, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, მე-17 მუხლის მე-10 პუნქტზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ პირველ მუხლზე, მე-13 მუხლის პირველ, მე-5 და მე-7 პუნქტებზე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. შესაბამისად, ამ სახელმწიფო ორგანოს წერილობითი ინფორმაცია – დასკვნა არის ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებული მტკიცებულება, რაც, თავის მხრივ, არის უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის ან ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. ამასთან, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესაბამისი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ გა-

ნახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება, შესაბამისად, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის და სადავო შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობას წარმოადგენდა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

კასატორი აღნიშნავს, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, რის გამოც ამ საქმიანობის პროცესში მოპოვებული მასალები და დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება არ შედის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში. შესაბამისად, როდესაც არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, გაურკვეველია, კიდევ რა დამატებითი საფუძველი უნდა დაედგინა სააგენტოს და სათანადოდ დაესაბუთებინა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხოქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოებაზე, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობების გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრიციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვე-

ტილება. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სა-ქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზ-ვერვის დეპარტამენტიდან – არსებობდა თუ არა განმცხადებლის-თვის საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობის წებართვის გაცე-მაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული საიდუმლო ინფორმა-ციის მოკვლევაზე უფლებამოსილ, ერთადერთ კომპეტენტურ ორ-განოს სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამ-სახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს, რომე-ლიც თანახმად „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქარ-თველოს კანონის მე-7 მუხლისა, საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვი-თი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ „უც-ხოელთა და მოქალაქეობის არქიონები პირთა სამართლებრივი მდგო-მარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირვე-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორ-მაციის მოპოვებაზე/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორ-განოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ამდენად, სასა-მართლოს მითითება, რომ სააგენტომ მხოლოდ გაიზიარა კონ-ტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა და სხვაგვარად არ დაუ-საბუთებია კანონის მე-18 მუხლით გაწერილი გარემოებები, მოკ-ლებულია სამართლებრივ საფუძველს. როდესაც სახეზეა კომპე-ტენტური ორგანოს დასკვნა – კონკრეტული პირის საქართველო-ში ცხოვრების მიზანშეუწონლობის თაობაზე, გამომდინარე იმ სა-მართლებრივი რეგულაციიდან, რაც დღეს მოქმედებს, სააგენტოს დისკრეციული უფლებამოსილება რედუცირებს წულისკენ, რამე-თუ, განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზ-ღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადაცოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-ხურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით, საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონებლად წარმოება-ში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2022 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელ-

მწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს სასაპრელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება.

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ს. მ. მ-ო 2014 წლიდან არის ....ი, ენევა შემოქმედებით მუშაობსა, მონაწილეობს როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო სამხატვრო გამოფენებში, სიმპოზიუმებსა და პლენერებში; ბ) ს. მ. მ-ო 2017 წლის 31 ოქტომბერს იქორნინა საქართველოს მოქალაქე ა. ს-ესთან; გ) ს. მ. მ-ო 2020 წლის 11 მაისს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა მისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; დ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 12 მაისს №1000709196/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერების დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინათ, არსებობდა თუ არა ს. მ. მ-ოსათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 28 მაისის SSG 8 20 00062317 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწოდად მიაჩნდა ს. მ. მ-ოსათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება; ე) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №1000709196 გადაწყვეტილებით, ს. მ. მ-ოს, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ კვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველო-

დან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს „არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი. უცხოელის საქართველოში ხანგრძლივად, კანონიერად დარჩენის უფლების მოპოვების ერთ-ერთი შესაძლებლობა სწორედ ბინადრობის ნებართვის მიღებაა, რომელსაც, დასახელებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე გასცემს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ამასთან, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის (სადავო ჰერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქეებს მეუღლებზე, მშობელზე, შვილზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან ბინადრობის ნებართვის გაცემით უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბრძის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფო კისრულობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის განერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვა-

ლისნინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. კანონმდებელი იმავე მუხლის მე-2 პუნქტში აკონკრეტებს კრიტიკულების ჩამონათვალს, თუ რომელ შემთხვევებს მოიცავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები, კერძოდ, ესენია: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფო ებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განხყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით გაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაა, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელისთვის ბინადრობის წებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფს ხარჯზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, უნდა

განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქცია) დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი განცხადებით მიმართავს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ამავე წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირისათვის ბინადრობის წებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს პირისათვის ბინადრობის წებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონის მე-18 მუხლში მითითებული საფუძველი. სახელმწიფო ორგანო, რომლის განაცს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია უცხოელის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე, არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწვა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორის-

ტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა – წერილი კი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას.

განსახილვები შემთხვევაში დადგინდია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 12 მაისს № 1000709196/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ს. მ. მ-ოსათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 28 მაისის SSG 8 20 00062317 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ს. მ. მ-ოსათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის № 1000709196 გადაწყვეტილებით, ს. მ. მ-ოს, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 28 მაისის SSG 8 20 00062317 წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზზი გახდა. სწორედ ამ მიზნით საკასაციო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გამოთხვილი ინფორმაცია, „კონტრდაზვერვით საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ხსენებული ინფორმაცია მხარეებს გააცნოს და იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების არსი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შემოწმებაში მდგომარეობს. სააპელაციო პალატა, ერთი მხრივ, ამონმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ

მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად იკვლევს და აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ – ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან ხელახლა უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია და მიღებული ინფორმაციის და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვილ ინფორმაციაში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისია პირის მოთხოვნის დაკავილებაზე უარის თქმისთვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას. განსახილველ შემთხვევაში კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა მისი დამატებითი კვლევა და სხვა გარემოებებთან ერთობლივი ანალიზი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეისწავლოს და შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, ასევე უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებუ-

ლი უფლებამოსილებით და ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მოიპოვოს მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

## საქართველოში სასწავლო პირადობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

### გადაცევის თქმილი საქართველოს სახელი

№ბს-911(კ-22)

27 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა-ომ 2020 წლის 23 აპრილს წარმომადგენლის მეშვეობით სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა ა. ა-ოს სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 27 მარტის №1000677233 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ა. ა-ოსთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადაცო აქტის აღსრულებით შეიზღუდებოდა მისი განათლების უფლება, ვინაიდან იგი არის შპს ა...ის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ხოლო მისი აღსრულების შემთხვევაში იგი იძულებული გახდებოდა დაეტოვებინა საქართველო. მოსარჩელის განმარტებით მის ამოცანას წარმოადგენდა არ დაერღვია სასწავლო პროცესი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით ა.ა-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 27 მარტის №1000677233 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა ა. ა-ოსთვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართის გაცემის თა-

ობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2022 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილება სააპე-ლაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითა-რების სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2022 წლის 15 ივნისის განჩინებით სსიპ სახელმწი-ფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვე-ტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მა-თი სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა „უცხოელთა და მოქა-ლაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესა-ხებ“ კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის წებარ-თვის ერთ-ერთი სახეა სასწავლო ბინადრობის წებართვა, რომე-ლიც გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, უცხოელს საქართველოში ბი-ნადრობის წებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსე-ბობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზო-გადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსა-ყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შე-სახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზო-გადოებრივ წესრიგს. სწორედ ამ ნორმებზე მითითებით სახელმწი-ფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზეგრევის დეპარტამენ-ტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოსაარჩელისათვის ბინადრობის წე-ბართვის გაცემა, რაც გახდა სააგენტოს მიერ სადაც აქტის გამო-ცემის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სა-ქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზ-ვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავდა ისეთი შინაარსის ინ-ფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსაარჩელის საქართველოში მუდმივი ბინადრობის წებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სა-ხელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დადასტურდა ისეთი საქ-მიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართვე-ლოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2022 წლის 15 ივნისის განჩინება საკასაციო წესით

გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

კასატორის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი; სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწოდობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

კასატორი აღნიშნავს, რომ შეასრულა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებითაც, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მართებულად უთხრა უარი მოსარჩევეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ა-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 27 მარტის №1000677233 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვე-

პუნქტების საფუძველზე, ა. ა-ოს უარი ეთქვა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანია მიღებული გადაწყვეტილება ემყარება თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის საშიშროებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაეგას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვეო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, ამავე მუხლის „ბ“ ქვე-

პუნქტის თანახმად, სასწავლო ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დანერსებულებაში სწავლის მიზნით.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწოდების შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისა-გან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწი-

ფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 20 მარტს №01/69685 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სახელმწიფო საიდუმლოებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების რეჟიმის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს და სოხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 24 მარტის №SSG 7 20 00045793 წერილით, სააგენტოს შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით ეცნობა, რომ დეპარტამენტის მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა.ო-სათვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემა, რის საფუძველზეც გამოიცა სადაც აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიერ 2022 წლის 12 ოქტომბრის №ბს-911(კ-22) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიწნეული მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა.

საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვინის) არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მიზიქებული დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველა პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით (საქართველოს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდება ა. ა-ოს განათლების უფლება (სწავლობს შპს ა...ში), ვინაიდან იგი ვალდებულია გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე დატოვოს საქართველო, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით (*Case of Leander v. Sweden*). ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვიტოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს (*Case of Lupsa v. Romania*). კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს თავისუფლება აკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელის შემოსვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები (*Case of Khasanov and Rakhamanov v. Russia*, 2022, §93).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩინებს, რომ ქვედა ისტანციის სასამართლოებმა არასანორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკავილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწ-

ყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ა.ა-ოს მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, მასვე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 450 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ა-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ა. ა-ოს (პასპორტის №...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სააგენტოს მიერ საპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# მოკლევადიანი პირის დაცვის საქართვაზე უარის თქმის კანონის რეაბილიტაცია

## გადაცევის დღე საქართველოს სახელით

№ბს-647(კ-22)

12 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 1 აპრილს ა. გ. ე-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, არის ნიგერიის მოქალაქე, 2021 წლის 26 თებერვალს განაცხადით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მისაღებად. განაცხადს თან ერთოდა კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სააგენტომ არ უზრუნველყო მისი ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე „უცხოელთა და მოქალაქეების არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

ამდენად, მოსარჩელემ მოკლევადიანი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის №1000742143 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით ა. გ. ე-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; პათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 09 მარტის №1000742143 გადაწყვეტილება „ა. გ. ე-ს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემზე უარის თქმის თაობაზე“; მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ა. გ. ე-სთვის მოკლევადიანი ნებართვის გაცემის თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის №1000742143 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ნიგერის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე – ა. გ. ე-ს (A. G. E.; დაბ. .... წელს, დაბ. .... ში, პასპორტის №...) 2021 წლის 26 თებერვლის №1000742143 განცხადება. განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ ა. გ. ე-ს მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 2 მარტს №1000742143/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ა. გ. ე-სთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 5 მარტის №SSG 4 21 00027492 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა. გ. ე-სთვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება.

სასამართლოს მითითებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად (სადაც პერიოდში მოქმედი), მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს, აგრეთვე მის მეუღლესა და შვილზე/შვილებზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწოდობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას ასევე თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ განსაზღვრულია უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის პროცედურა რეგლამენტირებულია ამავე წესის მე-13 მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგნენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში ნარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მიეცემათ დამატებით ორდღიანი ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართვე-

ლოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში.

სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ასევე მიეთითებინა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლობულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალ-დაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6-7 მუხლებზე და მიიჩნია, რომ უცხოელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განვითარება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საქალაქო სასამართლოს მითითებით, ა. გ. ე-ს მიერ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ნარდგენილი განცხადების განხილვის ფარგლებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. საქალაქო სასამართლომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 05 მარტის №SSG 4 21 00027492 წერილის გაცნობის შედეგად, მიიჩნია, რომ მოპასუხეს შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება ა. გ. ე-სთვის საქართველოში მოკლევადიანი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შე-

აფასა მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული უძრავი ქონებები.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონანერების შესაბამისად, ა. გ. ე-ს სახელზე რეგისტრირებულია №... და №... საკადასტრო კოდებზე არსებული უძრავი ქონებები. სასამართლოს მითითებით საშემფასებლო დასკვნის შესაბამისად, უძრავი ქონების ს/კ №... ლირებულებამ 2021 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით შეადგინა 69 000 აშშ დოლარი, ხოლო №... საკადასტრო კოდზე – 37 000 აშშ დოლარი. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების საგანეტოს 2021 წლის 22 თებერვლის №1000741345 გადაწყვეტილებით, ა. გ. ე-ს 2018 წლის 18 თებერვლის №1000741345 განცხადება დაკმაყოფილდა და მას საქართველოდან გასვლის ვალდებულება 2021 წლის 22 თებერვლიდან 2021 წლის 13 აპრილამდე გადაუვადდა.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს სადაცვო გადაწყვეტილების მოტივირება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონების პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, არ შეესაბამება კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის №1000742143 გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონის დარღვევით იყო გამოცემული, იგი ხელყოფდა ა. გ. ე-ს კანონიერ ინტერესებს, პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელეს, რაც ქმნიდა სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადაცო საკითხი არსებითად სწორად გადაწყვიტა, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება. თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზეერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. ზემოაღნიშნული წერილის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო ისეთი შინაარსის ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველსაყოფად, ასევე არ დასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/ და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩინორებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ უცხოელზე ბინადრობის მოწმობის გაცემისას, უზრუნველყოფს მისი უფლებების დაცვას სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კონკრეტული პირისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე მისი კანონიერად ყოფნის პერიოდში ხდება გარკვეული პრივილეგიების მინიჭება. ბინადრობის სამართლებრივი ბუნება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრიულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კასატორის განმარტებით, სასამართლომ მართალია სწორედ იხელ-

მძღვანელა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, თუმცა არასწორად განმარტა იგი. ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და ითხოვს მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება. სასამართლომ არ გაითვალისწინა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილება, რევიზია გაუკეთოს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხვოდა ინფორმაციას.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დამტკიცების შესახებ წესის“ შესაბამისად დადგენილი ვალდებულებებიდან გამომდინარე, სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაძუმლობულია, როს გამოც კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში მოპოვებული დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფოს საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უზრუნველყოფა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. სააგენტო დაეყრდნო სწორედ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. განცხადების განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია, მოიპოვოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის გამაბათილებელი მტკიცებულება. გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება კანონის რომელი მოთხოვნა დაარღვია სააგენტომ, რაც შესაძლოა გამხდარიყო სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის №1000742143 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩევე ა. გ. ე-ე საქართველოში შემოვიდა 2017 წლის 15 იანვარს (17:20:50 სთ), სასაზღვრო გამშვებ პუნქტ – თბილისის აეროპორტის საშუალებით. საქმის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონანერების თანახმად, 2020 წლის 29 მაისის მდგომარეობით უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი ..., ... ქუჩა №91ა, სართული 3, ბინა №5, ფართით – 80.70 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №... რეგისტრირებულია ა. გ. ე-ს სახელზე. 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონანერით დგინდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი ..., ... ქუჩა №8ა, სადარბაზო 3, სართული 3, ბინა №381, ფართით – 41.40 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხებულია ა. გ. ე-ს სახელზე. საქმეში წარმოდგენილია 2021 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით არსებული უძრავი ქონების შეფასების დასკვნა, რომლის თანახმად ს/კ №... უძრავი ქონება შეფასებულია 69 000 აშშ დოლარად, ხოლო უძრავი ქონება ს/კ NN... შეფასებულია 37 000 აშშ დოლარად.

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 1 მარტს №1000742143/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორ-

მისალებად, არსებობდა თუ არა ა. გ. ე-სთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზერვის დეპარტამენტის 2021 წლის 5 მარტის NSSG 4 21 00027492 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუნილად მიაჩნდა ა. გ. ე-სთვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. საქმეში წარმოდგენილი ქორწინების მოწმობით დგინდება, რომ ა. გ. ე- 2021 წლის 24 თებერვალს დაქორწინდა საქართველოს მოქალაქე – ნ. გ-ზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის №1000742143 სადაც გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე – ა. გ. ე-ს (A. G. E.; დაბ. ... ... წელს, პასპორტის №...) 2021 წლის 26 თებერვლის №1000742143 განცხადება. განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ ა. გ. ე-ს მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე“ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ კვებუნქტებით გათვალისწინებული საფუძველა, შესაბამისად, მას უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე“ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (სადაც აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელს, რომელსაც აქვს ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვა, უფლება აქვს, სხვა სახის ბინადრობის ნებართვის მისაღებად სააგენტოს მიმართოს, თუ იგი შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მითითებული კანონის მე-15 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად

უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული ორგანოს სერტიფიცირებული შემთასებელი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლობებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თა-

ნახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმიგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმიგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზზ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მთიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქეების თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემის. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის

სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-94, 95).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფო უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დაარეგულიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძლების გამოსავლენად განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, ხოლო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონებირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად კი იგი ვალდებულია, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღვდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პრიპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების

მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე პეივე ქორნქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დასკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილი და რიგ შემთხვევებში ვალდებულია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, ა. გ. ე-სთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის

აუცილებელი ღონისძიება, რამეთუ მოსარჩელის სახელზე უძრავი ქონებების რეგისტრაციის ფაქტი იმთავითვე არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის ვალდებულებას, რამდენადაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად.

2022 წლის 9 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის №1000742143 გადაწყვეტილებით ა. გ. ე-ს (დაბ.: ...წ., დაბ. ....-ში, პასპორტის ნომერი: ...) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მფლომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 5 მარტის №SSG 4 21 00027492 წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ა. გ. ე-სათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 9 ნოემბრის მიმართვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეთხოვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის წარმოედგინა ინფორმაცია/მასალები (მათ შორის საიდუმლო), რომელიც საფუძლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 5 მარტის №SSG 4 21 00027492 წერილის გაცემას და მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად კონტრდაზვერვით საქმიანობად მიიჩნევა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქ-

მიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები, და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალ-დაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციი და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არსებითია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (Lupsa v. Romania, № 10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საქმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (Lupsa v. Romania, № 10337/04, §39, 08 ივნისი 2006). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტნილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზე დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი გახსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმინევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, 37-38).

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის №1000742143 გადაწყვეტილების კანონიერების შესამონმებლად საკასაციო პალატამ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომელიც მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ნებართვის მისაღებად დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონტრდაზვერვის სახელმწიფო სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ბუნების (სახელმწიფო საიდუმლოება) გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილი არ არის გადაწყვეტილებაში ასახოს მისი შინაარსი. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი ინფორმაციის/მასაღების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საიდუმლო მასაღები მითითებული ინფორმაცია „უცხოელთა და მოქალაქეობის არქიონები“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ქმნიდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. გ. ე-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუმდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. გ. ე-ს სსიპ სა-

ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო სა-სამართლებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (150+300) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-ნილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ფ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სა-კასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. გ. ე-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ა. გ. ე-ს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-ტოს სასარგებლოდ დაეკისროს მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლებში საქმის განხილვისათვის სახელმწი-ფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზ-ღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სხვა ადგინისტრაციული აქტების კანონიერება

**ხადაზისულობის მოთივით აღმასკომის  
გადაცევაფილებისა და სარულივაზე უარის თქმის  
კანონიერება**

### განჩინება საქართველოს სახელით

№შს-417-417(კ-18)

29 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
გ. გოგიაშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების და-  
ვალება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

გ. ე-მ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს  
მობასუხე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ქ. ქუთა-  
ისის მუნიციპალიტეტის მერის 07.08.2015წ. №01/4468 ადმინისტრა-  
ციული აქტის ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის ქუთაისის სა-  
ქალაქო საბჭოს აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტი-  
ლების აღსრულების დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ...ის ქ.  
№19-ში მდებარე სახლში, რომელიც განთავსებული იყო 542 კვ.მ.  
მინის ნაკვეთზე. აღნიშნული ქონება გ. ე-მ მიიღო ბიძისგან – ქ.ე-  
სგან 11.08.1962წ. გაფორმებული, ნოტარიულად დამოწმებული ჩუ-  
ქების ხელშეკრულების საფუძველზე. ტექნიკური აღრიცხვის არ-  
ქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების თანახმად, გ. ე-ს სა-  
კუთრებაში ირიცხებოდა 90,14 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის 2/3 ნა-  
წილი, ამავე დოკუმენტით დგინდება, რომ სააღრიცხვო მასალა ქო-  
ნებაზე 20.07.1939წ. გაიხსნა. 1980-იანი წლების ბოლოს გ. ე- საც-  
ხოვრებლად გადავიდა ჯერ რუსეთის ფედერაციაში, ხოლო შემ-  
დგომ – უზბეკეთის რესპუბლიკაში, იგი არის რუსეთის მოქალაქე  
და მის სახელზე გაცემულია უზბეკეთის ბინადრობის მოწმობა.  
წლების განმავლობაში ის საქართველოში არ ჩამოსულა, ამასთანა-

ვე, ქ. ქუთაისში არ ცხოვრობდნენ აგრეთვე მისი ნათესავები ან ოჯახის წევრები. გ. ე-მ 2014 წელს შეიტყო, რომ ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 24.01.1990წ. მიიღო გადაწყვეტილება ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღების და ტერიტორიის ...ისათვის გადაცემის შესახებ, რაც განხორციელდა კიდეც. ამავე გადაწყვეტილებით აღმასკომმის საპინაო განყოფილებას დაევალა საცხოვრებელი ბინების გადაცემა იმ მოქალაქებისათვის, რომელთაც საკუთრება ერიცხებოდათ ...ის ქ. №19-ში. ტექნიკური აღრიცხვის საარქივო მონაცემებით დასტურდება, რომ აღმასკომმის 24.01.1990წ. გადაწყვეტილების მხოლოდ შე-5 პუნქტი იქნა შესრულებული, კერძოდ, გამოთავისუფლდა ...ის ქ. №19-ში მდებარე მინის ნაკვეთი და შეემატა ...ის ტერიტორიას. ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. №33 განკარგულებით ...ის ქ. №19-ში მცხოვრებ მოქალაქე ლ. ლ-ს საცხოვრებელი სახლისა და მინის ნაკვეთის სანაცვლოდ გამოიყო 4500 აშშ დოლარი, გადაწყვეტილება გ. ე-ს მიმართ არ მიღებულა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.04.2017წ. გადაწყვეტილებით გ. ე-ს საარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990 წ. №2.36.105 გადაწყვეტილებით განისაზღვრა, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღების საჭიროება მასში მცხოვრებ მოქალაქეთა მოქმედი საპინაო კანონმდებლობით საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებით, საცხოვრებელი სახლისა და ხილებუროვანი ნარგავების შეფასების ანაზღაურების გათვალისწინებით; საქალაქო საბჭოს აღმასკომმის საპინაო განყოფილებას დაევალა ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომმისათვის საცხოვრებელი ბინების სათანადო ფონდის გადაცემა ...ის ქ. №19-ში მცხოვრებ მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებლად; ნაგებობათა და ხილ-კენკროვანი ნარგავების შეფასებელ კომისიას დაევალა მოქმედი ფასდადებით ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის და ხილ-კენკროვანი ნარგავების შეფასება და დასამტკიცებლად სამიქალაქო საბჭოს აღმასკომმისთვის ნარდგენა; ...ის რაიონულ საბჭოს აღმასკომს დაევალა ...ის ქ. 19-ში მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება ოჯახის სულადობის მიხედვით, მოქმედი საპინაო კანონმდებლობის შესაბამისად; განისაზღვრა, რომ გამოთავისუფლებული მინის ნაკვეთი უნდა შემატებოდა ...ის ტერიტორიას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია აგრეთვე, რომ ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996 წ. №33 განკარგულებით განისაზღვრა ლ. ლ-ის ოჯახისთვის ...ის ქ. №19 საცხოვრებელი სახლისა და მინის ნაკვეთის სანაცვლოდ 1996 წლის 1 აპრილამდე

4500 აშშ დოლარის გამოყოფის საჭიროება, ხოლო ლ. ლ-ს დაევალა თანხის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში საცხოვრებელი სახლის და მიწის ნაკვეთის თავისუფალ მდგომარეობაში გამარჯვების მუნიციპალიტეტისთვის ჩაბარება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26.02.2014 წ. მომზადებული ცნობა-დახასიათების შესაბამისად ქუთაისში, ...ის ქ. (...ის ქ., ...ის გამზ.) №19-ში (...) მდებარე უძრავი ნივთის – მთელი საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილი (სართულების რაოდენობა 1, საერთო ფართი 90,14 კვ. მ., საცხოვრებელი ფართი 69,13 კვ. მ., დამხმარე ფართი 21,01 კვ. მ.) აღრიცხულია გ. ე-ს სახელზე. ცნობა-დახასიათების თანაბეჭდ სააღრიცხულო მასალებში ინახება ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 24.01.1990 წ. №2.36.105 გადაწყვეტილების ქსეროასლი, ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. №33 განკარგულება და ქუთაისის ...ის 02.09.1995 წ. მონერილობა, ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლთმფლობელობის გამონთავისუფლების და მიწის ნაკვეთის ...ზე მიკუთვნების, ხოლო მასში მცხოვრებ მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინებით დაქმაყოფილების შესახებ, რაც სააღრიცხვო ჩანაბერებით სისრულეში მოყვანილი არ არის. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ქ. ქუთაისში, ...ის ქ. №21-ში მდებარე უძრავი ნივთი (დაზუსტებული ფართი 2065 კვ.მ., საკადასტრო კოდი ...) რეგისტრირებულია სახელმწიფოს საკუთრებად. გ. ე-მ განცხადებით შიმართა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის და მოითხოვა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ, საცხოვრებელი ბინით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილება. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 07.08.2015წ. №01/4468 მიმართვით გ. ე-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაქმაყოფილებაზე ხანდაზმულობის საფუძვლით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1990 წლიდან. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილება არის შეთანხმება ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტსა და ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მცხოვრებ მოქალაქეთა შორის. როგორც თავად გადაწყვეტილებით ირკვევა, მისი მიღება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი არ შეესაბამებოდა ქალაქის იერსახეს და ხელს უშლიდა ...ის ნორმალურ ფუნქციონირებას. სასამართლომ ყურადღება გააძხვილა იმ გარემოებაზე, რომ მართალია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26.02.2014წ. მომზადებული ცნობა-დახასიათების თანახმად, აღ-

მასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, თუმცა ქუთაისის მერიის მიერ 15.01.1996წ. გამოიცა №33 განკარგულება ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ ლ. ლ-ისთვის 4500 აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე. დგინდება, რომ ლ. ლ-ი დათანხმდა სახლისა და მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ 4500 აშშ დოლარის მიღებას, რაზეც მას და მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებს წარდგენილი აქვთ ნოტარიული წესით დამტკიცებული განცხადებები. ამდენად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა ქუთაისის მერიასა და ლ. ლ-ს შორის, ამასთან, მოხდა სახლის სრული და არა მხოლოდ 1/3 ნაწილის განკარგვა. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება გ. ე-ს მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილი უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება მხოლოდ პირთა არაქონებრივ უფლებებსა და ანაბრებზე. სასარჩელო მოთხოვნის ვადის გაცდენა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველია. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მოთხოვნა ხანდაზმულია იმისდა მიუხედავად, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადაც სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადაც სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ნინა-აღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას. განსახილვები შემთხვევაში მოსარჩელე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ქმედების განხორციელების დაგაღების მოთხოვნას უკავშირებს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილებას, რომლის მიღებითან ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენამდე გასულია 25 წელი, ხოლო სკ-ის 128-ე მუხლის შესაბამისად საერთო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 10 წელს. ამდენად, სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 07.08.2015წ. მიღებული გადაწყვეტილება ხანდაზმულობის საფუძვლით გ. ე-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.04.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. ე-ს მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.01.2018წ. განჩინებით გ. ე-ს სააპელაციო საჩივა-

რი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (რომელიც მოქმედებდა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილებისა და ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996 წ. №33 განკარგულების გამოცემის დროისთვის) 89-ე მუხლის მიხედვით, მესაკუთრეს ჰქონდა ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება კანონით დადგენილ ფარგლებში. 93-ე მუხლის შესაბამისად, მიწა წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფო ქონებას და გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისთვის. 103-104-ე მუხლების მიხედვით, პირად საკუთრებაში შეიძლებოდა ყოფილიყო საცხოვრებელი სახლები ან მისი ნაწილები. იმავე კოდექსის 144-ე მუხლი ითვალისწინებდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის გამო სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევას მისი ღირებულების გადახდით. პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილება (რომელიც სადაც არ გამხდარა) წარმოადგენს შეთანხმებას ადმინისტრაციულ ორგანოსა და ქ.ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა შორის, მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საჭიროებისათვის გამოყენების, ამ მიწაზე განთავსებული მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლების, ასევე ნარგავების სანაცვლოდ მესაკუთრების სხვა საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებისა და შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების შესახებ. როგორც გადაწყვეტილებით ირკვევა, მისი მიღება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი არ შეესაბამებოდა ქალაქის იერსახეს და ხელს უშლიდა ...ის ნორმალურ ფუნქციონირებას. 1996 წლამდე ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, თუმცა ქ. ქუთაისის მერიამ 15.01.1996 წ. გამოსცა №33 განკარგულება, რომლითაც საფინანსო სამსახურს დაევალა ლ. ლ-ის ოჯახისათვის, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, 1996 წლის 1 აპრილამდე, - 4 500 აშშ დოლარის შესაბამისი ეროვნული გალუტის გამოყოფა. ლ. ლ-ს, თანხის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში, საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი თავისუფალ მდგომარეობაში უნდა ჩაეტარებინა გამარჯვების მუნიციპა-

ლიტეტისათვის. №33 განკარგულებაში აღნიშნული იყო ასევე, რომ ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღება კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მოქალაქე ლ. ლი-ი დათანხმდა სახლისა და მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ 4500 აშშ დოლარის მიღებას, რაზე-დაც მას და მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებს წარდგენილი ჰქონდათ ნოტარიული წესით დამტკიცებული განცხადებები. ხსენებული დოკუმენტის მიხედვით, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მთლიანად, და არა მხოლოდ 1/3 ნაწილი, შეთანხმული კომპენსაციის სანაცვლოდ გავიდა კერძო პირთა მფლობელობიდან. ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. №33 განკარგულება, რომლოთაც საკომპენსაციო თანხა გაიცა ლ. ლ-ზე ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღების გამო, – ამჟამინდელ მოსარჩელეს (როგორც ...ის ქ. 19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილის მესაკუთრეს) სადავოდ არ გაუხდია, ამასთან, გ. ე-ს არ წარმოუდგენია საკამარის მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ 1996 წლის მდგომარეობით (როცა ლ. ლ-ზე გაიცა საკომპენსაციო თანხა) გ. ე-ა კელავ წარმოადგენდა ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილის მესაკუთრეს. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ საქმის წარმოების პროცესში გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტების შესწავლით ერთმნიშვნელოვანად არ დადგინდა გ. ე-ს კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) მისამართი, მათ შორის არ დადგინდა ცნობა-დახასიათებაში მითითებული მისამართის: ქუთაისი, ...ის ქ. №19-ის და ...ის ქ./...ის გამზ. №19-ის (...) იდენტურობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.01.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩინერდა გ. ე-ს მიერ. კასატორმა ყურადღება გაამახვილა საკუთრების უფლების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ განსახილველი დავის ფარგლებში, საკუთრების ბუნებიდან გამომდინარე, მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადები, თუმცა ხანდაზმულობის ვადის გავრცელების შემთხვევაშიც კი, სარჩელი ხანდაზმული არ არის, რადგან, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილებაში არ არის განსაზღვრული ...ის ქ. №19-ში არსებულ საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა დაკმაყოფილების კონკრეტული ვადა. როგორც ამჟამად მოქმედი (სკ-ის 365-ე მუხ.), ასევე 1964წ. სამოქალაქო კოდექსი (169-ე მუხ.) ითვალისწინებდა ნორმას, რომლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისთვის არ არის განსაზღვრული დრო, კრედიტორს შეუძლია ნებისმიერ დროს მოიხოვოს მისი შესრულება. ამდენად, ვინაიდან აღმასკომის 1990წ. გადაწყვეტილებით არ ყოფილა განსაზღვრული ჩამორთმეული სახ-

ლის სანაცვლოდ დაკმაყოფილების კონკრეტული ვადა, მოთხოვნა წარდგენილ იქნა ხანდაზმულობის ვადის დაცვით. კასატორმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის შესახებ ქ. ქუთაისის მერიასა და ლ. ლ-ს შორის არსებული შეთანხმებითა და 15.01.1996წ. №33 განკარგულებით განიკარგა სახლის მხოლოდ 1/3 ნაწილი და არა სრული ფართი, რადგან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26.02.2014წ. მომზადებული ცნობა-დახასიათების მიხედვით, ქუთაისში, ...ის ქ. (...ის ქ., ...ის გამზ.), №19-ში (...) მდებარე მთელი საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილი აღრიცხული იყო გ. ე-ს სახელზე. შესაბამისად, ლ. ლ-ს მთელი საცხოვრებელი სახლის განკარგვის უფლება არ ჰქონდა, ამასთანავე, 15.01.1996წ. №33 განკარგულება არ შეიცავს ჩანაწერს გ. ე-ს ნილის განკარგვის შესახებ. კასატორმა აღნიშნა, რომ 15.01.1996წ. №33 განკარგულების გაუსაჩინობლობაზე სასამართლოს მითითება არ ასაბუთებს სარჩელის უსაფუძვლობას, რადგან აღნიშნული განკარგულება არეგულირებდა ურთიერთობას მერიასა და ლ. ლ-ის ოჯახს და არა გ. ე-ს შორის, არ არსებობდა აღნიშნული განკარგულების გ. ე-ს მიერ გასაჩინობლობის საჭიროება. კასატორმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემობაზე, რომ დავის არც ერთ ეტაპზე მოპასუხეს სადაც ვიდა არ გაუხდია კონკრეტულ მისამართზე გ. ე-ს საკუთრების არსებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2019წ. განჩინებით გ. ე-ს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე. საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის ნარმოება შეჩერდა გ. ე-ს გარდაცვალების (02.09.2018წ.) გამო, მისი უფლებამონაცელის დადგენიმდე. საკასაციო პალატის 13.01.2022წ. განჩინებით საქმის ნარმოება განახლდა, გ. ე-ს უფლებამონაცვლედ საქმეში ჩართულ იქნა ჟ. ე-ა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 24.01.1990წ. გამოიცა №2.36.105 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ...ის წინამდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყო 2 საცხოვრებელი სახლი, რომელთაგან ...ის ქ. №23/23-ა-ში მდებარე საც-

ხოვრებელი სახლი აღმასკომის 11.10.1989წ. გადაწყვეტილებით ექვემდებარებოდა აღებას, ხოლო ...ის ქ. №19-ში მდებარე ამორტიზებული საცხოვრებელი სახლის აღების შესახებ აღმასკომს ჯერ გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული. №2.36.105 გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი არ შეესაბამებოდა ქალაქის იერსახეს და ხელს უშლიდა ...ის ნორმალურ ფუნქციონირებას, რის გამო გადაწყვდა მისი აღება სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა მოქმედი საბინაო კანონმდებლობით საცხოვრებელი ბინების დაკმაყოფილების, საცხოვრებელი სახლი-სა და ხილ-კეცკროვანი ნარგავების შეფასების ანაზღაურების გათვალისწინებით (1-ლი პ.); საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილებას დაევალა ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომისათვის საცხოვრებელი ბინების სათანადო ფონდის გადაცემა ...ის ქ. №19-ში მცხოვრებ მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებლად (მე-2 პ.); შემთასებელ კომისიას დაევალა ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის შეფასება და საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის დასამტკიცებლად წარდგენა (მე-3 პ.); ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომს დაევალა ...ის ქ. №19-ში მცხოვრები მოქალაქების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება ოჯახის სულადობის მიხედვით, მოქმედი საბინაო კანონმდებლობის შესაბამისად (მე-4 პ.); გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთი უნდა შემატებოდა ...ის ტერიტორიას (მე-5 პ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი 26.12.1964წ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, მართალია მინა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფებოდა (93-ე მუხ.), თუმცა საცხოვრებელი სახლი შეიძლებოდა პირად საკუთრებაში ყოფილიყო (103-ე მუხ.). ამავე პერიოდში მოქმედი 04.06.1983წ. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მიხედვით, საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარება, მათ შორის დემონტაჟი, ხდებოდა სახალხო დეპუტატთა რაიონული/საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით (მე-10 მუხ.). ამასთანავე, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის გამო დაიშვებოდა სახელმწიფოს მიერ მოქალაქისათვის ქონების ჩამორთმევა მისი ღირებულების გადახდით, უკეთუ ჩამორთმევა არ ხდებოდა ჩადენილი სამართალდარღვევის სანქციონის მიზნით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 144-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილებაში სახლის დემონტაჟის საჭიროების საფუძვლად მიეთითა ერთი მხრივ სახლის ამორტიზე-

ბულ მდგომარეობაში ყოფნა და მეორე მხრივ – მისი ქალაქის იერ-სახისადმი შეუსაბამობა, ...ის ნორმალური ფუნქციონირების ხელ-შეშლა. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 102-ე მუხლის მი-ხედვით, მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების საფუძვლებს შორის სახელდებოდა საცხოვრებელი სადგომის აღე-ბის საჭიროება, ამასთანავე, ხაზგასმული იყო გამოსახლების საჭი-როება სხვა სანაცვლო კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგო-მის მიცემით, რომლის სტანდარტებზე მითითება ხდებოდა ამავე კოდექსის 106-ე, 108-ე მუხლებში. განსახილველ შემთხვევაში, იმ დროს მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების შესაბამისად, ქუთაი-სის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კო-მიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილებით დადგინდა ქუ-თაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის აღების საჭიროება, თუმცა მიეთითა, რომ ფართში მცხოვრები პირები სანაცვლოდ უნდა დაკ-მაყოფილებულიყვნენ შესაბამისი საცხოვრებელი ბინებით. 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების თანახმად, სანაცვლო საცხოვრებელი ფართების მიღება მოიცავდა რამდენიმე ეტაპს: პირველ ეტაპზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფი-ლებას უნდა გადაეცა ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომისათვის საც-ხოვრებელი ბინების სათანადო ფონდი (მე-2 პ.), შესაბამისი კომი-სის მიერ საცხოვრებელი სახლის შეფასება დასამტკიცებლად უნ-და წარდგენოდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის (მე-3 პ.), ხოლო სა-ბოლოოდ ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომის ...ის ქ. №19-ში მცხოვ-რები მოქალაქეები უნდა დაეკმაყოფილებინა საცხოვრებელი ბი-ნებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც 1990წ. აგრეთვე ამჟამად მოქმედი მოწესრიგების მიხედვით, ვალდებულების ძა-ლით კრედიტორი უფლებამოსილია მოსახოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, მათ შორის: ქონების გადაცემა, თანხის გადახდა და სხვ. (სკ-ის 316.1 მუხ., საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 153-ე მუხ.). ამდენად, დადგენას საჭიროებს როგორც მოთხოვნის უფლების მქონე პირი – კრედიტორი, ასევე ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი – მო-ვალე და ვალდებულების შინაარსი. აღმასკომის 24.01.1990წ. გა-დაწყვეტილების გამოცემისას მოქმედი საქართველოს სსრ სამო-ქალაქო სამართლის კოდექსის მე-4, 154-ე მუხლების შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი იყო აღმინის-ტრაციული აქტი. დაუსაბუთებელია ქვედა ინსტანციის სასამარ-თლოების მიერ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტი-ლების აღმასკომისა და ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახ-

ლში მაცხოვრებელ მოქალაქეთა შორის არსებულ შეთანხმებად მიჩნევა, სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლოა ფართის გადაცემის ხელშეკრულება დადებულიყო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები თავის თავში აერთიანებს ცალმხრივ და მრავალმხრივ მოწესრიგებებს, შესაბამისად, – ადმინისტრაციულ აქტებსა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს. ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ცალმხრივად სავალდებულო მოწესრიგებაა, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება (სზა-ის 2.1 მუხ. „ბ“ ქვ.პ.). განსახილველ შემთხვევაში 24.01.1990წ. გადაწყვეტილების მიღება მოხდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამის ნორმატიულ საფუძველზე დაყრდნობით, მიღებული დოკუმენტი არ არის მხარეთა შეთანხმების შედეგი, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივად გამოვლენილი, სავალდებულო ნება, რომელიც მხარის მოსაზრებების მიუხედავად, მის მიმართ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს იწვევს. ხელშეკრულება ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენის შედეგია, რომლის პირობების ჩამოყალიბება, შეცვლა, ძალაში შესვლა და გაუქმება, როგორც წესი, ხორციელდება ორმხრივი თანხმობით და მხარეთა ურთიერთმფარავი წების გამოვლენით, რაც განსახილველ შემთხვევაში არ არის სახეზე. ამასთანავე, ის, რომ ხსენებული გადაწყვეტილების გამოცემის პერიოდში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ იყო მიღებული, არ გამორიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოების მმართველობითი საქმიანობის სფეროში ინდივიდუალურ მოწესრიგებებს და შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შესაძლებლობას. ამდენად, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომს უნდა უზრუნველყოთ ...ის ქ. №19-ში მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, არ იკვეთება მაცხოვრებელთა ნების რაიმე სახის, სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი ზემოქმედება აქტით დადგენილი მოწესრიგების ფორმირებაში. გადაწყვეტილების მიღება მოხდა ნორმატიულად დადგენილი მიზნის – ამორტიზებუ-

ლი სახლების ჩანაცვლების და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის, ...ის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის საფუძვლით. სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივად მავალ-დებულებელი, იმპერატიული ნება: საცხოვრებელი სახლის აღების, გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთის ...ისათვის გადაცემის და საზარდოდ მაცხოვრებლების ბინძით უზრუნველყოფის შესახებ. არ დგინდება, რომ მაცხოვრებლებს შეეძლოთ გადაწყვეტილებით დადგენილი შედეგის კორექტირება, განსხვავებული წესის ფორმირების შეთავაზება. შესაბამისად, სახეზეა და ამდენად, ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ადმინისტრაციული აქტი. რაც შეეხება ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს, ასეთი 24.01.1990წ. გადაწყვეტილების თანახმად არიან ასალებ სახლში მაცხოვრებელი მოქალაქეები. საკასაციო პალატა თვლის, რომ კრედიტორში – ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლში მცხოვრებ მოქალაქეებში, იმთავითვე მოიაზრება საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე, რადგან საკუთრების არმქონე მაცხოვრებლებისაგან განსხვავებით მესაკუთრე კარგავდა არა მხოლოდ საცხოვრებელ ადგილს, არამედ კონკრეტულ ბინაზე საკუთრებასაც. მნიშვნელოვანია, რომ ბინის ფაქტობრივი მფლობელობის დროებით მიტოვებით, პირი არ კარგავს ბინის საკუთრების ან ფაქტობრივი მფლობელობის მოგვიანებით გაგრძელების უფლებას, რის გამო დროის კონკრეტულ მონაკვეთში ბინაზე ფაქტობრივი მფლობელობის განუხორციელებლობა არ ზღუდავს მესაკუთრის მიერ მომავალში ბინის საცხოვრებელი მიზნით გამოყენების შესაძლებლობას. „საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 15.07.1993წ. კანონის (ძალადაკარგულია 26.06.1997წ. სამოქალაქო კოდექსით) მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკაში ქონებაზე საკუთრების უფლებას კანონი იცავდა მესაკუთრის ადგილსამყოფლის მიუხედავად (1-ლი მუხ.). ამდენად, მესაკუთრე ყოველთვის მოიაზრება ფართის ფაქტობრივ თუ პოტენციურ მაცხოვრებლად. ამასთან, საკუთრების დაკარგვასთან ერთად იგი იმთავითვე კარგავს კონკრეტული ბინის საცხოვრებლად გამოყენების შესაძლებლობასაც, შესაბამისად, მისი კანონიერი ინტერესი მომეტებულად ილახება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკეთუ დადგინდება, რომ გ. ე- იყო ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილის მესაკუთრე, იგი მიჩნეულ უნდა იქნეს აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის უფლების მქონე პირად – კრედიტორად.

საქმეში დაცულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26.02.2014წ. გაცემული ცნობა-დახასიათება, რომლის თანახ-

မად ქუთაისში, ...ის ქ. (...ის ქ., ...ის გამზ.) №19-ში (...) მდებარე 542 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო საცხოვრებელი სახლი, რომლის 2/3-ის მესაუთორედ მითითებულია გ. ე-ა, უფლების დამ-დგენი დოკუმენტად კი – 18.08.1962წ. №1992 ჩუქების ხელშეკრუ-ლება. დავის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას სასამართლო-ში ნარდგენილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, კერძოდ, ქ. ქუ-თაისში, ...ის ქ. (...ის ქ., ...ის გამზ.) №19-ში (...) მდებარე უძრავი ნივ-თის შესახებ ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან მონაცემთა ელექ-ტრონულ ბაზაში სისტემურად მომზადებული საინვენტარიზაციო გეგმა და საარქივო მასალაში დაცული დოკუმენტების ასლები. სა-აპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტების შეს-ნავლით ერთმნიშვნელოვანად არ დადგინდა გ. ე-ს კუთვნილი საც-ხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) მისამართი, მათ შორის არ დადგინდა ცნობა-დახასიათებაში მითითებული მისამართის: ქუ-თაისი, ...ის ქ. №19-ის და ...ის ქ./...ის გამზ. №19-ის (...) იდენტურობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ხსე-ნებული მოსაზრება დაუსაბუთებელია, რადგან სააპელაციო პალა-ტის გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებას, მათი გაზიარე-ბის თუ გაზიარებაზე უარის თქმის საფუძვლებზე მითითებას. მხო-ლოდ ზოგადი მითითება საქმის მასალებზე, კონკრეტული დოკუ-მენტაციის ანალიზის, შეფასების გარეშე, არ ქმნის გ. ე-ს საკუთ-რების უფლების საეჭვოობის საქმარის დასაბუთებას, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას ...ის ქ. 19-ში მდებარე სახლის ნაწილზე გ. ე-ს საკუთრების უფლება სადავოდ არ გაუხდია. საკასაციო პა-ლატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა გამოთხვა საქმის გარე-მოებათა გამოკვლევის მიზნით იმთავითვე არ ადასტურებს საქმი-სათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების სათანა-დოდ გამოკვლევას. სასამართლოსთვის არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს ნინასნარ დადგენილი ძალა, სასამართლომ უნდა შეაფა-სოს მტკიცებულებები თავისი შინაგანი რჩმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც უნდა მოხდეს დასკვნის გამოტანა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ამასთანავე, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რჩმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილება-ში (სსკ-ის 105-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სა-სამართლოს განჩინება არ შეიცავს კონკრეტულ მტკიცებულებებ-ზე, მათ შინაარსზე, მათი შეფასების შედეგებზე მითითებას, მტკი-ცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა არ

იკვეთება. სასამართლოს ზოგადი დასკენია გ. ე-ს საკუთრების უფლების საეჭვოობის შესახებ მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა-დახასიათებით დადგენილად არის მიჩნეული ქ. ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილზე გ. ე-ს საკუთრების უფლების არსებობა, მოკლებულია სათანადო დასაბუთებას. მტკიცებულებათა შეფასების შედეგები, მათი გაზიარების თუ უარყოფის შესახებ სასამართლოს დასკვნები შესაბამის დასაბუთებასთან ერთად სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციის ნაწილში უნდა აისახოს, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. დაუშვებელია ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც პირი არის საკუთრების უფლების მატარებელი თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად. სააპელაციო პალატამ ცნობა-დახასიათებასა და საარქივო დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემების მიუხედავად დადგენილად არ მიიჩნია ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილზე გ. ე-ს საკუთრების უფლების არსებობა, თუმცა მას არ მიუთითებია გ. ე-ს საკუთრებაში არსებული ფართის რაიმე სხვა მდებარეობაზე, სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევის, მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრული და ობიექტური განხილვის გარეშე უარყო გ. ე-ს საკუთრების უფლება. ტექნიკური აღრიცხვის არქივის დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ქ. ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე უძრავი ქონების მისამართი არაერთგზის შეიცვალა. ტექნიკური აღრიცხვის წიგნის, საინვენტარო ბარათის, შენობის გეგმის, ტექ-აღრიცხვის ბიუროს მიერ გაცემული ცნობების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ...ის ქუჩის სახელწოდება თავდაპირველად იყო ...ის ქუჩა, ხოლო შემდეგ ...ის გამზირი. საქმეში დაცულია ტექ-აღრიცხვის სამსახურის მიერ 1954-2000 წლებში გაცემული არაერთი ცნობა, სახლისა და სამოსახლო ნაკვეთის გეგმა, ტექნიკური აღრიცხვის ბარათი, საინვენტარო ბარათი, საიდანაც დასტურდება, რომ ...ის ქ. №153-ში (ყოფ. ...ის ქ. №141) მდებარე სახლი თავდაპირველად ეკუთვნოდათ პ. ე-სა და პ. კ-ას. პ. ე-სგან სახლის შესაბამისი წილი გადაეცა შ. ე-ს, ხოლო 18.08.1962ნ. ჩუქების ხელშეკრულებით – მოსარჩელე გ. ე-ს. პ. კ-ას წილი 04.12.1975ნ. ნასყიდობის ხელშეკრულებით გადაეცა ო. ბ-ს, ხოლო შემდგომში 03.12.1993ნ. სამკეიფრო მოწმობით ჯ. ბ-ს. საარქივო დოკუმენტაციით დასტურდება აგრეთვე, რომ ...ის ქუჩას მოგვიანებით ეწოდა ...ის პროსპექტი, ხოლო გ. ე-ს და პ. კ-ას

(მოგვიანებით ბ...ის) სახლს მიენიჭა ნომერი 123. სახლის მისამართად ...ის № 153 მითითებულია მხოლოდ ერთ დოკუმენტში და ისიც იმ კონტექსტში, რომ პ. კა ქუთასიშვი მდებარე საცხოვრებლიდან ამონებურა სოფ. ...ში წასვლის გამო, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი არ გამორიცხავს ...ის ქ. № 153-ში მდებარე სახლის მისამართად ...ის პრ. № 123-ის მიჩნევას. ტექნიკური აღრიცხვის ბარათში სახლის მისამართად მითითებულია ...ის პროსპექტი № 123, შემდგომ ეს მისამართი გადახაზულია და ახალ მისამართად მითითებულია ...ის ქ. № 19. რაც შეეხება საკარმიდამო მინის ნაკვეთზე გაცემულ საინვენტარო ბარათს, მასში ქუჩის დასახელებად მითითებულია ჯერ ...ის ქუჩა, შემდეგ ...ის პროსპექტი, თუმცა ორივე დასახელება გადახაზულია, მათ ქვემოთ ქუჩის დასახელებად მითითებულია ...ის ქუჩა, რომელიც გადაუხაზავია. რაც შეეხება ნუმერაციას, მისამართის გრაფაში გადახაზულია № 153, № 123 და № 163, გადაუხაზავია № 17. სახლის მისამართად ...ის პრ. № 163 წერია აგრეთვე 1979წ. დათარიღებულ შენობის ლიტ. „ა“-ს გეგმაშიც და ნაგებობაზე გაცემულ საინვენტარო ბარათშიც, თუმცა საარქივო დოკუმენტაციის, მათ შორის, შენობის გეგმების ურთიერთშედარებით დგინდება, რომ საარქივო დოკუმენტაცია ეხება არსებითად მსგავს ნაგებობებს, რომელთა ერთი და იგივე ნაგებობად მიჩნევის შესაძლებლობა არ გამორიცხულა. გასათვალისწინებელია, რომ ნაგებობასთან დაკავშირებით გაცემულ საქმეში დაცულ საარქივო დოკუმენტაციაში არ იცვლება სახლის ინვენტარიზაციის ნომერი (ინვენტარიზაციის ნომერი (...)) მითითებულია გეგმაზე, ...ის განყოფილების საინვენტარო ბარათზე, შენობის ლიტ. A გეგმაზე, სამოსახლო ნაკვეთის გეგმაზე, შეფასების ფურცელზე, ფართის გაანგარიშების ჟურნალში, სხვა დოკუმენტაციაზე) და ფართზე უფლების მქონე პირთა მონაცემები (თუ არ ჩავთვლით შესაბამისი დადასტურებადი ტრანზაქციების შედეგად მესაკუთრეთა შეცვლას). ამდენად, ის, რომ საარქივო დოკუმენტაციის ნაწილში სახლის მისამართად მითითებულია არა ...ის პრ. № 123, არამედ № 163 იმთავითვე არ ადასტურებს სახლების სხვადასხვაობას. სააპელაციო პალატას არ შეუდარებია მისამართის გარდა ნაგებობათა სხვა მახასიათებლები, მაგ.: კონფიგურაცია, ფართობი, ნაგებობაზე უფლების მქონე პირები, უძრავი ნივთისთვის მინიჭებული საინვენტარო ნომერი, მოსაზღვრე ქუჩები და სხვ.. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვთ ქუჩის ნუმერაციის შეცვლის შესაძლებლობა, ამასთან, არ გამოირიცხება ხელით შეესებული დოკუმენტების ნაწილში ტექნიკური ხარვეზის დაშვების ალბათობაც. რაც შეეხება სახლის მისამართის შემდგომ ცვლილებას, როგორც აღინიშნა, ზემოთ მითითებული საარქივო დოკუმენტა-

ციიდან ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ...ის პროსპექტს (ყოფ. ...ის ქ.). მოგვიანებით ეწოდა ...ის ქუჩა. საქმეში დაცულია ტექ. აღ-რიცხვის სამსახურის მიერ გაცემული არა ერთი ცნობა, აგრეთვე ტექნიკური აღრიცხვის ბარათი, სადაც გ. ე-ს და ჯ. ბ...ის სახლის მისამართად მითითებულია ...ის ქ. №19. უფრო მეტიც, ტექ-აღრიც-ხვის სამსახურის მიერ გაცემულ ერთ-ერთ ცნობაში მითითება ხდე-ბა იმ გარემოებაზე, რომ აღმასკომის 24.01.1990ნ. №2.36.105 გა-დაწყვეტილებით (გადაწყვეტილება ბიუროში რეგისტრირებულია 12.09.1995წ.) უნდა აღებულიყო ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლი, რომელიც სწორედ გ. ე-ს და ჯ. ბ...ს ეკუთვნოდათ, ამასთა-ნავე, აღმასკომის 24.01.1990ნ. №2.36.105 გადაწყვეტილება შეი-ცავს ასაღები საცხოვრებელი სახლების ადგილმდებარეობის ცხად მონაცემებს, კერძოდ, მისამართის გარდა გადაწყვეტილებაში მი-თითებულია, რომ საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა ...ის ნინამ-დებარე ტერიტორიაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდი-ნარე, სააპელაციო პალატის დასკვნა გ. ე-ს საკუთრების უფლების საეჭვოობასთან დაკავშირებით არ არის დასაბუთებული. მართა-ლია, საქმეში დაცულ ზოგიერთ დოკუმენტში გ. ე-ს და ჯ. ბ...ის სახ-ლის მისამართად მითითებულია ...ის ქ. №17, თუმცა საკასაციო პა-ლატა თვლის, რომ აღნიშნული დოკუმენტები სათანადოდ არ შე-ფასებულა, კერძოდ, ...ის განცოფილების საინვენტარო ბარათში უძრავ ნივთთან დაკავშირებით მითითებულია არაერთი მონაცემი, მათ შორის, სახლის მესაკუთრები, მათი ნილები, რეგისტრაციის საფუძვლები, სახლის ძეგლი მისამართები და საინვენტარო ნომე-რი, 03.12.1993წ. გაცემულ კანონისმიერ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ასევე მითითებულია ნაგებობის და მისი ნაწილის მესა-კუთრის მახასიათებლები, უფლებადამდგენი დოკუმენტი, უძრა-ვი ნივთის საინვენტარო ნომერი. აღნიშნული მონაცემების შედა-რება არ მომხდარა იმ დოკუმენტაციასთან, რომელშიც ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის მონაცემებია ასახული, რის გამო სახლების იდენტურობა არ არის გამორიცხული. რაც შეეხება ჯ. ბ-ის საარქი-ვო მასალაში დაცულ განცხადებებს, იგი თავის მისამართად უთი-თებს ...ის ქ. №17-ს, თუმცა ზოგ შემთხვევაში №19-ს. სააპელაციო პალატამ მხოლოდ აღნიშნული ნუმერაციის სხვაობა მიიჩნია ...ის ქ. №19-ში მდებარე ნაგებობის ნაწილზე გ. ე-ს საკუთრების უფლების გამომრიცხავ საქმარის საფუძვლად, რაც გამოსაკვლევი საკითხი-სადმი ფორმალურ მიდგომას ავლენს. სააპელაციო პალატას არ შე-უფასებია საქმეში დაცულ საარქივო დოკუმენტაციაში ასახული უძრავი ნივთის მახასიათებლები, მასათანავე, არარელევანტურია სააპელაციო პალატის მითითება, რომ არ დგინდება ქუთაისში, ...ის ქ. №19-ის და ...ის ქ./...ის გამზ. №19-ის (...) იდენტურობა. №19 ...ის

ქუჩის ნუმერაციის ამსახველი მონაცემია, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუჩის წინა სახელწოდებების დროს (...ის ქ., ...ის გამზ.) ნუმერაცია განსხვავებული იყო, ქუჩის სახელწოდების ცვლილებასთან ერთად უძრავი ნივთების ნუმერაციაც იცვლებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შეფასებას საჭიროებს გ. ე-ს (უფლებამონაცვლე უ. ე-ა) დემონტირებული სახლის ნანილის მესაკუთრედ და ამდენად, მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტად მიჩნევის საკითხი.

რაც შეეხება მოვალეს – ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილებით ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლში მცხოვრებ პირთა ბინებით დაკმაყოფილება უნდა მოეხდინა ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გადაცემული საცხოვრებელი ბინების სათანადო ფონდიდან. მართალია დღეს მდგომარეობით კონკრეტული სუბიექტი აღარ არსებობს, თუმცა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს ვალდებულების მქონე სუბიექტის უფლებამონაცვლეს, რადგან ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო სწორედ მერიაა (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48.1, 50-ე მუხ.). გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 26.01.1993წ. №9 ბრძანებულებით დამტკიცებული „ქალაქ ქუთაისის მმართველობის შესახებ დროებითი დებულების“ მიხედვით სწორედ მერია ანაწილებდა საბინაო ფონდს (მე-3 მუხ.), წარმართავდა ქალაქის ტერიტორიაზე სოციალურ საქმიანობას (1-ლი მუხ.), ორგანიზაციას უწევდა საბინაო, კომუნალური და სხვა ობიექტების მშენებლობას მერიისათვის გამოყოფილი სახსრებით, ანარმოებდა საცხოვრებელი სახლების, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სოციალური უზრუნველყოფისა და საქალაქო დაქვემდებარების სხვა ობიექტების რეკონსტრუქციის, გაფართოებისა კეთილმოწყობის სამუშაოებს, იყენებდა და განკარგავდა მუნიციპალურ საკუთრებას, ხელს უწყობდა ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას და პრივატიზაციას (მე-3 მუხ.). მსგავს დებულებას შეიცავდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 28.07.1995წ. №292 ბრძანებულებით დამტკიცებული „ქალაქ ქუთაისის მმართველობის შესახებ დროებითი დებულებაც“ (მე-8 მუხ.), რომელიც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ 16.10.1997წ. ორგანული კანონით. თავის მხრივ აღნიშნული კანონი სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის აღმასრულებელ ორგანოდ ასახელებდა გამგეობას (9.3 მუხ.). ან მერი-

ას, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქი არ შედიოდა რაიონის შემადგენ-ლობაში (10.2 მუხ.), ხოლო გამგებლის/მერის უფლებამოსილებებს შორის მითითებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის სა-ბინაო ფონდის შექმნა და განკარგვა (25.1 მუხ. „დ“ ქვ.ვ., 26.3 მუხ.). „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ 16.10.1997ს. ორგანული კანონი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 16.12.2005ს. ორგა-ნული კანონით, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტი დასახელდა 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრედ (65.1 მუხ.), ხოლო თვითმმართველი ქალაქი მიჩნეულ იქნა იმ ქალაქის სამარ-თალმემკვიდრედ, რომელიც 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ შედიოდა რაიონის შემადგენლობაში (65.2 მუხ.), ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოდ კვლავ მიეთითა გამგება/მერია. აღნიშნული კანონის ძალადაკარგულად გამოც-ხადების შემდეგ მიღებულ იქნა ამჟამად მოქმედი ნორმატიული აქტი – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც ად-გილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოდ კვლავ მერს/მერიას ასახელებს (48.1, 50-ე მუხ). ამდენად, უდავოა, რომ ქ. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სა-მართალმემკვიდრეა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, შესა-ბამისად, სწორედ ის არის ვალდებულების შესრულებაზე პასუხის-მგებელი სუბიექტი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის უფლების მქონე (კრედიტორის) და ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებე-ლი სუბიექტების (მოვალის) დადგენის შემდეგ, დაზუსტებას საჭი-როებს სასარჩელო მოთხოვნაც, კერძოდ, სარჩელის თანახმად, მოთხოვნილია აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილე-ბის აღსრულების დავალება, თუმცა მითითება არ ხდება გადაწ-ყვეტილების კონკრეტულ პუნქტზე, ამასთანავე, გადაწყვეტილე-ბით გათვალისწინებულია არა მხოლოდ ...ის ქ. №19-ში მდებარე სახ-ლის მაცხოვრებლების ბინებით უზრუნველყოფა, არამედ აგრეთ-ვე ისეთი ვალდებულებებიც, როგორებიცაა საქალაქო საბჭოს აღ-მასკომის მიერ ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომისათვის საცხოვ-რებელი ბინების სათანადო ფონდის გადაცემა, შესაბამისი კომი-სის მიერ ნაგებობებისა და ხილ-კენკროვანი ნარგავების შეფასე-ბა, აღმასკომში შეფასების დასამტკიცებლად წარდგენა. მხარეთა განმარტების თანახმად, ...ის ქ. №19-ში არსებული სახლი დემონ-ტირებულია, შესაბამისად, მისი შეფასება მით უფრო სპეციალიზი-რებული კომისიის მიერ, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს, ვე-ღარ მოხდება. გასათვალისწინებულია ისიც, რომ ქ. ქუთაისის მუ-

ნიციპალიტეტის მერიის სადაცო 07.08.2015წ. აქტის თანახმად, გ. ე-ა ითხოვდა 24.01.1990წ. გადაწყვეტილების მხოლოდ მე-4 პუნქტის აღსრულებას, საცხოვრებელი ბინით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებას. სარჩელში მოსარჩელე შემოიფარგლა 24.01.1990წ. გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, კონკრეტული პუნქტის მითითების გარეშე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების ის პუნქტი, რომლის აღსრულების ინტერესიც არსებობს. ამასთანავე, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადებით გ. ე-ა ითხოვდა ბინით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი ან ალტერნატიული, სასარჩელო მოთხოვნა კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. მართალია სარჩელის შეცვლად არ ითვლება ნივთის ნაცვლად მისი ღირებულების მოთხოვნა (სსკ-ის 83.4 მუხ.), თუმცა ეს არ გამორიცხავს თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის კონკრეტულად ჩამოყალიბების საჭიროებას. სასარჩელო მოთხოვნების დასაბუთება შესაძლოა იყოს ალტერნატიული, თუმცა თავად მოთხოვნა მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები შესაძლოა განსხვავებული იყოს. უკეთუ სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება, აღნიშნული ექცევა 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, თუმცა ბინის ნაცვლად მისი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, ფაქტობრივად 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. ამდენად, უნდა დაზუსტდეს მოთხოვნა, კერძოდ, მოსარჩელე ითხოვს აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების კონკრეტული პუნქტის აღსრულებას თუ 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. ამასთანავე, თანხის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში უნდა შეფასდეს საცხოვრებელი ბინის გადაცემით აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა, რადგან უკეთუ ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, გამორიცხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც ფაქტობრივად შესრულებას ანაცვლებს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ არის პირვე-

**ლადი მოთხოვნა.**

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების დაცვის თვალსაზრისით რიგ შემთხვევებში გა-დამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დროს. დრო იწვევს სამართლებ-რივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწ-ყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შე-საძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.04.2003წ. №1/3/161 გადაწყვე-ტილება საქმეზ „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშ-ვილი და იგორ ხაპროვა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III), სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარ-გავს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას. ვა-და დასაწყისითა და დასრულების მომენტით შემოფარგლული გან-საზღვრული ან განსაზღვრებადი დროის შუალედია, იგი უთითებს სამართლებრივად მნიშვნელოვან დროის პერიოდზე, რომლის ფარ-გლებში სამართლებრივი შედეგის წარმოშობი რაიმე ქმედება ან ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს. დაესი გადაწყვეტის მიზ-ნებისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ვადებს შორის ერთ-ერთი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა (სუსგ 21.07.2022წ. №ბს-1020(კ-19)), რომლის დენის დასაწყისისა და დასრულების მომენ-ტის ზუსტი განსაზღვრა შესაძლოა გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებდეს, რადგან მოთხოვნის ხანდაზმულობა სპობს მისი იძუ-ლებით განხორციელების შესაძლებლობას. ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პირის მოთხოვნის წინაარსა და სამართლებრივ ბუნებაზე, მათ შორის მოთხოვნის წარმოშობის წი-ნაპირობებზე. კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ზოგად და სპეციალურ ვადებს, აგრეთვე ხანდაზმულობის ვადის ათვლის სპეციფიკურ წესს, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ვალდებუ-ლების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება (ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხ., საქართველოს სსრ სამოქალა-ქო სამართლის კოდექსის 169-ე მუხ.). განსაზილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღმასრულებელი კომიტეტის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტი-ლებით დადგინდა ქუთაისში, ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის აღე-ბის და სანაცვლოდ ფართში მცხოვრები პირების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების საჭიროება. ამასთანავე, გადაწყვეტი-ლებაში არ არის მითითებული კონკრეტული ვადა, რომლის ფარ-გლებშიც საცხოვრებელი სახლის აღება თუ მაცხოვრებელთა ბი-ნებით დაკმაყოფილება უნდა მომხდარიყო. საქმეში დაცულია ...ის

სამსახურის 03.08.2000წ. წერილი, რომლის თანახმად, ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლი წერილის მომზადების მომენტისთვის აღებული არ იყო. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის დემონტაჟის კონკრეტულ თარიღზე მიუთითებს. ამდენად, აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 24.01.1990წ., თუმცა გაურკვეველია როდის მოპყვა მას სახლის დემონტაჟი, ანუ ის შედეგი, რომელიც შესაძლოა გ. ე-ს უფლებების შელახვას დადებოდა საფუძვლად. მართალია აღმასკომის 24.01.1990წ. გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სადაცო არ გამხდარა და ამდენად, ეჭვევეშ არ დამდგარა სახლის აღების გადაწყვეტილების კანონიერება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სახლის აღებას უნდა მოპყოლოდა ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის მაცხოვრებლების ბინებით დაკმაყოფილება, რაც გ. ე-სთან მიმართებით არ მომხდარა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღმასკომის 24.01.1990წ. №2.36.105 გადაწყვეტილების თანახმად, აღებული სახლის სანაცვლო საცხოვრებელი ფართების მიღება მოიცავდა რამდენიმე ეტაპს: პირველ ეტაპზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილებას უნდა გადაეცა ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომისათვის საცხოვრებელი ბინების სათანადო ფონდი (მე-2 პ.), შესაბამისი კომისიის მიერ საცხოვრებელი სახლის შეფასება დასამტკაცებლად უნდა წარდგენოდა საქალაქო საბჭოს აღმასკომს (მე-3 პ.), ხოლო საბოლოოდ ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომს ...ის ქ. №19-ში მცხოვრები მოქალაქეები უნდა დაეკმაყოფილებინა საცხოვრებელი ბინებით. ამდენად, სახლის აღებიდან მაცხოვრებელთა ბინებით დაკმაყოფილებამდე უნდა მომხდარიყო საცხოვრებელი სახლის შეფასება და ...ის რაიონული საბჭოს აღმასკომისთვის ბინების სათანადო ფონდის გადაცემა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ აღნიშნული წინაპირობების შესრულება, არ შეფასებულა აღნიშნული წინაპირობების შეუსრულებლობის პირბებში გ. ე-ს მოთხოვნის წარმოშობის და ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საკითხი. ვალდებულების შესრულების ვადა შესაძლებელია განისაზღვროს კანონით, ხელშეკრულებით, ვალდებულების წარმოშობი რაიმე აქტით ან სხვა გარემოებებით, რომლითაც ვალდებულების შესრულების დრო ირკვევა. აღნიშნულ ე.ნ. „სხვა გარემოებებს“ მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების წარმოშობი აქტით მისი შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის, რის გამო საჭირო ხდება შესრულების გონივრული, მოსალოდნელი, საორიენტაციო დროის განსაზღვრა. სხვა გარემოებების მიხედვით შესრულების დროის განსაზღვრა როგორც წესი, შესასრულებელი ვალდებულების ბუნებასა

და შინაარსზეა დამოკიდებული. სხვა გარემოებებში შესაძლოა მოვიაზროთ მათ შორის წინმსწრებად შესასრულებები ვალდებულებები, რომლებიც საბოლოოდ კონკრეტული ვალდებულების შესრულების საჭიროებას წარმოშობს. განსახილველ შემთხვევაში აღმასკომის 24.01.1990წ. გადაწყვეტილებაში ან რაიმე სხვა აქტში პინების გადაცემის ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ ყოფილა, თუმცა 24.01.1990წ. დადგენილებაში მითითებული იყო სწორედ ის „სხვა გარემოებები“, რომელთა შესრულება წარმოშობდა საბოლოო ვალდებულების – ბინების გადაცემის შესრულების წინაპირობებს, კერძიდ, სახლის შეფასება, სახლის აღება და რაიონული საბჭოს აღმასკომისთვის იმ ბინების ფონდის გადაცემა, რომელთა მეშვეობით შემდგომში უნდა მომხდარიყო ...ის ქ. №19-ში მცხოვრები პირების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. სახლის აღების კონკრეტული თარიღი ან შესაბამისი საბინაო ფონდის გადაცემის ფაქტი არ დადგენილა. ამდენად, ე.წ. „სხვა გარემოებებიდან“ ვალდებულების შესრულების დრო ცალსახად არ დგინდება, რის გამო სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევა არ არის საკმარისად დასაბუთებული. კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა ვალდებულების შესრულების დროის ამონურვიდან იწყება, თუმცა თუ ვალდებულების შესრულებისთვის დრო განსაზღვრული არ არის და იგი არც სხვა გარემოებებიდან ირკვევა, მაშინ მოვალე შესრულების ვადაგადამციოლებლად არ მიიჩნევა, რის გამო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა ვერ ხდება. სწორედ აღნიშნულით არის განსაზღვრული სკ-ის 365-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოთხოვოს მისი შესრულება. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს შესრულების მოთხოვნის უფლება არ არის აბსოლუტური, სკ-ის 365-ე მუხლი სკ-ის 129-ე მუხლთან ერთობლიობაში უნდა განიმარტოს (სუსგ 08.06.2007წ. №ას-48-401-07 განჩინება, სუს 06.07.2018წ. №ას-515-515-2018 განჩინება, გ43), წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორს ათვლებულების გასვლის შემდეგაც შეუნარჩუნდება მოთხოვნის უფლება, რაც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების, ბრუნვის სტაბილურობისა და განსაზღვრულობის პრინციპს. ამდენად, კრედიტორის უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ექვემდებარება ხანდაზმულობას, რომლის ათვლა უნდა დაიწყოს იმ გონივრული მოლოდინიდან, რომელიც კრედიტორს შესრულების დროსთან დაკავშირებით აქვს. ამასთანავე, „გონივრული მოლოდინის“ შეფასებისას მხედ-

ველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ ობიექტური ფაქტორები, ვალდებულების ხასიათი, შესრულების მიმართ ინტერესი და სხვ., არამედ ასევე სუბიექტური ფაქტორებიც. განსახილველ შემთხვევაში გონივრული მოლოდინის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსარჩელის განმარტებები იმის შესახებ, რომ ის საქართველოში არ ცხოვრობდა, არ ჰქონდა ინფორმაცია თავის ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარე ქმედებების შესახებ. ამასთანავე, საქმის მასალებით არ დგინდება ნაგებობის დემონტაჟის კონკრეტული დრო, არ არის წარმოდგენილი ასევე რამე დოკუმენტაცია, რომელიც აღმასკომის ან შუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღმასკომის 24.01.1990წ. აქტის ან ნაგებობის დემონტაჟის შესახებ გ. ე-ს ინფორმირებას დაადასტურებს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, პირს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ მის მიერ კანონის შესაბამისად მოქმედების პირობებში, მისი ინფორმირების გარეშე მისი ქონების მიმართ რაიმე აქტის გამოცემა არ მოხდება ან რაიმე ქმედებები არ განხორციელდება. შესრულების დროს განუსაზღვრელობისა და დაუდგენლობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც კრედიტორისათვის ცნობილი გახდება თავისი უფლების დარღვევის შესახებ, კერძოდ, როდესაც კრედიტორი მოითხოვს შესრულებას, ხოლო მოვალე ვალდებულების შესრულებაზე უარს იტყვის ან გონივრულ ვადაში არ შეასრულებს მას (სუს 05.09.2012წ. №ას-444-419-2011 განჩინება, სუს 07.10.2005წ. №ას-438-726-05 განჩინება). განსახილველ შემთხვევაში გ. ე-ს საცხოვრებელი პინის გადაცემაზე, აღმასკომის 24.01.1990წ. გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარი ეთქვა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 07.08.2015წ. აქტით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და მოვალე ვალდებულების შესრულებაზე ხანდაზმულობის საფუძვლით ამბობს უარს, ასეთ შემთხვევაში სწორედ მოვალემ უნდა წარმოადგინოს ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტის დამდგენი მტკიცებულებები, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა. ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგადი განმარტებები სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ არ ქმნის საკმარის დასაბუთებას. სარჩელის ხანდაზმულობას არ ადასტურებს აგრეთვე აღმასკომის გადაწყვეტილების 1990 წელს მიღება, რადგან არ არის დადგენილი მისი გაცნობის და აღსრულების კონკრეტული დრო. საქმის მასალებში დაცულია წერილობითი მტკიცებულებები, მათ შორის ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. №33 განკარგულება და ...ის სამსახურის 03.08.2000წ. წერილი, რომელთა თანახმად, როგორც 1996 წელს, ასევე 2000 წლის

აგვისტოში ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლი ჯერ არ იყო დემონტირებული.

სააპელაციო პალატისა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრება, რომ 15.01.1996წ. განკარგულებით ლ. ლ-ს გამოეყო ქ. ქუთაისში, ...ის №19-ში მდებარე სახლის სრული და არა მხოლოდ 1/3 ნილის ლირებულება, რის გამო მერიას სახლის აღებიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულება აღარ ეკისრება, არ ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უძრავ ქონებაზე უფლებას მხოლოდ პირის ნება არ აფუძნებს. საქმეში დაცულია ტექ-ალრიცხვის არქივიდან გამოთხოვილი სააღრიცხვო მონაცემები, რომელთა თანახმად იკვეთება ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის მახასიათებლები, მასზე უფლების მქონე სუბიექტები. სააპელაციო პალატას არ მიუთითებია უძრავ ნივთზე რაიმე უფლებადამდგენ დოკუმენტზე, რომელიც ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის სრულ ფართზე ლ. ლ-ის უფლებას დაადასტურებდა და გ. ე-ას უფლებას გამორიცხავდა. მხოლოდ პირის ცალმხრივი ნება იყოს კონკრეტული უძრავი ქონების სრული ფართის მესაკუთრედ მიჩნეული, არ აცევეს მას ამ ქონების მესაკუთრედ. ამდენად, ლ. ლ-ს თანხმობა რომც განცხადებინა ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის აღების სანაცვლო სრული კომპენსაციის მიღებაზე, ქ. ქუთაისის მერიას მარნც არ წამოებოდა ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის სრულ ფართზე ლ. ლ-ის მესაკუთრედ მიჩნევის საკმარისი საფუძველი. მართალია ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. განკარგულებაში სახლის ნილი, რომლის სანაცვლო ანაზღაურებაც ლ. ლ-ს უნდა მიეღო, არ არის დაკონკრეტული, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ლ. ლ-ის საკუთრების უფლების წარმოშობას სახლის მთლიან ფართზე, 15.01.1996წ. განკარგულება არ არის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმომმობი დოკუმენტი, განკარგულებით განისაზღვრა უკვე ლ. ლ-ის საკუთრებაში მყოფი ქონების აღების სანაცვლოდ შესაბამისი კომპენსაციის გაცემის და არა რაიმე ფართზე ლ. ლ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის წინაპირობები. ამდენად, 15.01.1996წ. განკარგულებაში მითითებულ ...ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში უნდა მოვიაზროთ საცხოვრებელი სახლის ის ნილი, რომელზეც ლ. ლ-ს შესაბამისი უფლებადამდგენი დოკუმენტი გააჩნდა. უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის დადგენის თავისებურების მიუხედავად სააპელაციო პალატამ სრულად უგულებელყო ტექ-ალრიცხვის ბიუროს საქმეში დაცული დოკუმენტაცია, არ დაადგინა 15.01.1996წ. განკარგულების გამოცემის დროისათვის ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლზე უფლების მატარებელი სუბიექტები, არ იმსჯელა ამ მიმართებით მოსარჩელე გ. ე-ს უფლებადამდგენ დოკუ-

მენტებზე. სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ საქმეში დაცული დოკუმენტებით არ დადასტურდა 1996 წელს ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის ნაწილზე გ. ე-ს საკუთრების უფლების კვლავ არსებობა, არ არის დასაბუთებული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუ საწინააღმდეგო არ დასტურდება, პირი საკუთრების უფლებას იღებს უვალოდ, რაიმე ნინაპირობის, მისი განახლების საჭიროების გარეშე. მესაკუთრე არ არის ვალდებული რაიმე პერიოდულობით მოიპოვოს ცნობები ან სხვა სახის მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ქონება კვლავ მის საკუთრებაშია. ნივთზე ერთხელ შეძენილი საკუთრების უფლება განაგრძობს არსებობას მისი შეწყვეტის წინაპირობების წარმოშობამდე, მაგ. როგორებიცაა: ქონების გაყიდვა ან სხვა ფორმით გასხვისება. 15.01.1996წ. განკარგულების გამოცემისას მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა კერძო საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლის გასხვისების შესაძლებლობას (238-ე მუხ.). და ადგინდა ქალაქში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებისა და დარეგისტრირების აუცილებლობას (239-ე მუხ.). ნორმატიულად დადგენილი იყო აგრეთვე, რომ საკუთრების უფლების შეწყვეტა ხდებოდა მესაკუთრის მიერ საკუთრების ობიექტის გასხვისების ან საკუთრებს იბიექტის მოსპობის შედეგად (1996წ. მოქმედი „საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 15.07.1993წ. კანონის მე-6 მუხ.). სააპელაციო პალატას არ მიუთითებია ნასყიდობის ხელშეკრულების ან გ. ე-ს საკუთრების უფლების გაუქმების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაციის თუ რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების შესახებ, არ დადასტურებულა 1996 წლისთვის გ. ე-ს საკუთრების უფლების სხვა პირზე გადასვლა ან რაიმე სხვა გზით გაუქმება. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ტექ-ალრიცხვის ბიუროს საქმეში წარმოდგენილი მონაცემებით, რომელიც მათ შორის ქ. ქუთაისის მერიისთვისაც იქნებოდა ხელმისაწვდომი, არ იკვეთება მერიის გონივრულ მოლოდინის წარმომშობი რაიმე საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ მან ქონების სრული ფართის სანაცვლო ანაზღლურებასთან დაკავშირებით გამოსცა 15.01.1996წ. განკარგულება. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ 1996წ. მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, საცხოვრებელ სახლზე ან მის ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულებას რეგისტრაციაში ატარებდა სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საპქოს აღმასრულებელი კომიტეტი (239-ე მუხ.), რომლის უფლებამონაცვლეც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე

იმ გარემოებას, რომ საქმეში არ არის დაცული 15.01.1996წ. განკარგულების გამოცემის დროისათვის ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის ღირებულების დამდგენი მტკიცებულებები, შესაბამისად, არ დასტურდება, რომ 4500 აშშ დოლარი იყო მთლიანი სახლის ღირებულება. ამასთანავე, მართალია 15.01.1996წ. განკარგულების შესავალი ნაწილის მიხედვით ლ. ლ-ის ოჯახის წევრებს წარდგენილი აქვთ ნოტარიული წესით დამტკიცებული განცხადებები სახლის აღების სანაცვლოდ კონკრეტული თანხის მიღების შესახებ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არ დადგენილა ლ. ლ-ის ოჯახში გ. ე-ს მოქცევის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ 15.01.1996წ. განკარგულებით მთლიანი სახლის სანაცვლო თანხის ანაზღაურება დადგინდა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვისას, განკარგვა შეიძლება ნამდვილად აქციოს მხოლოდ იმ პირის თანხმობამ, რომელიც იყო განკარგვაზე უფლებამოსილი სუბიექტი. განსახილველ შემთხვევაში, მართალია ლ. ლ-ის ოჯახის წევრებმა თანხმობა გასცეს ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის განკარგვაზე, თუმცა არ დგინდება მათი უფლება უძრავ ნივთთან მიმართებით, არაუფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა ვერ გამოასწორებს განკარგვის ხარვეზს. შესრულება ვალდებულების შეწყვეტას მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს უკეთუ შესრულების მიღებას კრედიტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ახდენს. აღნიშნული გარემოებების არარსებობის პირობებში იგულისხმება, რომ კრედიტორს შესრულება არ მიუღია. ის, რომ შესრულება განხორციელდა და იგი უფლებამოსილმა პირმა მიიღო მოვალის მტკიცების ტვირთს შეადგენს, ქ. ქუთაისის მერიის მხოლოდ ზოგადი ახსნა-განმარტებები ლ. ლ-ისთვის თანხის გადაცემით სახლის სრული ღირებულების ანაზღაურების შესახებ, არ ასაბუთებს სარჩელის უსაფუძვლობას. სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობა არ დგინდება აგრეთვე იმ გარემოებით, რომ გ. ე-ს ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. განკარგულება არ გაუსაჩივრებია, რადგან ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ არ დასაბუთებულა აღნიშნული განკარგულებით გ. ე-ს კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენება. კასატორი თვლის, რომ ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. განკარგულება ...ის ქ. №19-ში მდებარე სახლის მის წილზე არ ვრცელდება, რის გამო არ აყენებს ზიანს და ამდენად, არ არსებობდა გასაჩივრების საჭიროებაც.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს უნდა ემსჯელათ აგრეთვე საქმეში ლ. ლ-ის მესამე პირად ჩართვის საჭიროებაზეც, რადგან საქმეში ერთ-ერთ გამოსაკვლევ საკითხს შეადგენს ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. განკარგულე-

ბის ფარგლები. უკეთუ ქ. ქუთაისის მერიის მიერ ლ. ლ-ისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა – 4500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, განსაზღვრული იყო სახლის მთლიანი ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ და ლ. ლ-ს აღნიშნული თანხა მიღებული აქვს, მაშინ შესაძლოა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მის მიმართ წარმოშვას გარკევული ვალდებულებების დაკასრების საფუძველი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია იცის, რომ არ გამოკვლეულა ქ. ქუთაისის მერიის 15.01.1996წ. განკარგულების აღსრულების მიზნით ლ. ლ-ისათვის შესაბამისი თანხის გადაცემის საკითხი. უკეთუ 1996 წლის განკარგულებით გათვალისწინებული თანხა ქ. ქუთაისის მერიას არ გაუცია, აღნიშნული დამატებით დაადასტურებს მერიის მოსაზრების უსაფუძვლობას იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ლ-ისათვის 4500 აშშ დოლარის გადახდით მის მიერ შესრულდა სახლის აღებასთან დაკავშირებული ვალდებულება და სახლის სრული ღირებულა აუნაზღურდა განკარგულების ადრესატს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ოფიციალური, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. ე-ს (გ. ე-ს უფლებამონაცვლის) საკასაციო საჩივრი დაკ-

მაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სა-სამართლოს 16.01.2018ნ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვი-სათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გა-დაწყვეტილების დადგენისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება.

## სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ აღმინისტრაციული აქტის კანონირება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ბს-382(კ-22)

5 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
თ. ოქროპირიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2021 წლის 24 აგვისტოს გ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – სპეციალური პენიტენციური სამსა-  
ხურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს  
მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სპეცია-  
ლური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მე-  
სამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ივლისის №03/21/შ/პ/-0340  
გადაწყვეტილება; ბ) დაევალოს სპეციალური პენიტენციური სამ-  
სახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს  
გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტი, რომლითაც დაკმაყოფილდება შუამდგომლობა გ. ს-ეის

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ.

სარჩელის თანახმად, გ. ს-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით. ამავე სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. მოსარჩელე თავდაპირველად მოთავსებულ იქნა №16 სასჯელადსრულების დაწესებულებაში, სადაც დაწესებულების ხელმძღვანელი პირების მიერ მის მიმართ განხორციელდა წამება, რის გამოც მოცემული დაწესებულების თანამშრომლები მიცემულ იქნენ პასუხისმგებაში. აღნიშნულის შემდეგ გ. ს-ე გადაყვანილ იქნა №15 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ამჟამად იხდის სასჯელს. ვინაიდან გ. ს-ემ მოიხადა სასჯელის 2/3-დი, მან მიმართა თხოვნით სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საპჭოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, რაზედაც განმცხადებელს საბჭოს 2021 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ იგი არის წარსულში ნასამართლევი და აღნიშნული დანაშაული ჩადენილი აქვს პირობით მსჯავრის მოქმედების პერიოდში, ასევე საკითხის განხილვისას საბჭო მხედველობაში იღებს დაზარალებულის პოზიციას, რაც მოცემულ საქმეში წარმოდგენილი არ არის.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელის ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახს, ფაქტობრივად, უმუშევარ დედას და ორ დას, არ შეუძლია დააკმაყოფილონ დაზარალებულის მოთხოვნები, რათა თავის მხრივ, დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნდეს. მოსარჩელეს ადრეულ ასაკში მამა გარდაეცვალა, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მოზარდის ფსიქიკაზე. ოჯახში გ. ს-ე ერთადერთი მამაკაცია, რომელმაც თავისი ცეკვით პენიტენციურ დაწესებულებაში დაამტკიცა, რომ ვადაზე ადრე განთავისუფლების შემთხვევაში, იგი იქნება ერთადერთი მარჩენალი ოჯახის, მით უფრო, მისი სამომავლო გეგმაა დასაქმება და ოჯახზე ზრუნვა.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ს-ემ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს განიცადა წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა დაწესებულების თანამშრომლებისაგან, იგი მაინც ზრდილობიანი და თავაზიანია პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ, ასევე თავაზიანია მსჯავრდებულების მიმართ, რაც ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობაზე შეცვლისათვის. ყო-

ველივე აღნიშნული კი მის ადამიანურობასა და გამოსწორებაზე მიუთითებს. როგორც პენიტენციური დაწესებულების მხრიდან, ასევე მეზობლებისაგან იგი ხასიათდება დადებით პიროვნებად, სასჯელის მოხდის პერიოდში რაიმე დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა და უფრო მეტიც, დადებითი ქცევის გამო პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ გ. ს-ე არის წახალისებული, კერძოდ, მას მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაქმანით სარგებლობის უფლება, ასევე მონანილეობას იღებდა დაწესებულებაში მიმდინარე ეკლესიის მშენებლობაში, რისთვისაც დაჯილდოვდა საპატრიარქოს სიგელით, ... თ. (ნ-ი) გ. ს-ეს დახასიათებაში მოიხსენიებს თავის სულიერ შვილად და უწევს რეკომენდაციას. რაც შეეხება მის წარსულს, კერძოდ, პირობითი მსჯავრის დროს დანაშაულის ჩადენას – ეს ფაქტია და მისი გამოსწორება შეუძლებელია. გ. ს-ემ ფაქტობრივად 11 წელი მოიხადა ჩადენილი დანაშაულისათვის, საუკეთესო წლები გაატარა საპატიმროში, იგი პენიტენციურ დაწესებულების მხრიდან სამაგალითოდაა მოხსენებული, გამოსწორებულია და მისი ერთადერთი მიზანია დაუბრუნდეს ოჯახს, შეძლებისდაგვარად მიაღწიოს დაზარალებულთან შერიგებას, თუ ეს საერთოდ შესაძლებელი იქნება. ასევე, თავისი კეთილსინდისიერი შრომითა და ქცევით გამოასწოროს ახალგაზრდობაში ჩადენილი დანაშაული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ს-ეის სარჩევი არ დაკმაყოფილდა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩევის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ს-ეის სააპელაციო საჩივრარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ს-ეის სარჩევი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ივლისს №03/21/შ/3-0340 გადაწყვეტილება და სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის

მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა პატიმრობის კოდექსის 41-ე, 43-ე მუხლებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ საჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათვავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესზე“ და განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ დანაშაულის ხასიათზე ხაზგასმა და ამ მოტივით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ნიშავს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლას. ერთი მხრივ, კანონმდებლობითვე არის გათვალისწინებული მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, შესაბამისი პირობების არსებობისას, შინაპატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი, საყურადღებოა საბჭოს შექმნის მიზანი, როგორიცაა რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. რესოციალიზაცია გულისხმობს დამნაშავის კანონმორჩილ მოქალაქედ გადაქცევის მიზანმიმართულ პროცესს, მისი შემდგომი თავისუფალი ცხოვრებისათვის მომზადებას. ამასთან, დამნაშავის რესოციალიზაცია თავისთავად კავშირშია ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანთან, ანუ თუ მოხდება დამნაშავის რესოციალიზაცია, თავისთავად შემცირდება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკიც. დანაშაულის ხასიათის კრიტერიუმის შეფასებასთან ერთად, ადმინისტრაციულ ორგანოს სადაც გადაწყვეტილებით უნდა შეეფასებინო დამატებითი გარემოები, როგორც ეს დადგენილია ზემოაღნიშნული წესით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ს-ეს აქვს დადებითი დახასიათება პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში, სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა დასჯილი და არ დაკისრება დისციპლინური სახდელი, ასევე წახალისებულია. მისი გეგმები სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ოჯახსა და დასაქმებას უკავშირდება, სასჯელის მოხდის პერიოდში რამე დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია. უფრო

მეტიც, წარმოდგენილია დაზარალებულთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები მსჯავრდებულის მიმართ პრეტენზიის არქონის, ასევე, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

პალატამ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამდღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. ამასთან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებორჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის შემთხვევაში, ისარგებლის გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს, რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში ვერ შეძლებს.

პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს უფლებამოსილება – სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციისა და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს თითქმის არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ძრონე გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის ახალი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტის სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის პირობებში, არ არსებობდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დამოკიდებულია მოპასუხის მიერ სადაცო საკითხის ხელახლა შეფასებაზე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივა საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის გადაწყვეტა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნარმოადგენს ადგილობრივი საბჭოს კომპეტენციას, მის დისკრეციულ უფლებამოსილებას კანონით დადგენილ ფარგლებში. კანონით დადგენილი ფარგლები კი, სწორედ ის სუთი კრიტერიუმია, რომლის გამოკვლევის საფუძველზეც, იღებს საბჭო გადაწყვეტილებას, კერძოდ: 1. დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში; 2. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია; 3. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი. ასევე, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული; 4. ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირენლოვანი შვილები, შრომისუუნა-

რო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგო-  
მარება და სხვა; 5. მსჯავრდებულის პიროვნება – მსჯავრდებუ-  
ლის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების  
მოსამსახურებსა და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია –  
სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული  
მონაწილეობის შესახებ.

საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებუ-  
ლის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, ის გარე-  
მოება, რომ წახალისებულია დაწესებულების ხელმძღვანელობის  
მიერ, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავ-  
რდებულის მიერ პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩა-  
დენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერ-  
ძოდ, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, განსაკუთ-  
რებული სისასტიკით. მოუხდელი სასჯელის შინაპატიმრობით შეც-  
ვლის საკითხის განხილვისას საბჭო ასევე მხედველობაში იღებს  
დაზარალებულის პოზიციას, რაც მოცემულ საქმეში ვერ იქნა წარ-  
მოდგენილი. სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს მონა-  
წილეობა არ მიუღია სოციალურ აქტივობებში, ასევე ნასამართლე-  
ვია. ვინაიდან, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით  
შეცვლის მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამა-  
შობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, ნასამართლობა,  
საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლები ნეგა-  
ტიური მოსაზრებები ვერ გააპათოლა და ვერ გადაწონა სხვა დადე-  
ბითი კონტექსტის კრიტერიუმებმა. ადგილობრივი საბჭოს გადაწ-  
ყვეტილების დასაბუთებაში მითითებულია ყველა ის ფაქტობრივი  
გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის  
უარყოფითად გადაწყვეტილებისთვის. გადაწყვეტილების სამოტივაციო  
ნაწილში გარკვევით არის მითითებული, რომ საბჭომ უარყოფითად  
შეფასა რამდენიმე კრიტერიუმი და საბოლოო გადაწყვეტილება  
სწორედ ამ უარყოფითად შეფასებული კრიტერიუმების ერთობ-  
ლიობით მიიღო. საყურადღებოა, რომ სააპელაციო პალატა გასა-  
ჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ მსჯელობს იმ კრიტერიუმებზე,  
რომლებიც უარყოფითად შეფასდა, როგორც საბჭოს მიერ, ასევე  
პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს.

რა თქმა უნდა, სადაცო გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახ-  
ვილებულია გ. ს-ეის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხა-  
სიათზე. ეს ბუნებრივია, რადგან მსჯავრდებულის მიერ ჩადენი-  
ლია ძალადობრივი ხასიათის, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის  
დანაშაული, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, გან-  
საკუთრებული სისასტიკით, კერძოდ, დაზარალებულისთვის მიყე-  
ნებული 51 ჭრილობით კისრის არეში. ასევე საყურადღებოა ის ფაქ-

ტიც, რომ მსჯავრდებული განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თუმცა მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმი არ გამხდარა მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარის თქმის საფუძველი. საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში. დაწესებულებიდან გადმოგზავნილი დახასიათებით დასტურდება, რომ მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში ნასამართლობის მქონე იყო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ შიმართული დანაშაულისთვის, კერძოდ, ჯგუფურად გაუპატიურებისთვის. შესაბამისად, უარყოფითად შეფასდა 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების მე-13 მუხლში მოცემული კრიტერიუმი: მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა. მსჯავრდებულს ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დახასიათებით სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობა არ აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში, შესაბამისად, ეს კრიტერიუმიც უარყოფითად შეფასდა.

მსჯავრდებულ გ. ს-ეის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით საბჭოს შეუფასებელი არ დარჩენია არც ერთი კრიტერიუმი და გადაწყვეტილება მიიღო თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. შესაბამისად, იმ დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა ვერ გადაწონა უარყოფითი კონტექსტის კრიტერიუმი, რასაც „სამართლებრივი სიკეთის“ ხელყოფას გულასხმობს. საბჭო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე დანაშაულს, რომლის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, იქნებან გამომდინარე, რომ მსჯავრდებულს 2010 წლიდან მონაწილეობა არ მიუღია დაწესებულებაში არსებულ სოციალურ აქტივობებში, უდავოდ ვერ იქნება მიჩნეული, რომ მიღწეულია სასჯელის მიზანი და მინიმუმამდე შემცირდა მსჯავრდებულის მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის რისკი, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოში ახსნა-განმარტების ეტაპზე მსჯავრდებულმა არ ისურვა პირადად დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია სხდომის დარბაზში, რაც შესაძლოა, მიანიშნებდეს, რომ მსჯავრდებული გულწრფელად არ ინანიებდეს მის მიერ ჩადენილ ქმედებას.

კასატორის განმარტებით, გაურკვეველია სააპელაციო პალატა

მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძვლად რატომ უთითებს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩევის მიერ წარმოდგენილ დაზარალებულთა ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობებს მსჯავრდებულის მიმართ პრეტენზიის არქონის თაობაზე, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს საკითხის განხილვისას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა და გამოეკვლია დაზარალებულის პოზიცია. ადმინისტრაციული წარმოების დროს მხარე განმარტავდა, რომ ვერ მოხდა დაზარალებულთან შეთანხმება. ასევე აღნიშნული დოკუმენტები არ იყო საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე. საბჭოს მიერ 2021 წლის 2 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლის სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების შესაძლებლობა ჰქონდა საბჭოს განხილვის დროს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული დოკუმენტის (დაზარალებულის თანხმობას) შესაბამისი საკითხის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სხვა გარემოების სახით და დაზარალებულის თანხმობა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით განსაზღვრულ 5 კრიტიკულში არ არის მოცემული. შესაბამისად, ამ დოკუმენტს გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ აქვს ისეთი განსაუთრებული მნიშვნელობა, როგორც დანამაულის სიმძმესა და ხასიათს, მსჯავრდებულის ნასამართლობას, სოციალურ აქტივობებში მონაწილეობაზე უარის თქმას.

შესაბამისად, საბჭოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის დასაბუთებული და გამომდინარეობს მსჯავრდებულის პირად საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებიდან, გადაწყვეტილებაში მითითებულია ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემისას. არსებული მოცემულობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საბჭოს მიეღო მსჯავრდებულ გ. ს-ესის მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხზე უარის თქმის გადაწყვეტილება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივნისის განჩინებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვერ ბად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ს-ესის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთიობს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით გ. ს-ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა 3 (სამი) წელი და 9 თვე პირობითი; ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენით გ. ს-ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 (ოცი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის საფუძვლზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, გ. ს-ეს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 23 (ოცდასამი) წლისა და 9 (ცხრა) თვის ვადით, საიდანაც 20 (ოცი) წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო, 3 (სამი) წელი და 9 (ცხრა) თვე ჩაეთვალა პირობით, 4 (ოთხი) წლისა და 9 (ცხრა) თვის გამოსაცდელი ვადით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, ხოლო, 2 (ორი) წელი, 9 (ცხრა) თვე და 22 (ოცდაორი) დღე ჩაეთვალა პირობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 მაისის განჩინებით აღმოიფხვრა უზუსტობა და პირობით სასჯელი განისაზღვრა – 1 (ერთი) წლით, 10 (ათი) თვით და 15 (ოცუთ-

მეტი) დღით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელი; გ) 2019 წლის 19 აგვისტოს გ. ს-ე №18 პენიტენციური დანესებულებიდან გადაყვანილ იქნა №15 პენიტენციურ დანესებულებაში. პენიტენციური სამსახურის დირექტორის 2018 წლის 11 აპრილის №5436 ბრძანების საფუძველზე, გ. ს-ეს სასჯელის მოხდა განესაზღვრა ნახევრად ლია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში და განთავსდა №15 პენიტენციურ დანესებულებაში; დ) გ. ს-ემ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის 2/3 მოიხდა 2020 წლის 12 ნოემბერს. მისი სასჯელის მოხდის დასასრული – 2010 წლის 12 ნოემბერი, ხოლო, სასჯელის მოხდის დასასრული – 2025 წლის 12 ნოემბერი; ე) სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ივნისის №03/21/შ/პ/0-0340 გადაწყვეტილებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭომი შესული შუამდგომლობა, გ. ს-ეის დარჩენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა;

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, მართალია, სისხლის სამართლის წესით სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიზნების გათვალისწინებით ბრალდებულის დამააშავედ ცნობასა და სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მოსახდელი სასჯელის, მათ შორის, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნასაც, თუმცა პატიმრობის კოდექსი და მის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტაიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათვალისწილების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი“ (შემდგომში – წესი) იძლევა დანიშნული სასჯელის აღსრულების პროცესში ამ წარმატიული აქტებით გათვალისწინებული შეღავათის მსჯავრდებულზე გავრცელების შესაძლებლობას.

აღნიშნული წესის პირველი მუხლის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს მუდმივოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს პატიმრობის კოდექსის მე-40, 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს. საბჭოს მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების

ბის დაცვა. მითითებული წესის მე-6 მუხლით დადგენილია საბჭოს უფლებამოსილება, რომლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია განიხილოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულისა და მსჯავრდებულისა, რომელსაც სასჯელის სახედ შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დაწიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ან 3<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეიძლება შეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; დ) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დაწიშნული პქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გათვავისუფლდა, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე; ე) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დაწიშნული პქონდა პირს, რომელსაც წინათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და შეცვლილი სასჯელი გაუქმდა ამ მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-13 მუხლი განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლის თანახმად, შეფასების კრიტერიუმებია: ა) დანაშაულის ხასიათი - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშა-

ულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში; ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და ნამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას; გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი; ასევე იმას, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული; დ) ოჯახური პირობები – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირებლოვანი შვილები, შრომისუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა; ე) მსჯავრდებულის პიროვნება – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, მისი დამცველისა/კანონიერი წარმომადგენლისა) უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად და საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,

მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს უფლება აქვთ, საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია. ხოლო, მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ. შესაბამისი შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-7 მუხლის თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა არის 2 სახის: ზეპირი მოსმენის გარეშე და ზეპირი მოსმენით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო არსებითად იხილავს წარმოებაში მიღებულ საქმეებს. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ, ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, იმსჯელა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-13 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით და სადაცვო გადაწყვეტილებაში მიუთითა – საბჭომ საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობე-

ბი, პიროვნული მახასიათებლები, ასევე, ის გარემოება, რომ გ. ს-ე წახალისებულია ორჯერ, თუმცა, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულის მიერ, პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, განზრას მევლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, განსაკუთრებული სისასტიკით. ამასთან, მოუხდელი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვისას საბჭომ, ასევე, მხედველობაში მიიღო, დაზარალებულის პოზიცია, რაც მოცემულ საქმეში წარდგენილი არ ყოფილა. ასევე, სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს მონაწილეობა არ მიუღია სოციალურ აქტივობებში. ვინაიდან, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის მიზნებისთვის, განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ხასიათი და მისი ნასამართლობა. საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააპათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლის საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა სფეროს განეკუთვნება, ვინაიდან საბჭომ, ზემოაღნიშული დებულების მე-13 შეხლით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც საბჭოს წევრთა შინაგანი რწმენით იქნება ნაკარნახევი და სადაცო საკითხის ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებათა კეალიფიციურ შეფასებაზე დაფუძნებული. მართალია, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს ე.წ. მოქმედების ნულოვან თავისუფლებას, თუმცა არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სიგრცეს, რადგანაც არ არსებობს როგორც სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ასევე – სრული მონესრიგება. სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად, სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (სუსგ 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12)).

შეფასების გარკვეული თავისუფლების მიუხედავად, ცხადია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკური პროცესი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვი-

დეს მოქალაქეთა დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღ-დგენის ინტერესთან. მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დის-კრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბა-მისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლე-ბის კონტროლისაგან თავისიუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.126. №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.106. №ბს-342-331(კ-10)). დისკრეციული უფ-ლებამოსილების არაგონივრული გაფართოება ან პირიქით შევიწ-როება წარმოშობს ნეგატიურ დისკრეციას, რაც თავისთავად ინ-ვევს ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების კანონით დადგე-ნილი მიზნისაგან აცდენას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებ-და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით და-საბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ-ლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსს 53-ე მუხ-ლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლე-ბამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარე-მოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრა-ციული წარმოების დროს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საკითხის განხილვისას გათვა-ლისნინებულია მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნუ-ლი მახასიათებლები, ის გარემოება, რომ წახალისებულია, თუმცა ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩადენილია სი-ცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, განსაკუთრებული სისას-ტიკით. სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს მონაწილე-ობა არ მიუღია სოციალურ აქტივობებში, ასევე ნასამართლევია. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკითხის განხილ-ვისას საბჭოს წამსჯელი აქვს შეფასების ისეთ კრიტერიუმებზე, როგორიცაა დანაშაულის ხასიათი – მხარეთა შორის დავას არ ინ-ვევს ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენით გ. ს-ეს სასჯელის განსაზღვრული აქვს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამასთან დანაშაული ჩადენილია პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში; საბჭოს ასევე გათვალისწინებული აქვს მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მოსარჩელე დანაშაულის ჩადენის მომენტში ნასამართლობის მქონე იყო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის, კერძოდ, ჯგუფურად გაუპატიურებისთვის.

რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ ტ. ბ-ეის და ა. ბ-ეის ნოტარიალურად დამოწმებულ განცხადებებს, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ მათ, როგორც დ. ბ-ის მკვლელობის საქმეზე დაზარალებულ პირებს, მსჯავრდებულ გ. ს-ეის მიმართ არავითარი საჩივარი და/ან პრეტენზია არ გააჩნიათ და თანახმანი არიან, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალოს შინაპატიმრობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სადავო აქტის კანონიერებას სწავლობს და აფასებს აქტის გამოცემის დროს არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული ხელწერილები ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი არ ყოფილა და შესაბამისად, ცხადია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დროს მათი გათვალისწინება ვერ მოხდებოდა. მართალია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე წარმოება მეტად ინკვიზიციური ელემენტებით გამოირჩევა, სადაც ადმინისტრაციული ორგანო საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისთვის თავად გამოითხოვს მტკიცებულებებს და განიხილავს მათ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, მტკიცებულების ხასიათის (დაზარალებულის თანხმობა) გათვალისწინებით, თავად დაინტერესებული მხარე იყო ვალდებული წარედგინა ისინი ადმინისტრაციულ საქმის განხილვაზე, რაც მას არ განუხორციელებია. შესაბამისად, მხოლოდ ტ. ბ-ეის და ა. ბ-ეის ნოტარიალურად დამოწმებულ განცხადებებზე მითითებით სადავო გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი ვერ დადასტურდება, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული აქტის ამ საფუძვლით ბათილად ცნობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი უნდა დაგმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი

გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ს-ეის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისა-გან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის – გ. ს-ეის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 250 (100+150) ლარის ანაზღაურება მოპასუხე სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს არ დაეკისრება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ა:**

1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ს-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. გ. ს-ეის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 (100+150) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასარგებლოდ გადახდილად;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პუნეპრივი გაზის მრიცხველის შეცვლის მოთხოვნის კანონიერება

### განებიერა საქართველოს სახელით

№ბს-1194(კ-21)

10 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
გ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2018 წლის 18 ივნისს შპს „მ...მა“ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ენერგეტიკისა და  
ნეალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2018 წლის 27 აპრილს საქართვე-  
ლოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვ-  
ნული კომისიის მიერ გამოცემულ იქნა №30/8 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს „მ...ის“ მოთხოვნა, შპს „კ...ისათვის“ შპს  
„მ...ის“ საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვან-  
ძის (მრიცხველის) შეცვლის აკრძალვის შესახებ, არ დაკმაყოფილ-  
და. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტი-  
ლება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რამდენადაც მოპასუხე  
მხარემ სრულყოფილად არ შეისწავლა და გამოიკვლია საქმეში არ-  
სებული წერილობითი მტკიცებულებები, რომელთა ერთობლივი შე-  
ფასების საფუძველზე, შპს „მ...ის“ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფი-  
ლებულიყო. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გადაწყვე-  
ტილება ამ ნაწილში უკანონოა. ამასთან, საქართველოს ენერგეტი-  
კისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის  
2018 წლის 27 აპრილის №30/8 გადაწყვეტილების სარეზოლუ-  
ციონ ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტებს მოსარჩელე არ ასაჩივრებს  
და მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში არის კანონიერი.

ამდენად, მოსარჩელე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალ-  
მომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის

27 აპრილის №30/8 გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტების ბათილად ცნობა და შპს „მ...ის“ საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) შეცვლის შპს „თ...ისათვის“ (შპს „ყ...ის“ უფლებამონაცვლე) აკრძალვის შესახებ შპს „მ...ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 6 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს „ყ...ი“. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 სექტემბრის განჩინებით შპს „ყ...ის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა შპს „თ...ი“. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „მ...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 27 აპრილის №30/8 გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტები და მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადავო საკითხთან დაკავშირებით, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილ ვადაში გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული (საქმე №3/1841-17) გადაწყვეტილებით დადგენილი იყო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. შპს „ყ...ის“ 03.02.2017წ. №01-07-02/01/234 წერილით შპს „მ...ა“ ეცნობა, რომ 2017 წლის 8 თებერვალს იგეგმებოდა შპს „ყ...ის“ წარმომადგენლების მიერ კომპანიის ხარჯით შპს „მ...ის“ ობიექტზე დამონტაჟული „F...“ ტიპის მრიცხველის შეცვლა „E...“ ტიპის მრიცხველით (ელ. კორექტორით EK...). გამომდინარე აქედან, ობიექტის დემონტაჟის/მონტაჟის სამუშაოების ჩატარების მიზნით, გაზმომარაგება შეწყდებოდა 12:00-დან 17:00 საათამდე. კომპანიას უნდა უზრუნველეყო უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება.

2. 2017 წლის 7 თებერვალს შპს „მ...ა“ წერილით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და შპს „ყ...ის“ მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწება მოითხოვა.

3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 9 თებერვლის წერილით შპს „ყ...ის“ სპეციალურ მმართველს დაევალა შპს „მ...ის“ განცხადებასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა.

4. შპს „ყ...მა“ 2017 წლის 21 თებერვლის წერილით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას აცნობა, რომ შპს „მ...ის“ ავტოგასამართ სადგურზე აღრიცხვის კვანძის შეცვლა იგეგმებოდა „ბუნებრივი გაზის მინოდებისა და მოხმარების წესების“ მე-7 და მე-12 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. წერილის თანახმად, „F...“ ხარჯთაღმრიცხველი კონტროლერი განკუთვნილია გაზის ნაკადის ლამინარული დინებისათვის. ავტოგასამართი სადგურების პირობებში ლამინარული დინების მიმართ მოთხოვნა ირლვევა, რაც აისახება ზემოთაღნიშნული ხარჯმზომი მოწყობილობის ამონაბეჭდში. ლამინარული დინების მიმართ მოთხოვნის დარღვევა გამოწვეულია ავტოგაზგასამართ სადგურებზე დამონტაჟებული კომპრესორების არათანაბარი მუშაობის გამო. აღნიშნულის გამო ხდებოდა როტაციული ტიპის მრიცხველებით ჩანაცვლება.

5. 2017 წლის 21 თებერვალს შპს „მ...მა“ კვლავ წერილით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და მის ქსელზე უკვე არსებული მრიცხველის მონტაჟის თაობაზე დოკუმენტაცია წარუდგინა.

6. 2017 წლის 10 მარტს შპს „ყ...მა“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიმართა წერილით, რომელშიც ასსნილი იყო მრიცხველის შეცვლის აუცილებლობა. წერილს ერთვოდა სსიპ აკრედიტაციის ერთოანი ეროვნული ორგანიზაციიდან – აკრედიტაციის ცენტრის წერილი და ამონანერი სტანდარტზეაციის, მე...ისა და სერტიფიცირების სახელმწიფოთაშორისო საბჭოს ვებგვერდიდან.

7. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის 2017 წლის 14 მარტის №06/4-18/103-3483 წერილით შპს „მ...ს“ ეცნობა, რომ მისი მოთხოვნა – შპს „ყ...ს“ არ შეეცვალა საუთარი ხარჯით აღრიცხვის კვანძი, იყო უსაფუძვლო.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის №3/1841-17 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს „მ...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის 2017 წლის 14 მარტის №06/4-18/103-3483

წერილი და მოპასუხეს – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალ-მომარაგების მარეგულირებელ კომისიას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, შპს „მ...ის“ 07.02.2017წ. განცხადებას-თან დაკავშირებით, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემა დაეგვალა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სა-ქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის 2017 წლის 14 მარტის №06/4-18/103-3483 წერილი არ შეიცავდა შპს „მ...ის“ მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში დასმული საკითხების თაობაზე მსჯელობას, ასევე, დასაბუთებას, თუ რატომ იქნა უსაფუძვლოდ მიჩნეული საჩივრის ავტორის პოზიცია მრიცხველის შეცვლასა და უკვე არსებული მრიცხველის ვარგისი-ანობასთან მიმართებით.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ს... ცენტრის“ მიერ 2015 წლის 15 იანვარს შპს „მ...ზე“ გაიცა №... დამოწმების მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2019 წლის 15 იანვრამდე; ბუნებრივი გაზის მრიცხველის ტიპი – „F...3“ (საქართველო ნომერი ...). შპს „კ...ის“ გაზგამანანილებელ ქსელზე დაერთებული ავტოგაზების გამზომი კვანძები, რომლებიც „F...3“ ხარჯმზომ მოწყობილობაზე აგებული, დასტანდარტებულია „GOST 8.563.-97“-ით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 13 დეკემბრის №6/01-3-12178 წერილით სსიპ სა-ქართველოს სტანდარტებისა და მე...ის ეროვნულ სააგენტოს, სა-ქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, ეთხოვა კომისიისთვის ეცნობებინა: 1) ექვემდებარებოდა თუ არა ნაკადის გამომთვლელი „F...3“ ცალკე, ან მის ბაზაზე აწყობილი ხარჯმზომი მოწყობილობა მთლიანობაში პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრული წესით დაკანონებას, დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას და პირველად/პერიოდულ დამოწმებას; 2) ექვემდებარებოდა თუ არა კომპანია „E...“-ის „EK“ სერიის (200-270) ბუნებრივი გაზის მოცულობის ელექტრონული კორექტორი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრული წესით დაკანონებას, დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას და პირველად/პერიოდულ დამოწმებას; 3) შეტანილი იყო თუ არა დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეეს-

ტრში კომპანია „E...“-ის „RVG-400“ ტიპის მრიცხველი; 4) რა სტატუსი ჰქონდა „სტანდარტიზაციის, მე...ისა და სერტიფიცირების სახელმწიფოთაშორისო საბჭოს“ მიერ 1997 წელს მიღებულ „GOCT 8.563.-97-ს“ საქართველოს ტერიტორიაზე: ა) აღიარებულია (ან გაუქმებულია) როგორც ტექნიკური რეგლამენტი საქართველოს მთავრობისა ან სხვა ორგანოს აქტით; თუ ბ) რომელიმე მენარმე სუბიექტის მოთხოვნით რეგისტრირებულია როგორც ნებაყოფლობითი სტანდარტი; 5) რა სტატუსი ჰქონდა „სტანდარტიზაციის, მე...ისა და სერტიფიცირების სახელმწიფოთაშორისო საბჭოს“ მიერ 2005 წელს მიღებულ „GOCT 8.563.-2005“-ს საქართველოს ტერიტორიაზე: ა) აღიარებულია (ან გაუქმებულია) როგორც ტექნიკური რეგლამენტი საქართველოს მთავრობისა ან სხვა ორგანოს აქტით; თუ ბ) რომელიმე მენარმე სუბიექტის მოთხოვნით რეგისტრირებულია როგორც ნებაყოფლობითი სტანდარტი; 6) რა სტატუსი ჰქონდა საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის მიერ გამოცემულ „ISO 5167-2003“-ს საქართველოს ტერიტორიაზე: ა) აღიარებულია (ან გაუქმებულია) როგორც ტექნიკური რეგლამენტი საქართველოს მთავრობისა ან სხვა ორგანოს აქტით; თუ ბ) რომელიმე მენარმე სუბიექტის მოთხოვნით სტანდარტი; 7) მოქმედებდა თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური რეგლამენტი, რომელმაც შეიძლება ჩაანაცვლოს „GOCT 8.563.-97“, „GOCT 8.563.-2005“ ან „ISO 5167-2003“.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 21 დეკემბრის №523 წერილით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეცნობა, რომ:

1) კონტროლერი „F...3“ (ცალკე ან მის ბაზაზე აწყობილი ხარჯზომი) და E სერიის აირის მოცულობის კორექტორები არ შედის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში (მუხლი 80) მოყვანილ დაკანონებული გაზომვის საშუალებების ჩამონათვალში და შესაბამისად, არ ექვემდებარება დაკანონებული გაზომვის სამუალებების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციასა და სავალდებულო დამოწმებას.

2) ფირმა „E...“-ის მიერ წარმოებული როტაციული მრიცხველი „RVG G-400“ შეტანილია დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში ნომრით საქ. 645-07.

3) წერილში მითითებული სტანდარტი „გოსტ 8.563.-97“ შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: გოსტ 8.563.1-97; გოსტ 8.563.2-97; გოსტ 8.563.3-97 სახელმწიფოთაშორისო სტანდარტების კატალოგის მი-

ხედვით გაუქმებულია 2007 წელს. აღნიშნულ კატალოგში მითითებულია შემდეგი ინფორმაცია:

„გოსტ 8.563.1-97“ შემცვლელად მითითებულია: „გოსტ 8.586.1-2005“; „გოსტ 8.586.2-2005“; „გოსტ 8.586.3-2005“; „გოსტ 8.586.4-2005“;

„გოსტ 8.563.2-97“ შემცვლელია „გოსტ 8.586.1-2005“; „გოსტ 8.586.2-2005“; „გოსტ 8.586.3-2005“; „გოსტ 8.586.4-2005“; „გოსტ 8.586.5-2005“;

„გოსტ 8.563.3-97“-ის შემცვლელზე ინფორმაცია არ არის მითითებული.

რაც შეეხება, სახელმწიფოთაშორისო სტანდარტის („გოსტ“) საქართველოში გამოყენებას, აღნიშნული სტანდარტები გამოყენება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეობრობის (დსთ) ქვეყნების მთავრობათა მეთაურების 1993 წლის 13 მარტის „სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის და მე...ის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1995 წელს.

6) საქართველოს სტანდარტად რეგისტრირებულია „ისო 5167-1:2003“; „ისო 5167-2:2003“; „ისო 5167-3:2003“; „ისო 5167-4:2003“; „ისო 5167-5:2016“.

აქვე კომისიას ეცნობა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია.

7) ზემოაღნიშნული სტანდარტების ჩამანაცვლებელი ტექნიკური რეგლამენტის არსებობაზე სააგენტოს ინფორმაცია არ გააჩნდა.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 13 დეკემბრის №6/01-18-12196 წერილით სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, ეთხოვა კომისიისთვის ეცნობებინა: 1) არსებობდა თუ არა საქართველოში სტანდარტული შემავიწროვებელი მოწყობილობების მეშვეობით სითხეებისა და გაზის რაოდენბის ხარჯის გაზომვის ობიექტების ინსპექტირების ორგანო(ები), რომლებიც იყენებდნენ „ГОСТ 8.563.-97“-ით, „ГОСТ 8.563.-2005“-ით ან „ISO 5167-2003“-ით გათვალისწინებულ მეთოდებსა და პროცედურებს; 2) არსებობდა თუ არა ზემოთ მითითებული ინსპექტირების ორგანო(ები) (ცენტრს ეთხოვა მათი სახელწოდებისა და აკრედიტაციის მოწყობის ნომრის მითითება).

სასიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის 2018 წლის 3 იანვრის №GAC-04/1 წერილით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეცნობა, რომ შპს „მე...ს“ საკალიბრებელ ლაბორატორიას აკრედიტაციის სფეროთი აქვს განსაზღვრული „შემავიზოვებელი მოწყობილობის, დიაფრაგმის, სწორი მონაკვეთების და გეომეტრიული ზომების“ დაკალიბრება „გოსტ 8.563.1-97“ მეთოდით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგული-  
რებელმა ეროვნულმა კომისიამ 2017 წლის 20 დეკემბრის №6/01-  
18-1283 წერილით შპს „ს... ცენტრისაგან“ გამოითხოვა შემდეგი ინ-  
ფორმაცია: 1) ექვემდებარებოდა თუ არა ნაკადის გამომთვლელი  
„F...3“-ის ბაზაზე ანყობილი ხარჯმთომი მოწყობილობა მთლიანო-  
ბაში ან მისი შემადგენელი ნაწილები (ნაკადის გამომთვლელი, შე-  
მავიწროვებელი დიაფრაგმა ან სხვა) პროდუქტის უსაფრთხოები-  
სა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრული წესით  
დაკანონებას, დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწი-  
ფო რეესტრში რეგისტრაციას და პირველად/პერიოდულ დამოწ-  
მებას; 2) აკრედიტებული იყო თუ არა სსიპ აკრედიტაციის ერთიანი  
ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ შპს „ს... ცენ-  
ტრი“, როგორც სტანდარტული შემავიწროვებელი მოწყობილობე-  
ბის მეშვეობით სითხეებისა და გაზის რაოდენობის ხარჯის გაზომ-  
ვის ობიექტების ინსპექტიონირების ორგანო; 3) თუ შპს „ს... ცენტრს“  
გააჩნდა ზემოხსენებული აკრედიტაცია, ცენტრს ეთხოვა კომისიი-  
სთვის ეცნობებინა, რომელ სტანდარტს იყენებდა: „სტანდარტი-  
ზაციის, მე...ისა და სერტიფიცირების სახელმწიფოთაშორისო საბ-  
ჭოს“ მიერ 1997 წელს მიღებულ „ГОСТ 8.563.-97“-ს, 2005 წელს მი-  
ღებულ „ГОСТ 8.563.-2005“-ს თუ საერთაშორისო სტანდარტების  
ორგანიზაციის მიერ გამოცემულ „ISO 5167-2003“-ს და კომისიის-  
თვის მიეწოდებინა შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობა, ან მიეთი-  
თებინა აკრედიტაციის მოწმების ნომერი და აკრედიტაციის პერი-  
ოდი.

ყობილობების დამოწმების ღირებულებები. ხარჯმზომი „F...3“ წარმოადგენს ხარჯსაზომი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, ისევე, როგორც დიაფრაგმა, კამერა, მილის შიდა დამეტრი და მილსადენის სწორი მონაკვეთები, რომელთა დამოწმებაც ხორციელდება „გოსტ 8.586-2005-ის“ მოთხოვნების შესაბამისად.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად, დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის დამტკიცებაზე, აღიარებასა და რეესტრში რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს სტანდარტების და მე...ის ეროვნულ სააგენტო, ხოლო პირველადი და პერიოდული დამოწმების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ როგორც სააგენტოს, ასევე, აკრედიტებულ პირს. ამავე კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილია ერთწლიანი პერიოდული დამოწმების ვალდებულება ხარჯის საზომი საშუალებებისათვის – ავტოგასამართ სადგურებში მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმებისათვის, რომლებიც გამოიყენება გაზებისათვის.

წერილის თანახმად, კანონში არსებული ხარვეზის გათვალისწინებით (იგულისხმება ტირე), აღნიშნული პუნქტის ჩანაწერი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს პერიოდულად დამოწმების ვალდებულებას ავტოგასამართ სადგურებში მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმებისათვის, თუმცა ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ დაკანონებული გაზომვის საშუალებებია ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი გაზომვის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ან/და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის, აგრეთვე, რომელთა გაზომვის შედეგებიც გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აღმინისტრაციული დაჯარიმებისათვის.

წერილში აღინიშნა, რომ კონტროლერი „F...3“ (ხარჯმზომი) წარმოადგენს კომპაქტურ მიკროპროცესორულ მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია გაზისა და სითხეების ხარჯის გამოსათვლელად, მონაცემების ავტომატიზირებული შეგროვების, გადამუშავებისა და შენახვისათვის. პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობით რეალიზებულია კონტროლერ „F...3“-ის ფუნქციები, საშუალებას იძლევა იოლად ვაწარმოოთ გაზის რაოდენობრივი ხარჯის გამოთვლები. „F...3“ ანარმობს გაზის ხარჯის გამოთვლას American Gaz Association (AGA), American Petroleum Institute (API) და „გოსტ 8.586-2005“-ის შესაბამისად. ხარჯმზომი „F...3“, სტანდარტულ შემავიწროვებელ მოწყობილობასთან (დიაფრაგმასთან), კაერასთან, მილის დიამეტრთან და სწორ მონაკვეთებთან ერთად,

წარმოადგენს კომერციული აღრიცხვისა და ანგარიშსწორების კვანძს, ანუ ხარჯის საზომ საშუალებას. ასეთი კომერციული აღრიცხვისა და ანგარიშსწორების კვანძები დამონტაჟებულია საქართველო-რუსეთის, საქართველო-სომხეთის და საქართველო აზერბაიჯანის საზღვრებზე და მათი მეშვეობით ხორციელდება ფულადი ანგარიშსწორება საქართველოსა და ამ სახელმწიფოებს შორის. გარდა ამისა, ამ ტიპის 200-ზე მეტი აღრიცხვის კვანძი დამონტაჟებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ ავტოგასამართ სადგურებში (მათ შორის, შპს „მ...ი“) საწარმოებში (შპს „ს...“, შპს „ქ...“, შპს „რ...“, შპს „ი...“, შპს „გ...“, შპს „ა...“, შპს „ჰ...“), კომპანიებში (სს „ქუ...“, შპს „რუ...“, შპს „ყ...ი“, შპს „აჭ...“) და ა.შ.

ზემოთ მოყვანილი წორმების ანალიზიდან გამომდინარე, წერილის ავტორის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ხარჯმზომი კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედის „F...3“, სტანდარტული შემავიწროვებელი მოწყობილობა (დიაფრაგმა) კამერა და სწორი მონაკვეთები, წარმოადგენს სწორედ ისეთ გაზიომვის საშუალებას, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო დამოწმებას, ხოლო, რაც შეეხება ტიპის დამტკიცებას, აღიარებისა თუ რეესტრში რეგისტრაციის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად კომისიას უნდა მიერთოთა უფლებამოსილი პირისათვის – სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მე...ის ეროვნულ სააგენტოსათვის.

2. შპს „ს... ცენტრი“ სსიპ აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული იყო 2012 წლის 18 ივნისს, 2013 წლის 18 დეკემბერს და შემდგომ 2015 წლის 19 ივნისს, „გოსტ 8.563.1-97“-ის მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სტანდარტული შემავიწროვებელი მოწყობილობის დიაფრაგმის, კამერის, მილის დამტკიცების და სწორი მონაკვეთების ინსპექტორიბის ორგანო. ეს ხარჯმზომი მოწყობილობები წარმოადგენენ კომერციული აღრიცხვისა და ანგარიშსწორების კვანძის ნაწილს და მხოლოდ მათი მეშვეობით გაზის ხარჯის გაზომვა არ ხდება. ხარჯმზომი კომპლექსი წარმოადგენს კონტროლიორ „F...3“-ს, სტანდარტულ შემავიწროვებელ მოწყობილობასთან (დიაფრაგმასთან), კამერასთან და სწორ მონაკვეთებთან ერთად, რომელთა დამოწმება ხორციელდება ცალ-ცალკე.

3. 2017 წლის ივლისში შპს „ს... ცენტრმა“ ნებაყოფლობით გააუქმა „გოსტ 8.563.1-97“-ით მიღებული აკრედიტაცია, რადგან სსიპ საქართველოს სტანდარტების და მე...ის ეროვნულმა სააგენტომ მიანოდა აკრედიტაციის ცენტრს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სტანდარტიზაციის, მე...ის და სერტიფიკაციის სახელმწიფოთაშორისო საბჭომ 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით, „გოსტ

8.563.1-97“ შეცვალა სახელმწიფოთაშორისო „გოსტ 8.586-2005“-ით, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო „ISO 5167-2003“ სტანდარტის საფუძველზე.

ამავე წერილით შპს „ს... ცენტრმა“ კომისიას აცნობა, რომ მას შეტანილი ჰქონდა განაცხადი სსიპ აკრედიტაციის ეროვნულ ინგანოში – აკრედიტაციის ცენტრში ხარჯმზომი კომპლექსის და მისი შემადგენელი ნაწილების („F...3“-ის, დიაფრაგმის, კამერის, მილის შიდა დიამეტრის და მილსადენის სწორი მონაკვეთების) შემოწმებაზე „გოსტ 8.586-2005“ („ISO 5167-2003“) სტანდარტის შესაბამისად.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ყ...ის“ 2018 წლის პირველი თებერვლის №01-07-02-01/263 წერილის თანახმად, შპს „ყ...ის“ მონაცემთა ბაზაში შპს „მ...ი“ აბონენტად (№...) ფიქსირდება 2015 წლის 20 იანვრიდან და აბონირების თარიღიდან ობიექტზე დამონტაჟებულია ხარჯთაღმრიცხველი კონტროლერი „F...3“ №....

სასამართლომ მიუთითა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის პირველი თებერვლის №000671218 დასკვნაზე, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი გაზს მოიხმარს კომპრესორის გავლით, რომელიც ჰქონილად ირთვება და ითიშება, ამ დროს მილსადენში გამავალი ნაკადი იქნება პულსირებული ხასიათის და დროში შესაბამისად არასტაბილური, რომლის არასტაბილურობა კომპრესორის წარმადობაზე იქნება დამოკიდებული. ბუნებრივი აირის ნაკადი მილსადენში იქნება პულსირებული, როგორც კომპრესორის ჩართვა-გამორთვისას, ასევე, კომპრესორის მუშაობის პერიოდში.

სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის 2018 წლის 1 თებერვლის №GAC-03/63 წერილის თანახმად, არსებული მდგომარეობით, სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის შემცირების არასტაბილურობა ინსპექტირების ორგანო „სსტ ისო იეკ 17020:2012/2013“ სტანდარტის შესაბამისობაზე, რომელსაც შეეძლებოდა „ისო/რტ 3312“ სტანდარტის შესაბამისად ინსპექტირების ჩატარების შესაძლებლობა.

ასევე, სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მე...ის სააგენტოს 2018 წლის 5 თებერვლის №33 წერილით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. აღნიშნული კანონის 69-ე

მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სტანდარტის, მათ შორის, მეთოდის შერჩევა ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკურ რეგლამენტში მითითებულია კონკრეტული სტანდარტის შესრულების სავალდებულობა. ზემოთ აღნიშნული კანონის 66-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შესაბამის სფეროში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს.

ამასთან, სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის 20 თებერვლის №001135318 დასკვნის თანახმად, „თუ ბუნებრივი გაზის გამზომი კვანძი აგებულია „F...3“ ხარჯმზომზე, „ISO 5167.1-4:2003“, „ISO 5167.5-2016“ ან „ГОСТ 8.586.1.-5:2005“ სტანდარტის შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთი გამზომი კვანძით მომხმარებელზე მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობის აღრიცხვის უზუსტობის გამომწვევი მიზეზი იყოს აღნიშნულ გამზომ კვანძში გამავალი ნაკადის პულსირებული ხასიათი; 2. პულსირებული გაზის ნაკადის დროს უფრო მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს როტაციული გაზის მრიცხველი“.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 27 თებერვლის №5001182718 წერილის თანახმად, პულსირებული ნაკადის შემთხვევაში, მომხმარებელზე მიწოდებული გაზის ოდენობა რეკომენდირებულია გაიზომოს როტაციული ან გრიგალისებული (Vortex) ტიპის მრიცხველებით.

სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 16 მარტის №001755518 დასკვნის თანახმად, „... F...3 ტიპის ხელსაწყო წარმოადგენს 32-ბიტიან მიკროპროცესორზე დაფუძნებულ ნაკადის მთვლელ კომპიუტერს (...) და არა მრიცხველს. აღნიშნული მოწყობილობა მხოლოდ შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრულ გამზომ კვანძთან ერთობლიობაში განიხილება როგორც გამზომი კომპლექსი და დამოუკიდებლად ის არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც გაზის მრიცხველი. ინფორმაცია იმ სტანდარტთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გამზომი კვანძი და რომელზეც მონტაჟდება F...3 ტიპის ხარჯმზომი კონტროლერი, გადმოცემულია კომპანია E...-ის ოფიციალური ვებ გვერდიდან. ამ დოკუმენტის გვ. 2-ზე არსებობს შემდეგი სახის ჩანაწერი: „The F...3 unit can perform gas flow calculations to GOST standards and ISO 5167 standards, using user C programs“, რაც ცალსახად ნიშნავს, რომ F...3 ტიპის ხარჯმზომი კონტროლერისათვის გამზომი კვანძის აგება უნდა მოხდეს ISO 5167 ან შესაბამისი GOST სტანდარტით და ასეთი გამზომი კვანძი სრუ-

ლად უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ აღნიშნული სტანდარტის პირობებს. „ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ ხსენებული დოკუმენტი არ არის მოხვედრილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბოტექნიკის სასწავლო სამეცნიერო საინჟინრო ცენტრის უფროსის მოადგილის, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ე. მ-ის მიერ წარდგენილი წერილის ჩამონათვალში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2018 წლის 6 მარტს შპს „მ...ის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს და ითხოვა პასუხი შემდეგ შეკითხვაზე – ბუნებრივი აირის მიღსადენში, სავარაუდო პულსირებული ნაკადის არსებობა, მოქმედებს თუ არა გაზის საზომის „F...3“-ის ტიპის მრიცხველის აღრიცხვის სიზუსტეზე, რომელიც განთავსებულია გაზგასამართ სადგურზე არსებული კომპრესორიდან 480 მეტრში, ასევე, კომპრესორსა და მრიცხველს შორის განთავსებულია 500-ლიტრიანი გამაფართოებელი ჭურჭელი.

ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის 2018 წლის 7 მარტის №01-09-35/245 წერილით შპს „მ...ის“ დირექტორს ეცნობა ამავე უნივერსიტეტის პროფესორის – ე. მ-ის მოსაზრება, რომ: 1) გაეცნო ბუნებრივი გაზის მრიცხველის E... F...3-ის შესახებ ინტერნეტში არსებულ დოკუმენტებს; 2) ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან გაეცნო მითითებული მრიცხველის საპასპორტო მონაცემებს, მახასიათებლებს, დაყენებისა და ექსპლუატაციის პირობებს; 3) ამ დოკუმენტებში მითითებულია გაზომვის სიზუსტის უზრუნველსაყოფად ტემპერატურული დიაპაზონის დაცვის, შემაერთებელი კაბელის შესაბამისობის, დამინტების კონტურის სრულყოფილების, რადიოსიხშირული და ელექტრომაგნიტური გავლენების მოსპობის აუცილებლობის თაობაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში, ნათევამია, რომ იზრდება გაზომვათა ცდომილება); 4) არც ერთ დოკუმენტში არ არის აღნიშნული გაზომვის სიზუსტეზე მრიცხველის შემდგომ არსებულ გაზისაგალი ნაკადის სიჩქარისა და წნევის პულსაციის გავლენის თაობაზე; 5) აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესორის აზრით, მოცემული მრიცხველის მიერ გაზომილი სიდიდეების სიზუსტეზე ალბათ არ აქვს გავლენა ნაკადის სიჩქარისა და წნევის პულსაციას, რომ მრიცხველი პულსაციების წყაროდან საკმაოდ მოშორებულია და მრიცხველამდე დაყენებულია, ასევე, არც თუ პატარა მოცულობის სადემპტერო მოცულობა.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2018 წლის 27 მარტს შპს „მ...ის“ დირექტორმა №01-03/11 წერილით

მიმართა შპს „ე...ის“ ხარჯის გამომთვლელის გაყიდვების განყოფილების ხელმძღვანელს შემდეგი შეკითხვით: „ხარჯის კონტროლიორი F...3, რომელიც ამჟამად არის მუშა მდგომარეობაში, ექვემდებარება თუ არა ქსელიდან მოხსნას“; „ავტოგასამართ სადგურზე კომპრესორიდან 480 მეტრში დამონტაჟებულია ხარჯის კონტროლიორი F...3... ხარჯის კონტროლიორ F...3-ს და კომპრესორს შორის დამონტაჟებულია 0.5 მ<sup>3</sup> რესივერი, სავარაუდო პულსირებული ნაკადის არსებობის შემთხვევაში, მოახდენს თუ არა ეს უკანასკნელი ხარჯის კონტროლიორ F...3-ის აღრიცხვის სიზუსტეზე გავლენას“.

ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, შპს „ე...ის“ ევროპასა და დსთ-ში მართვის ლოკალური სისტემების გაყიდვების დირექტორის 03.2018წ. წერილით კითხვის ავტორს ეცნობა, რომ „F...3“ 2017 წლის 30 სექტემბრიდან მოხსნილია წარმოებიდან; ხელსაწყოების ეს ხაზი გამოირჩევა დიდი სანდოობით; მუშა მდგომარეობაში მყოფი ხელსაწყოების დემონტაჟის აუცილებლობა არ არის; „F...3“ კონტროლერის გაზომვების სიზუსტეზე ნაკადის პულსაცია არ უნდა ახდენდეს გავლენას.

სასამართლომ მიუთითა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის 7 მარტის №0011520918 დასკვნაზე, რომლის თანახმად, „ბუნებრივი აირის დაბინძურების დროს, როტაციული მრიცხველი მასზე წნევის ვარდნის გამო ვერ აღრიცხავს გავლილი გაზის რაოდენობას ზუსტად. ძალზე მაღალი ალბათობით, ის აღრიცხავს იმაზე ნაკლებ ბუნებრივ აირს, ვიდრე რეალურად მასში გაივლის, რაც გულისხმობს აღრიცხვას მომხმარებლის სასარგებლოდ“. აღნიშნულ საკითხზე, ამავე ბიუროს 2018 წლის 29 მარტის პასუხის თანახმად, დასკვნის ნაწილში მოყვანილი მითითებული წინადადება არ ეფუძნება რაიმე ოფიციალურ ლიტერატურას ან სხვა წყაროს, არამედ არის ექსპერტის მოსაზრება და ის გამომდინარეობს უშუალოდ როგორც როტაციული მრიცხველის კონსტრუქციული თავისებურებიდან, ასევე, გავლილი ბუნებრივი აირის ნაკადის ათვლის მექანიზმიდან.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის 29 მარტის №002087818 დასკვნის თანახმად, 1) როტაციული მრიცხველი E... RVG G-400-ის, რომელიც დამონტაჟებულია სამუალო წნევის გაზსადენზე, ნორმალური მუშაობისათვის და აგრეთვე აღრიცხვის სიზუსტისათვის, აუცილებელია მასზე დაყენდეს ელ. კორექტორი EK-200; 2) ელ. კორექტორის EK-200-ის დაზიანების შემთხვევაში, აღ-

ნიშნული ფაქტი, რასაკვირველია, იმოქმედებს ბუნებრივი აირის მრიცხველის E... RVG G-400-ის მუშაობაზე და შეუძლებელი გახდება მრიცხველის მიერ გატარებული აირის ზუსტი აღრიცხვა.

სასამართლომ, ასევე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარებულიონები ეროვნული კომისიის 2018 წლის 27 აპრილის №30/8 გადაწყვეტილებით შპს „მ...ის“ მოთხოვნა, შპს „კ...ისათვის“ შპს „მ...ის“ საქუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) შეცვლის აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა; მხარეებს განემარტათ, რომ ბუნებრივი გაზის აღრიცხვის ახალი კვანძის მოწყობის შემთხვევაში, ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის მოწყობა უნდა განხორციელებულიყო შპს „კ...ის“ მიერ, მომხმარებლისათვის აღრიცხვის კვანძის მოწყობაზე განეული ხარჯის დაკისრების გარეშე. ამასთან, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღრიცხვის კვანძი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან.

ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ საქმეზე წარმოდგენილ იქნა შპს „ტ...“-ის 2019 წლის 18 ივნისის №01/19 ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმად, ექსპერტიზის წარმოების პროცესში ჩატარებული კვლევით და გაზომვით სამუშაოზე დაკვირვებით დგინდება, რომ: 1) წნევის გამზომი მოწყობილობა Honeywell MLH025BSB01A, ქარხული ნომრით ..., რომელიც მუშაობს პიეზორეზისტორულ სენსორებზე, თავისი, როგორც კონსტრუქციული, ასევე, ტექნიკური მახასათებლებით – სრულიად ვარგისია მაღალსიხშირული წნევის ცვლილების გაზომვისათვის, კერძოდ, ბუნებრივი აირის წნევის ცვლილების გასაზომად კომპრესორის მუშაობის პროცესში; 2) ბუნებრივი აირის წნევის გაზომვის მიმდინარეობისას, რომელშიც ვმონაწილეობდი დამკვირვებლის სტატუსით, არ დაფიქსირებულა ისეთი შეუსაბამობა, რომელსაც შეეძლო რაიმე გავლენის მოხდენა გაზომვის შედეგების სიზუსტეზე; 3) შპს „მ...ის“ გაზიარებაში ბუნებრივი აირის შემყვან მილში არსებული პულსაციის სიდიდის მნიშვნელობა და მისი გავლენის შესაძლებლობა „F...3“ ტიპის მრიცხველის აღრიცხვის სიზუსტეზე, მოცემულია დანართის სახით წარმოდგენილ (5 ფურცელი) ნ. ი-ას, ნ. ქ-ისა და ზ. გ-ის ხელმოწერილ №1/17.06.2019 გამოცდის ოქმში, კონკრეტულად მის დასკვნით ნაწილში.

2019 წლის 17 ივნისის №1/17.06.2019 ოქმის დასკვნითი ნაწილის თანახმად, ჩატარებული პრაქტიკული კვლევიდან ჩანს, რომ წნევის ცვლილების ამპლიტუდა არ აღემატება 32 მილიბარს კომ-

პრესორიდან 4 მეტრის მანძილზე, რაც შეადგენს შენოვის წნევის  $32/1831 \times 100 = 1.7\%$ -ს. წნევის ცვლილების სიხშირეა 25 ჰერცი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო ცალსახად გაკეთებულიყო დასკვნა, რომ გაზის ხარჯის „F...3“ ტიპის მრიცხველზე წნევის პულსაციური ზემოქმედება გამორიცხული იყო, რადგან იგი კომპრესორისგან განმხოლობული იყო 180-ლიტრიანი ბუფერული მოცულობით და ამავე დროს, დამორჩებული იყო მისგან 420 მეტრით.

სასამართლოს მითითებით, ლიცენზიატის მიერ ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, სადავო გადაწყვეტილებით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებდა, რომ „სსტ ისო 5167-1:2003/2017“ სტანდარტის შესაბამისად, FLOBOSS-ის ტიპის აღრიცხვის კვანძის გამოყენება დასაშვები იყო მხოლოდ არაპულსირებული დინებებისათვის, ხოლო ვინაიდან, კომპრესორი, როგორც მისი მუშაობის, ასევე, ჩართვა-გამორთვის მომენტში წარმოქმნიდა პულსაციებს (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის პირველი თებერვლის №000671218 დასკვნის შესაბამისად), უფრო ზუსტი გაზომვისათვის, როდესაც უშუალოდ აღრიცხვის კვანძთან არ ხორციელდება სიმკვრივის გაზომვა, უმჯობესი იყო გამოყენებულიყო როტაციული მრიცხველი, რომელიც აღრიცხავდა მოცულობას.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული (საქმე №3/1841-17) გადაწყვეტილების შინაარსზე, რომლითაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა სათანადოდ დაესაბუთებინა, თუ რატომ იქნა უსაფუძვლიდ მიწნეული საჩივრის ავტორის პოზიცია მრიცხველის შეცვლასა და უკვე არსებული მრიცხველის ვარგისიანობასთან მიმართებით.

სასამართლოს შეფასებით, აღსანიშნავი იყო, რომ სადავო გადაწყვეტილებაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული, შპს „ყ...ის“ დაკვეთით შესრულებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის პირველი თებერვლის №000671218 დასკვნის, ასევე, 2018 წლის 20 თებერვლის №001135318, 2018 წლის 16 მარტის №001755518 და 2018 წლის 29 მარტის №002087818 დასკვნების შეფასების საგანს წარმოადგენდა შპს „ყ...ის“ მიერ დასმული ზოგადი ხასიათის, თეორიული საბის შეკითხვები, რომელიც აბსტრაქტული დამვების პირობით იყო ფორმულირებული. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მი-

თითებული დასკვნების საფუძველზე, შეუძლებელი იყო შპს „მ...ზე“ აღრიცხვის კვანძზე არსებული მდგომარეობის შეფასება. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში დამატებით წარმოდგენილი იყო შპს „ტ...“-ის 2019 წლის 18 ივნისის №01/19 ქსპერტის დასკვნა, რომელიც შესრულებული იყო უშუალოდ გაზომით სამუშაოზე დაკვირვებით და რომელიც ადგინდა, რომ გაზის ხარჯის „F...3“ ტიპის მრიცხველზე წნევის პულსაციური ზემოქმედება გამორიცხული იყო, რადგან იგი კომპრესორისგან განმხოლოებული იყო 180-ლიტრიანი ბუფერული მოცულობით და ამავე დროს დაშორებული იყო მისგან 420 მეტრით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის კანონიერად გადაწყვეტისათვის პრინციპული იყო გარკვეულიყო, არსებობდა თუ არა ლიცენზიატის მიერ ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის საჭიროება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხელახლა უნდა ემსჯელა, იყო თუ არა სახეზე ისეთი ობიექტური გარემოება, რომელმაც განაპირობა დამონტების მოწმობის მოქმედების პერიოდში ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის მოთხოვნის აუცილებლობა. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მხარე აპელირებდა ბუნებრივი გაზის მრიცხველის „F...3“-ის გამართულად მუშაობის და მისი შეცვლის საჭიროების არარსებობაზე, მნიშვნელოვანი იყო დადგენილიყო, სახეზე იყო თუ არა იმგვარი აუცილებელი წინაპირობის არსებობა, რომელიც წარმოშობდა ლიცენზიატის – შპს „ყ...ის“ უფლებას, დამონტების მოწმობის მოქმედების პერიოდში მოეთხოვა არსებული ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლა, რაც უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებებით. მხოლოდ ამ გარემოების გამოკვლევა-დადგენის შემდეგ მეიძლებოდა სათანადოდ შეფასებულიყო სადაცო საკითხი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაქმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივნისის განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მოხმარებისა და მიწოდების წესების“ მე-7 მუხლის პირველ, მე-5 და მე-9 პუნქტებზე, საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებზე და მიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სტანდარტი არის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაქმაყოფილების საშუალება. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. მნარმოებელს შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს სხვა ტექნიკური მიდგომები ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკურ რეგლამენტში კონკრეტული სტანდარტის გამოყენების შესახებ პირდაპირ არის მითითებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამავე კოდექსის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სტანდარტი არის კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის/ მოქმედებისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით. ამავე კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად კი, სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. შესაბამის სფეროში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს.

სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით ირკვევოდა, რომ 2015 წლის 15 იანვარს შპს „მ...ზე“ გაცემული №... დამოწმების მოწმობის, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 15 იანვრამდე, გაცემისას გაუქმებული იყო (გაუქმებულია 2007 წელს) „ГОСТ 8.563-97“ სტანდარტი, რომლითაც დასტანდარტდა ხარჯთაღმრიცხვებული კონტროლერი „F...3“ (№....). სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღსანიშნავი იყო, რომ „ბუნებრივი გაზის მოხმარებისა და მიწოდების წესების“ შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა განაწილების ლიცენზიატი და არა მომხმარებელი, რომელიც თავის მხრივ, ენდობოდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დამოწმების მოწმობას. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მარ-

თებულად არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მი-  
თითება დამოწმების მოწმობის გაცემის დროისათვის „ГОСТ 8.563.-  
97“-ის სტანდარტის გაუქმებაზე (გაუქმებულია 2007 წელს) და ის  
ფაქტი, რომ 2015 წელს ხარჯთაღმრიცხველი კონტროლერი – „F...3“  
დასტანდარტდა 2007 წელს გაუქმებული „ГОСТ 8.563.-97“-ის სტან-  
დარტით, რაზეც მოსარჩელე არ წარმოადგენდა პასუხისმგებელ  
პირს, არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული №... დამოწმების მოწმობის  
მოქმედების პერიოდში მრიცხველის შეცვლის საფუძვლად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამარ-  
თლომ მართებულად აღნიშნა, რომ კანონმდებელი შესაბამისი სტან-  
დარტის გამოყენების ვალდებულებას არ ითვალისწინებდა, კერ-  
ძოდ, პროდუქტის უსაფრთხე?ებისა და თავისუფალი მიმოქცევის  
კოდექსი სტანდარტის გამოყენების ნებაყოფლობითობას ადგენ-  
და.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ბუნებრივი გა-  
ზის მოხმარებისა და მიწოდების წესების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნ-  
ქტზე, რომლის თანახმადაც, საჭიროების შემთხვევაში განაწილე-  
ბის ლიცენზიატს უფლება აქვს, ხოლო ამ წესებით გათვალისწინე-  
ბული მოთხოვნების შესაბამისად, ვალდებულია მოხსნას, შეაკე-  
თოს, დაამონიმოს და შეცვალოს აღრიცხვის კვნძი (მათ შორის, ბუ-  
ნებრივი გაზის მრიცხველი), ასევე, სხვა სახის მისი კუთხით მონ-  
ყობილობები, მათ შორის, დანადგარები, რომლებიც აღრიცხვია-  
ნობისთვის არის საჭირო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის  
სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა სადაც აქტში ზემოაღ-  
ნიშნულ სამართლებრივ ნორმასთან მიმართებით მოპასუხე ადმი-  
ნისტრაციული ორგანოს მითითება ლიცენზიატის უპირობო უფლე-  
ბაზე – მრიცხველის დამოწმების პერიოდის ვადის გასვლამდე შეც-  
ვალოს მრიცხველი. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალა-  
ქო სასამართლოს პოზიციას, რომ მითითებული კანონქვემდებარე  
ნორმატიული აქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამი-  
სად, ლიცენზიატი მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო უფლებამოსილი  
შეცვალა უკვე დამოწმაჟებული ბუნებრივი გაზის მრიცხველი,  
თუ არსებობდა აღნიშნული მრიცხველის შეცვლის გადაუდებელი  
საჭიროება, რაც არსობრივად დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. შე-  
საბამისად, ლიცენზიატის მიერ ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეც-  
ვლის უფლება არ განიმარტებოდა უპირობო უფლებად და ყოველ  
კონკრეტულ შემთხვევაში, ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლი-  
სას ლიცენზიატი ვალდებული იყო, არგუმენტირებულად მიეთი-  
თებინა, თურა არსებითი ხასიათის გარემოებებმა განაპირობა მრიც-  
ხველის შეცვლის გადაუდებელი საჭიროება, ამასთან, უზრუნვე-

ლეყო აღნიშნული გარემოებების სათანადო დასაბუთებაც.

განსახილველ შემთხვევაში, ლიცენზიატის მიერ ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, სადავო გადაწყვეტილებით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებდა, რომ „სსტ ის 5167-1:2003/2017“ სტანდარტის შესაბამისად, FLOBOSS-ის ტიპის აღრიცხვის კვანძის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ არაპულსირებული დინებებისათვის, ხოლო ვინაიდან, კომპრესორი, როგორც მისი მუშაობის, ასევე, ჩართვა-გამორთვის მომენტში წარმოქმნის პულსაციებს (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის პირველი თებერვლის №000671218 დასკვნის შესაბამისად), უფრო ზუსტი გაზომვისთვის, როდესაც უშუალოდ აღრიცხვის კვანძთან არ ხორციელდება სიმკვრივის გაზიოვა, უმჯობესია გამოყენებული იყოს როტაციული მრიცხველი, რომელიც აღრიცხავს მოცულობას.

სააპელაციო სასამართლო ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული (საქმე №3/1841-17) გადაწყვეტილებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა სათანადოდ დაესაბუთებინა, თუ რატომ იქნა უსაფუძვლოდ მიჩნეული საჩივრის ავტორის პოზიცია მრიცხველის შეცვლასა და უკვე არსებული მრიცხველის ვარგისიანობასთან მიმართებით. სააპელაციო პალატის მითითებით, აღსანიშნავი იყო, რომ სადავო გადაწყვეტილებაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული, შპს „ყ...ის“ დაკვეთით შესრულებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის პირველი თებერვლის №000671218 დასკვნის, ასევე, 2018 წლის 20 თებერვლის №001135318, 2018 წლის 16 მარტის №001755518 და 2018 წლის 29 მარტის №002087818 დასკვნების შეფასების საგანს წარმოადგენდა შპს „ყ...ის“ მიერ დასმული ზოგადი ხასიათის, თეორიული სახის შეკითხვები, რომელიც აბსტრაქტული დაშვების პირობით იყო ფორმულირებული. შესაბამისად, მითითებული დასკვნების საფუძველზე შეუძლებელი იყო შპს „მ...ზე“ დამონტაჟებული აღრიცხვის კვანძზე არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება და სარწმუნო დასკვნების გაკეთება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ნიშანდობლივი იყო ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში დამატებით წარმოდგენილი იყო შპს „ტ...“-ის 2019 წლის 18 ივნისის №01/19 ექსპერტის დას-

კვნა, რომელიც შესრულებული იყო უშუალოდ გაზომვით სამუშაოზე დაკვირვებით და რომელიც ადგენდა, რომ გაზის ხარჯის „F...3“ ტიპის მრიცხველზე წნევის პულსაციური ზემოქმედება გამორიცხული იყო, რადგან იგი კომპრესორისგან განმხოლოებული იყო 180-ლიტრიანი ბუფერული მოცულობით და ამავე დროს დაშორებული იყო მისგან 420 მეტრით.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემული დავის კანონიერად გადაწყვეტისათვის პრინციპული იყო გარევეულიყო, არსებობდა თუ არა ლიცენზიატის მიერ ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის საჭიროება, რაც უნდა დაფუძნებოდა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების სრულყოფილ შეფასებას. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი შესწავლისას საქმეში არსებული მტკიცებულებების, მათ შორის, სასამართლო განხილვის ეტაპზე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის სხვა არსებულ დასკვნებთან ურთიერთშეჯერებისა და შეფასების პირობებში, უნდა იმსჯელოს, არის თუ არა სახეზე ისეთი ობიექტური გარემოება, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად განაპირობა დამოწმების მოწმობის მოქმედების პერიოდში ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის მოთხოვნის გადაუდებელი აუცილებლობა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლო აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც, მოსარჩევე მხარე აპელირებდა ბუნებრივი გაზის მრიცხველის „F...3“-ის გამართულად მუშაობის და მისი შეცვლის საჭიროების არარსებობაზე, მნიშვნელოვანი იყო დადგენილიყო, სახეზე იყო თუ არა იმგვარი აუცილებელი წინაპირობის არსებობა, რომელიც წარმოშობდა ლიცენზიატის – შპს „ყ...ის“ უფლებას, დამოწმების მოწმობის მოქმედების პერიოდში მოეთხოვა არსებული ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლა, რაც უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი მტკიცებულებებით. მხოლოდ ამ გარემოების გამოკვლევა-დადგენის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი სადაც საკითხის სათანადო შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ქალაქ თბილისში ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი – შპს „თ...ი“ (ყოფილი შპს „ყ...ი“), მისთვის კანონქვემდებარე სპეციალური ნორმატიული აქტით მინი-

ჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქალაქ თბილისში, მის სა-ლიცენზიო არეალში არსებულ ყველა ავტოგაზგასამართ სადგურ-თან მიმართებით, ადგენს აღრიცხვის ერთიან სტანდარტს – ამ კა-ტეგორიის მომხმარებლებისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობის არასრულად აღრიცხვიანობისა და დანაკარგების გაზ-რდის გამო, ყველა სადგურზე ცვლის ხარჯთაღმრიცხველ კონტრო-ლერს – „F...3“-ს ხარჯმზომი მოწყობილობა „E... RVG G-400“ მრიც-ხველით (ელ. კორექტორით EK-200).

კასატორის მითითებით, ჩნდება პრეცედენტის დაშვება, რომ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია სადავო გახადოს ლიცენზია-ტის მიერ აღრიცხვის კვანძის მოწყობა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მისთვის გაცილებით სასურველია ის მრიცხველი, რომელიც მოხ-მარებული ბუნებრივი გაზის უფრო ნაკლებ მოცულობას აღრიც-ხავს და მიუღებელია ლიცენზიატის მიერ მოთხოვნილი, უფრო ზუს-ტად აღმრიცხველი მოწყობილობა. ასეთ შემთხვევაში, შეიქმნება ნორმატიული დანაწესებით დადგენილი რეგულირების საწინააღ-მდეგო ერთგვარი მდგომარეობა, რომ ელექტროენერგიის, ბუნებ-რივი გაზისა და წყალმომარაგების ნებისმიერ მსხვილ არასაყოფაც-ხოვრებო მომხმარებელს მიეცემა უფლება, სხვადასხვა ხერხით იდავოს მასთან მოწყობილ აღრიცხვის კვანძზე და დავის ხან-გრძლები გაჭიანურებით თვითნებურად განსაზღვროს ლიცენზი-ატთან ანგარიშსწორების წესი და პირობები.

კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის ასახული სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებელი არგუმენ-ტაცია და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების ანალიზი.

კასატორის აღნიშვნით, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრე-ბულ განჩინებაში ნორმატიულ საფუძვლად მიუთითებს, რომ კო-მისიის 2009 წლის 9 ივლისის № 12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ თანახმად, აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს, რომ რამდენადაც ბუნებრივი აირის აღრიცხვის მიზნით, აღრიცხვის კვანძის მოწყო-ბაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს განაზილების ლიცენზია-ტი, სწორედ განანილების ლიცენზიატის უფლებამოსილებას განე-კუთვნება მის მიერ მოწყობილი აღრიცხვის კვანძის შესაბამისო-ბის დადგენა მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარ-ტებთან (მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, მე-6 მუხლის 3<sup>1</sup> პუნ-ქტი, მე-7 მუხლის პირველი, მე-5 და მე-9 პუნქტები, 22-ე მუხლი).

კასატორის შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ უარყო მა-რეგულირებელი კომისიის პოზიცია იმის თაობაზე, რომ რადგან ლი-ცენზიატმა გამოავლინა, რომ შპს „მ...ის“ აღრიცხვის კვანძი თავი-

დანვე ყოფილა ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შეუსაბამო და ფაქტობრივად დაუმოწმებელი და რომ ლიცენზი-ატმა მისთვის კანონქვემდებარე სპეციალური ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მის სალიცენზიო არე-ალში არსებულ ყველა ავტოგაზგასამართ სადგურთან მიმართებით დაადგინა აღრიცხვის ერთიანი სტანდარტი და ავტოგაზგასამარ-თი სადგურების მფლობელი მომხმარებლებისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობის არასრულად აღრიცხვიანობისა და დანაკარგების გაზრდის გამო, ყველა სადგურზე დაამონტაჟა ერ-თი ტიპისა და სტანდარტის აღრიცხვის კვანძები, ლიცენზიატს ჰქონდა აღრიცხვის კვანძის შეცვლის უფლება, მით უფრო იმ პი-რობებში, როდესაც არც ერთ სხვა ავტოგაზგასამართ სადგურს სა-დაცვოდ არ გაუხდია მრიცხველის შეცვლა.

კასატორის მითითებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებს სა-დაცვოდ არ გაუხდიათ, რომ ნორმატიული დანაწესების საფუძველ-ზე, აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ რეგლა-მენტებს და სტანდარტებს, აღრიცხვის კვანძის შესაბამისობის დადგენა მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებ-თან წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატის უფლებამოსილებას და მომხმარებელთან საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის შეუსაბამობა ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან გამოვლენილ იქნა განაწილების ლიცენზიატის მი-ერ.

კასატორის შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელო-ბიდან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ 2019 წლის 15 იანვრის შემ-დგომ ჰქონდა შპს „თ...ის“ დამოწმების ვადაგასული შპს „მ...ის“ კუთ-ვნილ აღრიცხვის კვანძის შეცვლის უფლება. ამასთან, შპს „მ...ი“ ნორმატიული დანაწესების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ დღემ-დე აგრძელებს სადაცვა მრიცხველით ფუნქციონირებას.

კასატორის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც თავად სასა-მართლომ დაადგინა მრიცხველის შეცვლის საჭიროება, გაუგება-რია სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია, ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლისას ლიცენზიატს კიდევ სხვა რა უნდა მიეთი-თებინა და რა დამატებით გარემოებებზე უნდა გაეკეთებინა აქ-ცენტი.

კასატორი, ასევე, ყურადღებას ამაცვილებს მტკიცებულებებ-თან დაკავშირებითაც, კერძოდ, აღნიშნავს, რომ მარეგულირებელ-მა კომისიამ სადაცვო გადაწყვეტილება მიიღო 2018 წლის 27 აპრილს, მოდავე მხარეების მიერ დავის განხილვის პერიოდში წარმოდგე-ნილი არაერთი მტკიცებულებისა და მოწმე-სპეციალისტთა ახსნა-განმარტების საფუძველზე, მათ შორის, იყო სსიპ ლევან სამხარა-

ულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს რამდენიმე დასკვნა, რომელიც ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ შეფასდა, როგორც აბსტრაქტული დაშვების პირობით ფორმულირებული, რომელთა საფუძველზეც, თითქოს შეუძლებელი იყო შპს „მ...ის“ აღრიცხვის კვანძზე არსებული მდგომარეობის შეფასება. აღნიშნულის საპირნონედ კი, ორივე ინსტანციის სასამართლო აქცენტს აკეთებს შპს „მ...ის“ მიერ სასამართლოში წარდგენილ შპს „ტ...“-ის 2019 წლის 18 ივნისის №01/19 დასკვნაზე. შესაბამისად, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად გაიზიარა შპს „მ...ის“ მითითებები და კომისიაში სადაცვო საკითხის განხილვა-გადაწყვეტიდან 1 წლისა და 2 თვის შემდეგ მომზადებული დასკვნა.

ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა პასუხი ვერ გასცეს არგუმენტაციას კომისიისათვის სადაცვო საკითხის ხელახლა დაბრუნებისას მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ, კასატორისათვის გაუგებარია, რომელ სამართლებრივ შედეგზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. კომისია ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტზე, რომლის თანახმად, განაწილების ლიცენზიატს არ ჰქონდა უპირობო უფლება, შპს „მ...ის“ კუთვნილ ავტოგაზ-გასამართ სადგურზე შეეცვალა აღრიცხვის კვანძი, რომელიც 2007 წელს გაუქმდებული სტანდარტის საფუძველზე დამოწმებული იყო 2019 წლის 15 იანვრამდე ვადით და შპს „მ...ის“ ენდობოდა უფლება-მოსილ ორგანოს – შპს „ს... ცენტრის“ მიერ გაცემულ დამოწმების მოწმობას. თუმცა 2019 წლის 15 იანვრიდან დღემდე შპს „მ...ი“, ნორ-მატიული დანაწესების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, განაგრძობს ბუნებრივი გაზის მოხმარებას. შესაბამისად, კასატორისათვის გა-ურავეველია, ადმინისტრაციული ორგანო უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ 2019 წლის 15 იანვრამდე პერიოდით, თუ უფლებამოსილია გასცდეს მას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლო მთავარ მტკიცებულებად მიუთითებს შპს „ტ...“-ის 2019 წლის 18 ივნისის №01/19 დასკვნას – მტკიცებულებას, რომელიც კომისიის სადაცვო გადაწყვეტილების მიღების დროს (2018 წლის 27 აპრილს) არ არსებობდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-ში იქნა მიღებული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარა-გების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივა-რი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკარგოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-7 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საცალო მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარება უნდა აღირიცხებოდეს ინდივიდუალურად. განანილების ლიცენზიატი ვალდებულია ამ მიზნით მოაწყოს აღრიცხვის კვანძი, შესაბამისად, შეიძინოს, დაამონტაჟოს და შეაკეთოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში ბუნებრივი გაზის მოცულობის კორექტორი, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში განანილების ლიცენზიატის უფლება აქვს, ხოლო ამ წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ვალდებულია, მოხსნას, შეაკეთოს, დაამონტოს და შეცვალოს აღრიცხვის კვანძი (მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველი ან/და მოცულობის კორექტორი), ასევე სხვა სახის მისი კუთვნილი მოწყობილობები, მათ შორის, დანადგარები, რომლებიც აღრიცხვიანობისთვის არის საჭირო.

ამავე წესების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნ-

და მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების სამუალება, ასევე, განაწილების ლიცენზიატს შეეძლოს, ამ წესების შესაბამისად, დაუბრკოლებლად განახორციელოს სხვა სახის სამუშაოები. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საცალო მომხმარებლის ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველსაყოფად, განაწილების ლიცენზიატის მიერ სამუშაოების დაწყებამდე, მომხმარებელი ვალდებულია, აცნობოს მას სამუშაოს შესრულების ადგილზე მისთვის ცნობილი ნებისმიერი ხელშემშლელი ან/და სხვა უარყოფითი გარემოების შესახებ.

მითითებული წესების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, თუ, აუცილებლობიდან გამომდინარე, ბუნებრივი გაზის მრიცხველი უნდა დამონტაჟდეს საცალო მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიაზე, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა უზრუნველყოს აღრიცხვის კვანძის დასაყენებლად და გაზგაყვანილობის გასაყვანად მოსახერხებელი ადგილი, რომ განაწილების ლიცენზიატის წარმომადგენელს დღის განმავლობაში საშუალება მიეცეს მოაწყოს აღრიცხვის კვანძი და გაზგაყვანილობა, ჩაატაროს მისი ტესტირება, შეკეთება და რეგულარულად მოახდინოს მრიცხველის ჩვენების აღება.

ამავე მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, განაწილების ლიცენზიატი პასუხისმგებელია აღრიცხვის კვანძის მოწყობაზე (მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის დაყენებაზე), ბრჯენის ტექნიკურად სწორად დადებასა და შესაბამისი აქტის შედგენაზე, რომელშიც დაფიქსირდება განაწილების ლიცენზიატის წარმომადგენლის, საცალო მომხმარებლისა და მათგან აღრიცხვის კვანძის, მათ შორის, მრიცხველის შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ამასთან: ა) დაზიანებული აღრიცხვის კვანძის, ასევე, მისი შემადგენელი მრიცხველების, სხვა სახის დანადგარებისა და მოწყობილობების აღდგენას, შეცვლასა და დამონტაჟებას უზრუნველყოფს განაწილების ლიცენზიატი თავისი ხარჯით, გარდა ამ წესებითა და მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

„ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საცალო მომხმარებლის ბუნებრივი გაზის მოხმარების აღრიცხვის კვანძის მოწყობას, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეძენას, შეცვლას, მოხსნას, შემოწმებას, დამოწმებას ან/და დამონტაჟებას უზრუნველყოფს განაწილების ლიცენზიატი. გაწეული მოსახურების ხარჯების გადახდა საცალო მომხმარებელს ან მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ წესებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გა-

ზის მრიცხველი შეიძლება შემოწმდეს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მე...ის ეროვნულ სააგენტოში და საქართველოში აკრედიტებული ნებისმიერი ლაპორატორიის მიერ, დაინტერესებული პირის მითითებით იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი გაზის მრიცხველის ცდომილება არ შეესაბამება მის დამკაველ საპასპორტო ცდომილებას, მომხმარებლის აღრიცხვის კვანძის სათანადოდ მოწყობის ხარჯებს, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის დამოწმებისა და დამონტაჟების საფასურს გადაიხდის განანილების ლიცენზიატი (გარდა ამ წესებით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების შემთხვევებისა). ამავე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად კი, ბუნებრივი გაზის მრიცხველის მოხსნის შემთხვევაში განანილების ლიცენზიატი ვალდებულია ბუნებრივი გაზის მრიცხველის მოხსნისთანავე დაამონტაჟოს სხვა მრიცხველი (მიუხედავად იმისა, საჭიროებს თუ არა ძველი (მოხსნილი) მრიცხველი, ამა თუ იმ გარემოებიდან გამომდინარე, ლაპორატორიულ ან/და სხვა სახის შემოწმებას).

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ შპს „ს... ცენტრის“ მიერ 2015 წლის 15 იანვარს შპს „მ...ზე“ გაიცა №... დამოწმების მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2019 წლის 15 იანვრამდე (ბუნებრივი გაზის მრიცხველის ტიპი – „F...3“ (საქართველოში ცირკულარი ...)). ამასთან, მესამე პირი – განანილების ლიცენზიატი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ შპს „ყ...ის“ მონაცემთა ბაზაში შპს „მ...ი“ აბონენტად (№...) ფიქსირდება 2015 წლის 20 იანვრიდან და აბონირების თარიღიდან ობიექტზე დამონტაჟებულია „ГОСТ 8.563.-97“-ით დასტანდარტებული ხარჯთალმრიცხველი კონტროლერი „F...3“ №....

ასევე, დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოთამორისო სტანდარტების კატალოგის მიხედვით, სტანდარტი „გოსტ 8.563.-97“ გაუქმებულია 2007 წელს და მის შემცვლელზე ინფორმაცია არ არის მითითებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის არსებითა დადგინდეს, პქონდა თუ არა განანილების ლიცენზიატს უფლებამოსილება, უპირობოდ მოეთხოვა შპს „მ...ის“ კუთვნილ გაზგასამართ სადგურზე აღრიცხვის კვანძის შეცვლა, რომელიც 2007 წელს გაუქმებული სტანდარტის საფუძველზე, 2019 წლის 15 იანვრამდე ვადით იყო დამოწმებული.

საკასაციო პალატა მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 64-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სტანდარტი უნდა ემყარებოდეს პრაქტიკული გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის განზოგადებულ შედეგებს და მიზნად უნდა ისახავდეს წარმოების ეფექტია-

ნობის და თავსებადობის ზრდას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, იზრდება ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების გამოყენების საჭიროება. ტექნოლოგიური ნოვაციებისათვის ტემპის შეთავსება და ეტაპობრივი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას წარმოების ხარისხის, მისი ეფექტიანობის დახვეწისა და ზრდისათვის. საერთაშორისო თუ ეროვნულ სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევით პრეზუმირდება, რომ უმჯობესდება ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელების შედეგები. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ ლიცენზირებად საქმიანობაში ნოვატორული ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა არ არის კანონმდებლის თვითმიზანი, მას გააჩინია ობიექტური ახსნა და ასეთი მიდგომა განპირობებულია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მეტი ეფექტიანობითა და სიზუსტით.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია, შპს „ს... ცენტრის“ მიერ 2015 წლის 15 იანვარს შპს „მ...ზე“ გაცემული №... დამოწმების მოწმობის საფუძველზე, შპს „მ...ის“ ობიექტზე დამოწაჟულია ჯერ კიდევ 2007 წელს გაუქმებული სტანდარტ „ГОСТ 8.563.-97“-ით დასტანდარტებული ხარჯთაღმრიცხველი კონტროლერი „F...3“ №... და დასახელებული დამოწმების მოწმობის მოქმედების ვადა 2019 წლის 15 იანვრამდე იქნა განსაზღვრული, თუმცა ხსენებულ გარემოებას არ შეეძლო შეეფერხებინა განაწილების ლიცენზიატის მხრიდან შპს „მ...ის“ FLOBOSS-ის ტიპის აღრიცხვის კვანძის მრიცხველის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი მრიცხველით ჩანაცვლება. დაუშვებელია, თუნდაც წინმსარებ პერიოდში არასათანადო წესით დამოწაჟულების პირობებში, განაწილების ლიცენზიატს – შპს „კ...ის“ (შპს „თ...ის“ წინამორბედს) წარმოადგინება დამოწმების მოწმობის მოქმედების ვადის განმავლობაში ხარვეზის აღმოფხვრისათვის ობიექტზე მოახდინოს ბუნებრივი გაზის დანახარჯის მეტი სიზუსტით აღმრიცხველი მრიცხველის მონტაჟი, მით უფრო, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კანონმდებლობა განაწილების ლიცენზიატს არსებული აღრიცხვის კვანძის ჩანაცვლებისათვის საჭირო ყველა ღონისძიების საკუთარი სახსრებით განხორციელებას ავალდებულებს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მასზედ, რომ ის გარემოება, რომ 2015 წელს ხარჯთაღმრიცხველი კონტროლერი – „F...3“ დასტანდარტდა 2007 წელს გაუქმებული „ГОСТ 8.563.-97“-ის სტანდარ-

ტით, არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული №... დამოწმების მოწმობის მოქმედების პერიოდში მრიცხველის შეცვლის საფუძვლად. აღნიშნულის საპირისპიროდ, ზემოთ განვითარებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რამდენადაც სტანდარტი 2007 წლს იყო გაუქმებული, დამოწმების მოწმობის 2019 წლის 15 იანვრამდე მოქმედება არ აბრკოლებდა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატს, შეეცვალა შპს „მ...ის“ ობიექტზე არსებული „F...3“ ტიპის აღრიცხვის კვანძი.

საკასაციო სასამართლო, აქვე, აღნიშნავს, რომ უმთავრესი მიზეზი, რითიც ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი შპს „მ...ის“ ობიექტზე არსებული აღრიცხვის კვანძის შეცვლის საჭიროებას ხსნიდა, იყო ის, რომ „F...3“ ტიპის მრიცხველს არ შეეძლო პულსირებული ნაკადის ნარმოქმნის შემთხვევაში, სრულად აღერიცხა მომხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობა.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიზანშენონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საქმეში წარმოდგენილ საქსპერტო დასკვნებზე, კერძოდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის პირველი თებერვლის №000671218 დასკვნის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი გაზს მოიხმარს კომპრესორის გავლით, რომელიც პერიოდულად ირთვება და ითიშება, ამ დროს მიღლადენში გამავალი ნაკადი იქნება პულსირებული ხასიათის და დროში შესაბამისად არასტაბულური, რომლის არასტაბილურობა კომპრესორის ნარმადობაზე იქნება დამოკიდებული. ბუნებრივი აირის ნაკადი მიღლადენში იქნება პულსირებული, როგორც კომპრესორის ჩართვა-გამორთვისას, ასევე, კომპრესორის მუშაობის პერიოდში.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკური ექსპერტიზის 2018 წლის 20 თებერვლის №001135318 დასკვნით განსაზღვრულ იქნა, რომ „F...3“ ტიპის ხარჯმზომი დამყარებულია სტანდარტული შემავიწროვებელი დიაფრაგმის გამოყენებაზე და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის შეიძლება გახდეს პულსირებული ნაკადის არასწორად აღრიცხვის მიზეზი. ამავე დასკვნით განისაზღვრა, რომ პულსირებული გაზის ნაკადის დროს მიზანშენონილია გამოყენებულ იქნეს როტაციული გაზის მრიცხველი. ამრიგად, დასკვნაში აღინიშნა, რომ „1. თუ ბუნებრივი გაზის გამზომი კვანძი აგებულია F...3 ხარჯმზე, ISO 5167.1-4:2003, ISO 5167.5-2016 ან ΓΟCT 8.586.1.-5:2005 სტანდარტის შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთი გამზომი კვანძით მომხმარებელზე მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობის აღრიცხვის უზუსტობის გამომწვევი მიზეზი იყოს აღ-

ნიშნულ გამზომ კვანძში გამავალი ნაკადის პულსირებული ხასიათი; 2. პულსირებული გაზის ნაკადის დროს უფრო მიზანშეონილია გამოყენებული იქნეს როტაციული გაზის მრიცხველი“.

ამასთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 27 თებერვლის №5001182718 წერილის თანახმად, პულსირებული ნაკადის შემთხვევაში, მომხმარებელზე მიწოდებული გაზის ოდენობა რეკომენდირებულია გაზომოს როტაციული ან გრიგალისებული (Vortex) ტიპის მრიცხველებით.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 16 მარტის №001755518 დასკვნის თანახმად, „... F...3 ტიპის ხელსანყო წარმოადგენს 32-პიტიან მიკროპროცესორზე დაფუძნებულ ნაკადის მთვლელ კომპიუტერს (...) და არა მრიცხველს. აღნიშნული მოწყობილობა მხოლოდ შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრულ გამზომ კვანძთან ერთობლიობაში განიხილება როგორც გამზომი კომპლექსი და დამოუკიდებლად ის არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც გაზის მრიცხველი. ინფორმაცია იმ სტანდარტთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გამზომი კვანძი და რომელზეც მონტაჟდება F...3 ტიპის ხარჯმზომი კონტროლერი, გადმოცემულია კომპანია E...-ის ინფორმაციურ ვებ გვერდიდან. ამ დოკუმენტის გვ. 2-ზე არსებობს შემდეგი სახის ჩანაწერი: „The F...3 unit can perform gas flow calculations to GOST standards and ISO 5167 standards, using user C programs“, რაც ცალსახად ნიშნავს, რომ F...3 ტიპის ხარჯმზომი კონტროლერისათვის გამზომი კვანძის აგება უნდა მოხდეს ISO 5167 ან შესაბამისი GOST სტანდარტით. და ასეთი გამზომი კვანძი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ აღნიშნული სტანდარტის პირობებს.“

ზემოაღნიშნულ საექსპერტო დასკვნებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩევის მიერ სასამართლოში დამატებით წარმოდგენილი შპს „ტ...“-ის 2019 წლის 18 ივნისის №01/19 ექსპერტის დასკვნის შინაარსის მიუხედავად, საქმის მასალები ადასტურებს, რომ „F...3“ ტიპის გაზის მრიცხველის გამოყენებას პრაქტიკაში შესაძლებელია თან სდევდეს საექსპერტო დასკვნებში მკაფიოდ გადმოცემული რისკები. თუმცა სააპელაციო სასამართლომ პრაქტიკულად უგულებელყო აღნიშნული საექსპერტო დასკვნების შინაარსი, რომელიც ცხადყოფდა, რომ „F...3“ ტიპის აღრიცხვის კვანძის გამოყენება არ არის ყველა შემთხვევაში სანდო. სააპელაციო სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა შპს „ტ...“-ის (შპს „თ...“ №ინამორბედის) ის მოტივი, რამაც უბიძგა განაწილების ლიცენზიატს, შეეცვალა ყველა ავტოგაზგასამართ სად-

გურზე დამონტაჟებული F...3“ ტიპის გაზის მრიცხველი.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს დავის განხილვის დროს არ გაუთვალისწინებია ის სამომავლო რისკები, რომელიც შესაძლოა მრიცხველის მხოლოდ ვარგისი-ანობისა და აღრიცხვიანობის სიზუსტის მაჩვენებლებით შეცვლის პრაქტიკაში დანერგვას გამოწვია. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბების საჭიროობასა და ეფექტურობაზე, ასევე, მხედველობაში არ მიუღია საექსპერტო დასკვნებით დადასტურებულად არასანდოდ მიჩნეული მრიცხველის პრაქტიკაში გამოყენების რისკები და მისი გამოყენებით მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის პროცესში ცდომილების დაშვების მაღალი ალბათობა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო პალატას საბოლოო დასკვნის გაკეთების პროცესში არ შეუფასებია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და მასთან ადაპტირების მნიშვნელობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია სტანდარტის გამოყენების ნებაყოფლობითობა, თუმცა ამავე მუხლის მე-4 ნაწილით უპირატესობა ენიჭება შესაბამის სფეროში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გამოყენებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას და მის სანინააღმდეგოდ მიუთითებს, რომ ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლისას სახელმწიფოთაშორისო სტანდარტების კატალოგის მიხედვით გაუქმებულ სტანდარტზე მომუშავე მრიცხველის შეცვლის მიმართ განაწილების ლიცენზიატის დაინტერესებასა და მოთხოვნას აჩენს სწორედ ზემოხსენებული საკანონმდებლო ჩანაწერი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების სანდონობის მხედველობაში მიღებით, განაწილების ლიცენზიატს აქვს მათი პრაქტიკაში დაკვიდრების განსაკუთრებული ინტერესი. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საექსპერტო დასკვნებით პრაქტიკულად დადასტურებულია „F...3“ ტიპის გაზის მრიცხველის ზოგადი არასანდონობა პულსირებული ნაკადის წარმოქმნის დროს, გაურკვეველია, თუ რა განსაკუთრებული აუცილებლობა არსებობს ძველი, გაუქმებულ სტანდარტზე მომუშავე მრიცხველის შენარჩუნებისა, რა მიზეზით ენინააღმდეგება მოსაზრებელი ახლებური სტანდარტის მის მიმართ გამოყენებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გაზის მრიცხველის შეცვლა განაწილების ლიცენზიატის ხარჯებით მიმდინარეობს.

ზემოხსენებულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, საკა-

საციონ პალატა განმარტავს, რომ ობიექტზე დამონტაჟებული აღ-  
რიცხვის კვანძის სათანადო საერთაშორისო სტანდარტებით გათ-  
ვალისწინებული მრიცხველით შეცვლის გარეშე, განაზილების ლი-  
ცენზიატს მოუწევდა ყველა მიმწოდებლის მიმართ ინდივიდუალუ-  
რი მიდგომის გატარება, რაც შექმნიდა ქაოტურ მდგომარეობას და  
გააჭიანურებდა მოქმედ სტანდარტებთან თავსებადი აღრიცხვის  
კვანძების ექსპლუატაციაში ჩაშვების პროცესს. მრიცხველის შეც-  
ვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არსებით, გადამწყვეტ  
მნიშვნელობას იძენს არა კონკრეტულ ობიექტზე მისი გამოყენე-  
ბის შედეგები, ანუ დამონტაჟებული მრიცხველის ამ ობიექტზე აღ-  
რიცხვიანობის სიზუსტე, არამედ უშუალოდ მითითებული აღრიც-  
ხვის კვანძის ზოგადი ვარგისიანობა და სანდოობა. თავად გაზის  
მრიცხველის მახასიათებლები უნდა იყოს მაქსიმალურად სარწმუ-  
ნო, რათა მისი ექსპლუატაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღე-  
ბის შედეგად მოხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობის აღრიც-  
ხვის პროცესში მაქსიმალურად იქნეს დაზღვეული ყველანაირი  
რისკისა და ლაფსუსის პოტენციურად წარმოშობა. სხვაგვარად, გა-  
ნაწილების ლიცენზიატი ვერ შეძლებდა ყველა ობიექტზე დროუ-  
ლად და ეფექტურად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი  
აღრიცხვის კვანძების შეცვლა-დამონტაჟებას, რასაც, ობიექტთა  
სიმრავლის გათვალისწინებით, უკვე არსებული გაზის მრიცხველე-  
ბის უზუსტობის შემთხვევაში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი  
მიყენებინა უშუალოდ განაწილების ლიცენზიატისათვის. აღნიშ-  
ნულის საპირონედ, არც საქმის მასალებით და არც მოსარჩელის  
არგუმენტაციით არ იკვეთება შპს „მ...ისათვის“ გაზის მრიცხველის  
შეცვლის შედეგად რაიმე ხელშესახები ზიანის მიყენების რისკი ან  
ამგვარი რისკის წარმოშობის გონივრული საფრთხეები, რაც სასა-  
მართლოს სხვაგვარი მსჯელობის საფუძველს მისცემდა.

ზემოაღნიშნული არგუმენტაციის გათვალისწინებით, საკასა-  
ციონ სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მიერ გან-  
სახილველი დავის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო  
კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტას.  
ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართვე-  
ლოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის  
2021 წლის 1 ივნისის №ბს-643(2-კ-20) განჩინებაზე, სადაც საკასა-  
ციონ პალატამ განმარტა, რომ „ადმინისტრაციული საპროცესო კო-  
დექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილე-  
ბას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წე-  
სით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფა-  
სება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძ-  
ლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომ-

დინარე ან ალნიშნული მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონტებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განიხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები” (იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.12.2018წ. №ბა-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლეოდა სრულ საფუძველს, სააპელაციო სასამართლოს დამატებით დაედგინა და გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე, საკასაციო სასამართლოს მიერ ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, სხვაგვარი შეფასება მიეცა საქმეზე უკვე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებისათვის. მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასების შესაძლებლობის არსებობის პირობებში კი, სააპელაციო სასამართლოს პქნიდა სრული პროცესუალური შესაძლებლობა, თავად გადაწყვეტილი სადაც საკითხი და არსებითად ემსჯელა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე. მითითებული პროცესუალური ხარვეზი, ასევე, საკასაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათ გარშემო განვითარებული მოსაზრებების დაცვის გადაწყვეტის პროცესში გათვალისწინების საჭიროება, ქმნის სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს წინამდებარე განჩინებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული გარემოებების თაობაზე და თავად მიიღოს გადაწყვეტილება სადაც სამართლურო იერთობასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალ-

მომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

# ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე ბრძანების კანონირება

## გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ბს-1249(კ-20)

13 დეკემბერი 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
გ. აბუსერიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 12 მარტს ხ. ჯ-მა სარჩელით მიმართა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-  
ბასების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 6 დეკემბერს, შერჩევის  
პრინციპით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 5 სექ-  
ტემბრის №1154 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ნოტა-  
რიუს ხ. ჯ-ის სანოტარო საქმიანობის შემოწმება. შემოწმების აქ-  
ტის თანახმად, ნოტარიუს ხ. ჯ-ის საქმიანობის ფარგლებში გამოვ-  
ლინდა შემდეგი სახის დარღვევები: ა) რამდენიმე სანოტარო აქ-  
ტში ნოტარიუსის მიერ მითითებულია დადგენილებაზე ნაკლები  
საზღაური; ბ) სანოტარო აქტებში სანოტარო მოქმედების მონაწი-  
ლები არ არიან გაფრთხილებული შემოწმების გამომრიცხავი გა-  
რემოვებების შესახებ; გ) სანოტარო აქტებში სანოტარო მოქმედე-  
ბის მონაწილეები არ არიან გაფრთხილებული თარჯიმნობის გამომ-  
რიცხავი გარემოებების შესახებ; დ) ერთ-ერთ სანოტარო აქტში არ  
არის ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭედი; ე) დარღვეულია ორი ან-  
დერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის გამოქვეყნების წესი; ვ) სამი  
სამკვიდრო მოწმობა გაცემულია სამკვიდროს ფაქტობრივად ფლო-  
ბის დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტის გამოთხოვის გა-  
რემე. აღნიშნული დარღვევების გამო მოსარჩელის მიმართ გან-  
ხორციელდა დისციპლინური წარმოება, რომლის შედეგად მას სა-  
ქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძა-  
ნებით დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა უფლებამოსი-  
ლების შეჩერება სამი თვეს ვადით.

მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის არაადეკვატურ ღონისძიებას, რადგან სანოტარო საქმიანობის შემოწმების შედეგად გამოვლენილი გარემოებები, რომლებიც კომისიამ კანონდარღვევად მიიჩნია, საერთოდ არ შეიცავს გადაცდომის ნიშნებს, ხოლო ზოგიერთი გადაცდომა იმდენად წერილმანი და მსუბუქი ხასიათისაა, რომ იგი არ ქმნის ნოტარიუსის მიმართ პასუხისმგებლობის იმგვარი მძიმე სანქციის გამოყენების საფუძველს, რომელიც გასაჩივრებული ბრძანებით იქნა გათვალისწინებული.

მოსარჩელის მოსაზრებით, ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საერთოდ არ შეიცავს დასაბუთებას და არგუმენტირებულ დასკვნებს იმის შესახებ, მოსარჩელის საქმიანობაში გამოვლენილი გარემოებები რა კრიტიკუმებით იქნა მიჩნეული მძიმე დისციპლინურ გადაცდომად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძანების – „ნოტარიუსების მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ“ ნოტარიუს ს. ჯ-ის ნაწილში, ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ ასევე მოითხოვა „ნოტარიუსების მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძანების მოქმედების შეჩერება ნოტარიუს ს. ჯ-ის ნაწილში და ასევე ნოტარიუს ს. ჯ-ისთვის სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეესტრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 მარტის განჩინებით ნოტარიუს ს. ჯ-ის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა „ნოტარიუსების მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძანების მოქმედება ნოტარიუს ს. ჯ-ის ნაწილში, ამასთან, უზრუნველყოფილ იქნა ნოტარიუს ს. ჯ-ისთვის სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეესტრის ხელმისაწვდომობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 მარტის განჩინება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ხ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 6 დეკემბერს შერჩევის პრინციპით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 5 სექტემბრის №1154 ბრძანების საფუძველზე და მის შესასრულებლად, განხორციელდა ნოტარიუს ხ. ჯ-ის სანოტარო საქმიანობის შემოწმება 2014 წლის 6 დეკემბრიდან 2017 წლის 6 დეკემბრამდე პერიოდში, რა დროსაც გამოვლენილი იქნა რიგი დარღვევები, კერძოდ: სანოტარო აქტებში (№..., №..., №..., №..., №..., №..., №..., №...) ნოტარიუსის მიერ მითითებულია დადგენილზე ნაკლები საზღაური. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გარიგებაში რამდენიმე მარწმუნებლის მონაცილებისას საზღაური მინდობილობის/რწმუნებულების დამოწმებისათვის იანგარიშება მარწმუნებლების რაოდენობის შესაბამისად. მოსარჩელე ხ. ჯ-მა ზემოაღნიშნული რწმუნებულებების დამოწმების სანაცვლოდ ანაზღაურება განსაზღვრა შხოლოდ ერთი მარწმუნებლისათვის, როდესაც მარწმუნებელი ორი იყო, კერძოდ რწმუნებულება გაიცემოდა სანარმოს ღირექტორის და პარტნიორის მიერ. შესაბამისად, მოსარჩელემ დაარღვია ინსტრუქციის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტი. ამავე ინსტრუქციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს შემდეგი გარემოებებითა და/ან დოკუმენტებით: ა) იმ ფაქტით, რომ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამონურვამდე დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში ჰქონდა ერთი და იგივე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. ამასთანავე, ეს ნორმა მიერთებს მიუხედავად იმისა, რა უფლებრივი მიმართება ჰქონდა მამკვიდრებელს, ან რა უფლებრივი მიმართება აქვს მემკვიდრეს იმ ბინის/სახლის მიმართ, რომელშიც იყვნენ ისინი რეგისტრირებული. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო მასაში შემავალ მოძრავ წივთებს, ან სამკვიდრო მასაში შემავალ ბინას/საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ამ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ დროის მონაკვეთში რეგისტრირებული იყვნენ მემკვიდრე და მამკვიდრებელი; ბ) მამკვიდრებლის კუთვნილი იმ დოკუმენტების ფაქტობრივად ფლობა, რომელიც ადასტურებს სამკვიდრო მასაში სატრანსპორ-

ტო საშუალების, საბანკო ანგარიშზე თანხის, სახეობითი აქციის არსებობას; გ) საგადასახადო ორგანოს ცნობა, სადაზღვევო კომპანიის ცნობა, ბანკის ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ შესარულა მამკვიდრებლის შეუსრულებელი საგადასახადო და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები, ან მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაავაშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები. ამასთანავე, ეს ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში; დ) კომუნალური შომსახურების გადასახადების დამადასტურებელი ცნობები, ან ქვითრები, თუ შესაძლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია; დ<sup>1</sup>) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, აგრეთვე ორდერი, სადაც ორდერში შეტანილ პირებში მითითებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე; ე) სხვა საჯარო დოკუმენტები. მოცემულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, (სამკვიდრო მოწმობებით) დადგენილად მიიჩნია, რომ სამკვიდრო მოწმობები (№..., №..., №...) გაცემულია სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „წოტარიუსი ვალდებულია სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (თარჯიმნის ჩათვლით) გააფრთხილოს თარჯიმნის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, მაგრამ არ არის ვალდებული დოკუმენტურად შეამოწმოს ამ გარემოებათა არსებობა-არარსებობა. მხარემ და თარჯიმანმა უნდა დაადასტურონ თარჯიმნის გამომრიცხავი გარემოებების არასებობის შესახებ. მითითებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გააფრთხილოს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, მაგრამ არ არის ვალდებული დოკუმენტურად შეამოწმოს ამ გარემოებათა არსებობა-არარსებობა. მხარემ და მოწმემ უნდა დაადასტურონ მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ხ. ჯ-ის მიერ არაერ-

თგზის იქნა მითითებული წესი დარღვეული, კერძოდ, არაერთხელ დაარღვია დასახელებული ნორმის იმპერატიული მოთხოვნა-გაეფ-რთხილებინა სანოტარო მოქმედების მონაწილენი და თარჯიმანი მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკაცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკაცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტებისა, საჯარო აქტი უნდა შეიცავდეს ნოტარიუსის ხელმოწერას და ბეჭედს. მოცემულ შემთხვევაში კი, დადგენილია და მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩევე ხ. ჯ-ის სანოტარო საქმიანობის შემოწმების პროცესში, ერთ-ერთი სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ნოტარიუსთან ინახებოდა არ ჰქონდა ხელმოწერა და ბეჭედი.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 76-ე მუხლის თანახმად, მონდერდის გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემდეგ, ნოტარიუსი ვალდებულია დანიშნოს ანდერდის გამოქვეყნების დღე და მოინვიოს დაინტერესებული პირები. ანდერდი წაკითხულ უნდა იქნეს მოწვეული პირის (პირების) თანდასწრებით. იმ შემთხვევაში, თუ ანდერდი დალუქულია კონვერტში, კონვერტი უნდა გაიხსნას მოწვეული პირების თანდასწრებით. ნოტარიუსი ვალდებულია ანდერდის გამოქვეყნების შესახებ შეადგინოს ოქმი საჯარო აქტის ფორმით, რომელშიც წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტების გარდა უნდა მიეთითოს მოწვეული და დამსწრე პირების ვინაობა და იდენტიფიკაციის სხვა მოხაცემები, ინფორმაცია კონვერტისა და ლუქის მთლიანობის შესახებ, ანდერდის შესახებ ინფორმაცია (მოანდერდის ვინაობა, ანდერდის შედგენის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი, ანდერდის შინაარსი). ანდერდის შინაარსის მითითება არ არის საჭირო, თუ ოქმის თან დაერთვის კონვერტში მოთავსებული ანდერდის დამოწმებული ფოტო-ასლი. ოქმის ხელი უნდა მოაწერონ დამსწრე პირებმა და ნოტარიუსმა. ოქმის დამოწმებული ასლის მიღების უფლება აქვს ყველა უფლებამოსილ პირს. ანდერდი, რომელიც გამოქვეყნდა, უნდა დარჩეს ნოტარიუსთან, რომელთანაც იგი ინახებოდა, ხოლო ანდერდისმიერ მემკვიდრეს, ან სხვა უფლებამოსილ პირს უნდა მიეცეს ანდერდის დამოწმებული ასლი.

მოცემულ შემთხვევაში პირებელი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ანდერდის საფუძველზე სამკვიდრო მოწმობის (სამკვიდრო მოწმობები №... და №...) გაცემასთან დაკავშირებულ მასა-

ლებში, წარმოდგენილი არ არის ანდერძის გამოქვეყნების დამა-დასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, მოსარჩელე ხ. ჯ-ის მი-ერ დაირღვა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესა-ხებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტი-ციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცე-ბული ინსტრუქციის 76-ე მუხლის მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა სარჩელის დაქმაყოფი-ლების საფუძვლად იმ გარემოებაზე მითითება, რომ გასულ პერი-ოდში ჩატარებული ნოტარიუს ხ. ჯ-ის შემოწმების დროს იდენტუ-რი დარღვევის გამოვლენისას დისციპლინური გადაცდომის კვა-ლიფიკაცია არ მიენიჭა და განმარტა, რომ დისციპლინური გადაც-დომის გამომრიცხავი გარემოება არ შეიძლება იყოს ადმინისტრა-ციული ორგანოს მიერ, ადრე დისციპლინური გადაცდომის არ გა-მოვლენა და დისციპლინური სახდელის არ შეფარდება. ისეთ პი-რობებში, როდესაც ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტებით, პირდაპირ, ცხადად და იმპერატიულად არის დადგენილი საზღაუ-რის გამოთვლის წესი და ოდენობა, ფაქტობრივი ფლობით სამკვიდ-როს მიღებისათვის გამოსათხოვი დოკუმენტების ჩამონათვალი, ანდერძის გამოქვეყნების წესი და ა.შ. მისი ბუნდოვანების საფუძ-ვლით დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის გამო-რიცხვა სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული. სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ სახეზეა ისეთი გადაცდომები, რომლებიც კა-ნონმდებლობით არის მიჩნეული მძიმედ და განსაკუთრებით მძი-მედ და რისთვისაც „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებ-ლობის შესახებ“ დებულების მე-10 და მე-11 მუხლების თანახმად, ნოტარიუსი შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან, ან მას შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ხ. ჯ-ის მიმართ, დის-ციპლინური პასუხისმგებლობის სახის შერჩევა საქართველოს იუს-ტიციის მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილებაა. ადმინის-ტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილება განახორ-ციელა კანონით დადგენილ ფარგლებში და გამოიყება დისციპლი-ნური პასუხისმგებლობის მიზნის მიღწევის პროპორციული ღონის-ძიება – უფლებამოსილების შეჩერება სამი თვით და უარი თქვა თანამდებობიდან გათავისუფლებაზე ან უფლებამოსილების მეტი ვადით შეჩერებაზე.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ნოტარიუსის თანამდებო-ბა მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციის მატარებელია და მისი როლი განსაკუთრებულია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირე-ბის თვალსაზრისით, რაც ბუნებრივია ზრდის ასეთ თანამდებობა-ზე დასაქმებულ პირთა პასუხისმგებლობის ხარისხს და წარმოშობს

ნოტარიუსის საქმიანობაზე მკაცრი სამსახურებრივი ზედამხედველობის აუცილებლობას. აღნიშნულით არის განპირობებული ის, რომ ნოტარიუსის გადაცდომათა სიმძიმე, ხარისხი (გრადაცია) და შესაბამისი პასუხისმგებლობა უშუალოდ კანონმდებლობით არის განსაზღვრული და მოცემულ შემთხვევაში დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, საჯარო ინტერესის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩირია ხ. ჯ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 აგვისტოს განჩინებით ხ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა მათზე და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია დისკიპლინური გადაცდომის ფაქტები, ხ. ჯ-ის მიმართ, დისკიპლინური პასუხისმგებლობის სახის შერჩევა საქართველოს იუსტიციის მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილებაა, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანოსა თუ პირის ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაში მისთვის დაბრკოლების შექმნა. ადმინისტრაციული ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ საჯარო-სამართლებრივ ვალდებულებას – საქმის გარემოებების გამოკვლევის, დასაბუთების და კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, მიღების, გამოცემის თაობაზე, აღტერნატივა

არ გააჩნია და სწორედ ამგვარი აქტი ექვემდებარება გასაჩივრების პირობებში სასამართლოს მხრიდან სრულ სასამართლო კონტროლის განხორციელებას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონით დადგენილ ფარგლებში და გამოიყენა დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნის მიღწევის პროპორციული ღონისძიება – უფლებამოსილების შეჩერება სამი თვეზე და უარი თქვა თანამდებობიდან გათავისუფლებაზე ან უფლებამოსილების შეტი ვადით შეჩერებაზე. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა მისივე დისკრეციის ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნითა და ასევე კანონით გათვალისწინებული ჩარევის პროპორციული საშუალებით, მისი მხრიდან სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ სათანადო შეფასების შედეგად გამოიცა აქტი აპელანტთან მიმართებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ხ. ჯ-მა.

კასატორის განმარტებით, შემოწმების აქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში კომისიის მიერ მოცემული მსჯელობა მოწმეობისა და თარჯომნობის გამომრიცხავი გარემოებების თაობაზე სანოტარო აქტის მონაწილეთა გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებით, ვერ იქნება მიჩნეული მოპასუხების მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების ადეკვატურ ზომად, რადგან ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით, იმავე კომისიამ 2014 წელს განხორციელებული შემოწმების ფარგლებში მსგავსი ფაქტი არ დააკვალიფირა ნოტარიუსის დისციპლინური პასუხისმგებლობის წინაპირობად, ამასთან, აღნიშნულ ფაქტს მძიმე დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია ვერ მიენიჭება, რადგან მსგავსი ქმედება არ ექცევა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით განსაზღვრულ მძიმე დისციპლინურ გადაცდომათა კატეგორიაში. შესაბამისად, ასეთი გადაცდომების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ადეკვატურ ღონისძიებად ვერ იქნება მიჩნეული ის სანქცია (უფლებამოსილების შეჩერება), რომელიც მოსარჩელეს გასაჩივრებული ბრძანებით შეფასებად.

რაც შეეხება კომისიის შემოწმების აქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულ ერთადერთ შემთხვევას, როდესაც სანოტარო აქტში არ იყო ასახული ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭედი, ტექნიკური ხარვეზს წარმოადგენს და ვერ მიენიჭება იმგვარი გადაცდომის კვალიფიკაცია, რომლის გამოც ნოტარიუსი დისციპლინური პასუხისმგებლობას შეიძლება იმსახურებდეს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ეს ტექნიკური ხარვეზი უშუალოდ სანოტარო ბიუროში დაცული აქტის ეგზემპლარზე იქნა დაფიქსირებული და რომელიც მარტივად გამოსწორდა, ხოლო უშუალოდ ის ეგზემპლარი, რომელიც დაინტერესებული პირისთვის იქნა შედგენილი, შეიცავდა ყველა რეკვიზიტს, მათ შორის, ხელმოწერას და ბეჭედს, რის შედეგადაც აღნიშნულმა დოკუმენტმა შეასრულა თავისი ფუნქცია – რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში.

რაც შეეხება შემოწმების აქტის „ე“ ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევას, რომელიც დაკავშირებულია ანდერძის გამოქვეყნების წესთან, კომისიის დასკვნები ამ შემთხვევაშიც დაუსაბუთებელია, რადგან კომისიის მიერ დაფიქსირებული შენიშვნიდან გაუგაბარია, კონკრეტულად რა თვალსაზრისით გამოვლინდა ანდერძის გამოქვეყნების წესის დარღვევა. ანდერძის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით არსებობდა ნოტარიუსთა პალატის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც მიღებისთანავე სრულდებოდა მოსარჩელის მხრიდან, ხოლო ანდერძის გამოქვეყნების წესი შემუშავებულ იქნა ნოტარიუსთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის №28 დადგენილებით, რომელიც ასევე სრულდება მოსარჩელის მიერ.

კასატორის მითითებით, კომისიის შემოწმების აქტის „ვ“ ქვეპუნქტის შენიშვნა, რომ სამკვიდრო მოწმობების გაცემა განხორციელდა ქონბის ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტების გამოთხვის გარეშე, მოკლებულია საფუძველს და წარმოადგენს საქმესთან დაკავშირებული გარემოებების არაჯეროვანი კვლევის შედეგად დაფიქსირებულ პოზიციას. მოსარჩელემ, სამიცვე სადაცვო შემთხვევაში კანონის სრული დაცვით გასცა სამკვიდრო მოწმობები, კერძოდ, ერთ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის ადგილია ქუთაისი, ... №9, რაც დადასტურდა შესაბამის ოფიციალურ საინფორმაციო ბაზაში დაცული სამისამართო მონაცემებით, ხოლო ფაქტობრივი დაუფლების დამდგენ დოკუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 28.06.2016. საინფორმაციო ბარათი; მეორე შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის ადგილია ქუთაისი, ... ქ. №16, რაც დადასტურდა შესაბამის ოფიციალურ საინფორმაციო ბაზაში დაცული სამისამართო მონაცემებით, ხოლო ფაქტობრივი დაუფლების დამდგენ დო-

კუმენტს წარმოადგენს იმავე საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან მოპოვებული ოფიციალური ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს დაუფლების ფაქტი; მესამე შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის ადგილია ქ. ქუთაისი, ... ქ. №21, ბ. №1. მოსარჩელისთვის მიწოდებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ვინაიდან საცხოვრებელ კორპუსში ადგილი ჰქონდა ბინების გადანომრვას, რიგ დოკუმენტებში ბინის ნომერი განსხვავებულად ფიქსირდება, თუმცა ქ. ქუთაისის მერიის საბინაო სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციით ბინა იდენტიფიცირებულ იქნა.

კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, რადგან იმავე კომისიის შემოწმების აქტში მითითებული სხვა ნოტარიუსების მიმართ, რომლებთან მიმართებითაც იგივე ხასიათის დარღვევები დაფიქსირდა, არ იქნა გამოყენებული ისეთი მძიმე სანქცია, როგორც მოსარჩელის შემთხვევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის განჩინებით ხ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ხ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში მოცემულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2017 წლის 6 დეკემბერს შერჩევის პრინციპით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 5 სექტემბრის №1154 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ნოტარიუს ხ. ჯ-ის სანოტარო საქმიანობის შემოწმება 2014 წლის 6 დეკემბრიდან 2017 წლის 6 დეკემბრამდე პერიოდში.

სანოტარო საქმიანობის შემოწმების აქტის თანახმად, ნოტარიუს ხ. ჯ-ის შემოწმებისას გამოვლენილ იქნა რიგი დარღვევები, კერ-

ძოდ: ა) სანოტარო აქტებში (№..., №..., №..., №..., №..., №..., №...) ნოტარიუსის მიერ მითითებულია დადგენილზე ნაკლები საზღაური; ბ) 2014 წლის დეკემბრიდან 2017 წლის სექტემბრამდე შესრულებულ სანოტარო აქტებში (მათ შორის, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შესრულებულ რჩმუნებულება/მინდობილობებში) სანოტარო მოქმედების მონაწილეები (მოწმის ჩათვლით) არ არიან გაფრთხილებული მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ; გ) 2014 წლის დეკემბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე შესრულებულ ორენოვან სანოტარო აქტებში სანოტარო მოქმედების მონაწილეები (თარჯიმზის ჩათვლით) არ არიან გაფრთხილებული თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ; დ) სანოტარო აქტში (№... არ არის ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭედი; ე) ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობები (№... და №...) გამოქვეყნებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით; ვ) სამკვიდრო მოწმობები (№..., №..., №...) გაცემულია სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისადმი 2018 წლის 6 თებერვლის წერილობით მიმართვაში, მოსარჩელე ხ. ჯ-მა განმარტა, რომ სანოტარო საქმიანობის შემოწმების აქტში მითითებული დარღვევევა – კანონმდებლობით დადგენილზე ნაკლები საზღაურის გადახდევინება, 2014 წელს განხორციელებული შემოწმების შედეგად დარღვევად არ მიჩნეულა და ასეთ მინდობილობებზე არსებობდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა. აქტში მითითებული დარღვევევა, რომ სანოტარო აქტზე არ იყო ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭედი, იმ დროისათვის უკვე აღმოფხვრილი იყო და იმავე სანოტარო აქტის სხვა ეგზემპლარებზე ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭედი დატანილი იყო, ხოლო სამკვიდრო მოწმობების (№..., №..., №...), სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე გაცემასთან დაკავშირებული დარღვევებზე, მოსარჩელე ხ. ჯ-მა განმარტა, რომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში (№... სანოტარო აქტის შედგენისას), საქმეში არ მოიპოვებოდა ქ. ქუთაისის საბინაო სამსახურის ცნობა, რომელიც სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტს დაადასტურებდა და დანარჩენ შემთხვევებში მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო.

დასციპლინური კომისიის 2019 წლის 19 თებერვლის სხდომის ოქმისა და დასკვნის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძანების თანახმად, ნოტარიუს ხ. ჯ-ს შეეფარდა დისციპლინური სახდელი – ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერება სამი თვის ვადით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძანების, რომლითაც ნოტარიუს ხ. ჯ-ს შეეფარდა დისციპლინური სახელი – ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერება სამი თვის ვადით, კანონიერების დადგენა.

საქასაციო სასამართლოს მითითებით ნოტარიუსი წარმოადგენს საჯარო ნდობის პროფესიას. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მიხედვით ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. სახელმწიფოს მიერ ნოტარიუსისათვის საჯარო უფლებამოსილების დელეგირების თანმდევ თვისებას წარმოადგენს სახელმწიფოს ზედამხედველობითი როლის შენარჩუნება მისი საქმიანობის კანონიერებაზე, ასევე, ნოტარიუსის პროფესიულ საქმიანობაში თავისიუფლება და დამოუკიდებლობა განაპირობებს მის პირად პასუხისმგებლობას თავისი სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. ამით ნოტარიატი განსხვავდება იმ პირებისაგან, რომელთაც დაეკისრათ კლასიკური მმართველობითი ფუნქციის განხორციელება.

სახელმწიფოს ზედამხედველობა ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე იუსტიციის სამინისტროს სახით, განეკუთვნება შეზღუდული სამართლებრივი ზედამხედველობის კატეგორიას, რომელიც მინიჭებული აქვს „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით და ამავე კანონის საფუძველზე დეტალურად რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებულ „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით. აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დისციპლინური სახელი შეეფარდება ნოტარიუსს, თუ იგი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას არღვევს საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე საქართველოს ნოტარიატის აქტებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ლახავს ნოტარიუსის პროფესიის პატივსა და ღირსებას, არღვევს ნოტარიატისადმი ნდობას. ამავე დებულების მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს პირის განცხადება ან საჩივარი. დებულების მე-3 მუხლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისი სახდელები იყოფა მათი სიმძიმის ხარისხის შესაბამისად. ამ დებულების მიზნებისათვის დისციპლინური გადაცდომა იყოფა: ა) მსუბუქ გადაცდომად; ბ) სამუალო გადაცდომად; გ) მძიმე გადაცდომად; დ) განსაკუთრებით მძიმე გადაცდომად, ხოლო ამავე ბრძანების მე-8 მუხლის მი-

ხედვით, დაშვებული დისციპლინური გადაცდომისათვის, სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, ნოტარიუსს შეეფარდება შემდეგი დისციპლინური სახდელი: а) გაფრთხილება; ბ) საყვედლური; გ) უფლებამოსილების შეჩერება; დ) თანამდებობიდან გათავისუფლება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადაცოა б. ჯ-ის მიერ ოთხი სახის გადაცდომის ჩადენა. სანოტარო საქმიანობის შემონაბის აქტს გაეცნო მოსარჩელე ხ. ჯ-ი და არ დაეთანხმა სადაცო აქტში მითითებულ „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების, იმის გამო, რომ 2014 წელს განხორციელებული შემონაბის შედეგად გამოვლენილი იგივე ქმედებები, კომისიის მიერ დარღვევად არ დაკავალიფიცირებულა. პირველ დარღვევად მიჩნეულია სანოტარო აქტებში (№..., №..., №..., №..., №..., №..., №...) ნოტარიუსის მიერ მითითებული დადგენილ საზღაურზე ნაკლები. თუმცა თავად, მოსარჩელემ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ იდენტურ დოკუმენტებზე, რაც უამრავია მის არქივში, 2014 წლის შემონაბის დროს იგივე შემადგენლობის კომისიას შენიშვნები არ გააჩნდა და არც დაუფიქსირებია, ვინაიდან, ამ ტიპის მინდობილებზე არსებობდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა. მას შემდეგ, რაც ამ საკითხთან მიმართებაში ნოტარიუსთა პალატის მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, ითვალისწინებს მათ. შემონაბის აქტის „ე“ პუნქტთან დაკავშირებით (ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაბეჭი №... და №... გამოქვეყნებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით) არის ანალოგიური ვითარება. რაც შეეხება შემონაბის აქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილ დარღვევას, №... სამკვიდრო მონაბით დასტურდება, რომ სამკვიდროს გახსნის ადგილია ქ. ქუთაისი, ... ქ. №19, რაც თავის მხრივ დასტურდება სრს მონაცემთა ბაზით, ხოლო ფაქტობრივი დაუფლების დოკუმენტი, კერძოდ, სსკს ქუთაისის სრს მიერ 2016 წლის 28 ივნისს გაცემული საინფორმაციო ბარათი №... დევს სამკვიდრო მონაბის თანადართულ დოკუმენტებში. №... სამკვიდრო მონაბით დასტურდება, რომ სამკვიდროს გახსნის ადგილია ქ. ქუთაისი, ... ქ. №16, რაც თავის მხრივ დასტურდება სრს მონაცემთა ბაზით, ასევე სრს მონაცემთა ბაზით დასტურდება, მემკვიდრის მიერ კანონით დადგენილ ვადებში, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. №... სამკვიდრო მონაბით დასტურდება, რომ სამკვიდროს გახსნის ადგილი არის ქ. ქუთაისი, ... ქ. №21, ბ. № 1. საქმეში არსებული დოკუმენტებით დგინდება, რომ მამკვიდრებლის დედის სამკვიდროს გახსნის ადგილია ... (...) სახლი №21. ნოტარიუსმა აღნიშნა, რომ მისთვის მონაცემული ინფორმაციით სახლები გადაინორმა, რის გამოც რიგ დოკუმენტებში ფიქსირდება სახლი №21, ბ. №1-ით ან №2-ით, რაზეც შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდა ქ. ქუთაი-

სის მერიის საბინაო სამსახურმა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს წარმოადგენს თუ არა ბ. ჯ-ის მიერ დისციპლინურ გადაცდომად მიჩნეული ქმედებები მძიმე ხასიათის გადაცდომას და მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება – წოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერება სამი თვის ვადით, შეესაბამება თუ არა პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადად, დისციპლინური საქმისწარმოების ფუნქცია არ მდგომარეობს დისციპლინური წარმოების სუბიექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თუ ქმედების/უმოქმედობის სამართლებრივ შედეგზე ზემოქმედების მიზანში. დისციპლინური წარმოების მიზანს სუბიექტის ქმედების შეფასება და ადეკვატური რეაგირება წარმოადგენს, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების მიზნიდან გამომდინარე. დისციპლინური პროცედურის მიზანი და ფუნქცია მდგომარეობს კონკრეტული ინსტიტუტის ავტორიტეტის, კონკრეტული სუბიექტის სანდოობის, ეთიკის სტანდარტების მიღწევასა და განმტკიცებაში. დისციპლინური წარმოების პროცედურის საფუძველზე მოწმდება პირის პასუხისმგებლობის ხარისხი და კისრებული მოვალეობებისადმი.

დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს ზოგადად მოხელის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება უნდა მოხდეს დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რაც უნდა შეფასდეს როგორც ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების, ისე სასამართლოს მხრიდან სახდელის დადების კანონიერების შეფასების პროცესში. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო დგას არა გამოყენებული ღონისძიების პროპორციულობის შემოწმების საჭიროების, არამედ თავად გადაცდომის, როგორც ფაქტის დადასტურების აუცილებლობის წინაშე.

ნოტარიუსის თანამდებობა მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციის მატარებელია და მისი როლი განსაკუთრებულია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების თვალსაზრისით, რაც ბუნებრივია

ზრდის ასეთ თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა პასუხისმგებლობის ხარისხს და წარმოშობს ნოტარიუსის საქმიანობაზე მკაცრი სამსახურებრივი ზედამხედველობის აუცილებლობას შესაბამისად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით. აღნიშნულით არის განპირობებული ის, რომ ნოტარიუსის გადაცდომათა სიმძიმე, ხარისხი (გრადაცია) და შესაბამისი პასუხისმგებლობა უშუალოდ კანონმდებლობით არის განსაზღვრული და მოცემულ შემთხვევაში, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში საჯარო ინტერესის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად, საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა, მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამოვლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს. დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა დისკრეციული უფლება-მოსილება არ უნდა იქცეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთადერთ საზომად; დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კა-

ნონიერების მტკუცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას გამოსარკვევია არა მარტო ის, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ ის, თუ როგორ განახორციელა მან აღნიშნული უფლებამოსილება. სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა კი უპირველესად მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ხდება შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ძალზედ მნიშვნელოვანია, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დასასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას 6. ჯისათვის მძიმე დისკიპლინური სახდელის – ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე, ასევე დაცულია თუ არა 6. ჯ-ის მიმართ დისკიპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი. „ნოტარიუსთა დისკიპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის „ა“ პუნქტიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად უნდა დადასტურდეს ამ მუხლით გათვალისწინებული, სანოტარო მოქმედების განხორციელების თანმდევი რომელიმე პირობის არსებობა (ჰქონდა თუ არა ქმედებას მძიმე შედეგი, შესრულებულია თუ არა სანოტარო მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, მორალს და/ან საჯარო წესრიგს).

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ნორმაში აღტერნატიული სანქციის არსებობა მიუთითებს უფრო მეაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღ-

წევის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელია ხ. ჯ-ის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება რატომ ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი გადაცდომისთვის სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, გენერალური ინსპექციის მხრიდან შემოწმებას დაექვემდებარა არა მხოლოდ მოსარჩელე, არამედ სხვა ნოტარიუსებიც და მათ მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახდელის სხვადასხვა ღონისძიებანი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნოტარიუსისათვის უფლებამოსილების შეჩერება უნდა განხორციელდეს იმ შეთხვევაში, როდესაც მისი საქმიანობის შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები ქმნის დაინტერესებული პირების უფლებების შელახვის, მათთვის ზიანის მიყენების მნიშვნელოვან რისკს. ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ნოტარიუსისათვის დროის გარკვეული პერიოდით საქმიანობის აკრძალვის საჭიროება მაღალი ხარისხის დასაბუთებას საჭიროებს, რადგან, როგორც წესი, ფორმალური დარღვევების ერთეული შემთხვევები არ ქმნის სხვა პირთა უფლებების დარღვევის მნიშვნელოვან რისკებს. მხოლოდ იმ ნორმაზე მითითება, რომელიც ორგანოს კონკრეტული სახდელის გამოყენებს უფლებამოსილებით აღჭურავს, ცალსახად არ ქმნის მსგავსი შემზღვდავი სახდელის გამოყენების საკმარის დასაბუთებას და არ ადასტურებს მისი გამოყენების კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აღიარებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ყველა ადამიანის დაბადებით თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან. კანონის წინაშე თანასწორობა, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული კონკრეტული უფლებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპია, რომელიც განსაზღვრავს ძირითადი უფლებებით სარგებლობის ზოგად წესს, უზრუნველყოფს უფლება-თავისუფლებათა განხორციელებას დისკრიმინაციის გარეშე და იცავს ადამიანს უთანასწორო მოპყრობისაგან. კანონის წინაშე თანასწორობის ეს ზოგადი დებულება გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მხრიდან თვითნებობის აკრძალვას, დაუშვებელია ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე პირთა, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებული რაიმე უპი-

რატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრი-მინაციული ზომების მიღება. დისკრიმინაციის აკრძალვას ითვალისწინებს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიც. საკასაციო სა-სამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფ-ლებისა და თავისუფლებების თანაბარ აღიარებას, რომლებიც მიყოფებიან თანაბარ პირობებში, ხოლო მმართველობის კანონიე-რება გულისხმობს, რომ თანაბარ გარემოებებში მყოფ ადამიანებს მიენიჭოთ თანაბარი პრივილეგიები და შესაბამისად, დაეკისროთ თანაბარი პასუხისმგებლობა. ზაკ-ის 4.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში, დაუშვებელია სხვა-დასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. ანა-ლოგიურ დათქმას ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის მი-ნისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებუ-ლების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტიც, რომლის თანახმად, ყველა ნო-ტარიუსი თანაბრად აგებს პასუხს ამ დებულებით გათვალისწინე-ბული დისციპლინური გადაცდომისათვის. ის გარემოებები, რომ-ლებიც მხედველობაში მიღება უფლებამოსილი ორგანოს (თანამ-დებობის პირის) მიერ დისციპლინური სამართალწარმოებისას გა-დაწყვეტილების მისაღებად თანაბრად უნდა იქნეს გათვალისწი-ნებული ყველა სხვა ნოტარიუსთან მიმართებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრე-ბული ბრძანება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელო-ბის მქონე ფაქტობრივი გარემოების დადგენისა და სათანადო გა-მოკვლევის გარეშე. შესაბამისად, ხ. ჯ-ის მოთხოვნასთან მიმარ-თებით, არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხელახა-ლი ადმინისტრაციული წარმოების გამართვის, ასევე, გადაწყვე-ტილებაში მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოე-ბების გამოკვლევისა და მხედველობაში მიღების საჭიროება, რაც ამ ეტაპზე წარმოშობს სადაცვო ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად ბა-თილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების აუ-ცილებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომ-ლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემობის გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ხ. ჯ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძანება – „ნოტარიუსების მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ“ ნოტარიუს ხ. ჯ-ის ნაწილში და მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ხ. ჯ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ხ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ხ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის №67 ბრძანება – „ნოტარიუსების მიმართ დისციპლინური სახდელის შე-

ფარდების შესახებ“ ნოტარიუს ხ. ჯ-ის ნაწილში და მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაცვალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათველა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-830(კ-21)

16 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ჯ...ს“ წარმომადგენელმა 2017 წლის 11 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა შპს „ჯ...ს“ ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 მარტის №03/92 ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ჯ...ს“ საკუთრებაში არსებული ... ფაბრიკა „...ს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 12 სექტემბრის განჩინებით შპს „ჯ...ს“ სასარჩელო მოთხოვნის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, რომლითაც შპს „ჯ...ს“ საკუთრებაში არსებული ... ფაბრიკა „...ს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, შენყდა საქმის ნარმოება დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 28 მარტის განჩინებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 29 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ჯ...ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

...ის და ...ის რაიონების ტერიტორიაზე, ...ის ...ზე ...ის მოპოვების მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ შპს „ჯ...ს“ სახელზე 2008 წლის 3 დეკემბერს გაიცა ...ის მოპოვების ლიცენზია.

2016 წლის 18 ოქტომბერს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონანერის თანახმად, ქალაქ ...ში, ...ის ქუჩაზე მდებარე უძრავ ნივთზე (ს/კ ...) რეგისტრირებულია შპს „ჯ...ს“ საკუთრების უფლება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანებით, ამავე ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს, მათ შორის, ... ფაბრიკა „...ს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ამავე აქტის მე-4 პუნქტით განისაზღვრა ბრძანების ამოქმედდების წესი – გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით 2017 წლის 24 თებერვალს მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით

მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელმაც 2017 წლის 10 მარტის №03/92 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, შპს „კ...ს“ ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად დატოვა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც აქტი კანონიერი იყო, ვინაიდან მოსარჩელის მიერ გაშვებული იყო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ერთოვანი ვადა. შესაბამისად, არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული დასკვნის დასასაბუთებლად მიუთითა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომელიც ადგენს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის ან სიიდან ამორიცხვის შესახებ, აგრეთვე ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის შესახებ ძალაში შესვლის დროს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გამოქვეყნების მომენტიდან. აღნიშნული აქტის ოფიციალურ გაცნობად კი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლით განსაზღვრული აქტის მხარისათვის უშუალოდ გადაცემისაგან განსახვავებული წესი და აღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნება ნიშნავს დაინტერესებული მხარისათვის მის გაცნობას. იმის გათვალისწინებით, რომ სადაც აქტი ეხება ფართო წრეს, მისი გამოქვეყნება ლეგიტიმური საშუალებაა საზოგადოების წევრებისათვის გაცნობის უზრუნველსაყოფად და გულისხმობს ამ აქტების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოქვეყნების დღეს ძალაში შესვლას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 2016 წლის 14 დეკემბერს. ამდენად, სადაც აქტი ძალაში შევიდა გამოქვეყნების დღესვე, საიდანაც უნდა ათვლილიყო მისი გასაჩივრების ერთოვანი ხანდაზმულობის ვადა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სადაც ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული საჩივარი მოსარჩელემ სამინისტროში წარადგინა 2017 წლის 24 თებერვალს, ამ დროისთვის გასული იყო საქართვე-

ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი ერთობის ვადა. აქტებით გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიუთითა დასახელებული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩინა, რომ დასახელებული ფაქტობრივი გარემოები და სამართლებრივი ნორმები, ქმნიდა შპს „ჯ...ს“ ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება შპს „ჯ...მა“ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ივლისის განჩინებით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით შპს „ჯ...ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე მათი სამართლებრივი შეფასება და აღნიშნა, რომ შპს „ჯ...ს“ 2017 წლის 24 თებერვლის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცის მინისტრის 2017 წლის 10 მარტის №03/29 ბრძანება არ ენინააღმდეგებოდა საკითხის მომწერიგებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და იყო კანონშესაბამისი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ჯ...ს“ წარმომადგენელმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად დაადგინეს ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „ჯ...ს“ სადაც ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივარი სამინისტროში წარდგენილი პქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი

ერთოვიანი ვადის დარღვევით.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სასამართლოებმა არასწორად განმარტეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი. მათ აღნიშნეს, რომ 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანება საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 2016 წლის 14 დეკემბერს და გასაჩივრების ვადის დენა დაინტერესული აქტის გამოქვეყნების მომენტიდან, ანუ სასამართლოს შეფასებით, დაინტერესებული მხარისათვის მისი გამოქვეყნება ნიშნავს მის გაცნობას და ვადის დინების დაწყებას. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე, 58-ე და 180-ე მუხლების მოთხოვნებს.

ამასთანავე კასატორი საქმის განხილვის ყველა ეტაპზე მიუთითებდა, რომ იგი, როგორც დაინტერესებული მხარე, არ იყო ჩაბმული ადმინისტრაციულ ნარმოებაში, რის გამოც ვერ შეძლო ნარედგინა თავისი მოსაზრებები, მტკიცებულებები და შუამდგომლობები. აღნიშნულის ვალდებულება კი ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნდათ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 95-ე მუხლების საფუძველზე. დასახელებულ გარემოებებზე მითითებით, კასატორი მიჩნევს, რომ სადაც აქტი უკანონოა და არ ქმნის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის მოთხოვნის შემადგენლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული შპს „ჯ...ს“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განჩინებით შპს „ჯ...ს“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამავე განჩინებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ჯ...ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ჯ...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილებელ შემთხვევაში სადაც საკითხს წარმოადგენს შპს „ჯ...ს“ ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერება, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისთვის კანონით დადგენილი ერთოვიანი ვადის დარღვევის საფუძვლით. ამდენად, თავდაპირველად გარკვევას საჭიროებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის საკითხი, ვინაიდან გასაჩივრების ვადის ათვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც პირს შეექმნება ობიექტური შესაძლებლობა – მიიღოს ინფორმაცია აქტის შინაარსის შესახებ. აქტის ოფიციალურად გაცნობით პირისთვის ცნობილი ხდება რა გახდა აქტის გამოცემის საფუძველი და შესაბამისად, ექნება თუ არა პერსპექტივა მის საჩივარს, აგრეთვე ის, თუ რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რა არგუმენტით უნდა დაუპირისპირდეს გადაწყვეტილებას (სუსგ 10.10.136. საქმე №ბს-854-836(კ-12) გადაწყვეტილება).

აქტის ოფიციალური გაცნობის მიზნებისთვის კი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის №ბს-770-762(კ-15) გადაწყვეტილებაზე, სადაც განმარტებულია, რომ „...ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, რომლის მიმართაც არის იგი გამოცემული, კანონმდებლობის კატეგორიული იმპერატივია, ვინაიდან აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესასატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი – წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება, ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით (სზაკ-ის 54-ე მუხ.). აქტის ძალაში შესვლის მომენტის დადგენა მნიშვნელოვანია აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დაცულობის გარკვევისათვის. სწორედ აქტის ძალაში შესვლით ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობით იწყება მისი გასაჩივრების ვადის ათვლა, გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალეობების წარმოშპბა, შეცვლა ან შეწყვეტა. შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა. აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსს გაცნობას, თუმცა გასაჩივრების ვადის დინება არ იწყება მაშინაც კი, როდესაც პირისთვის აქტის შინაარსი ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროდან ან თუნდაც აქტის პროექტის ან იმ მასალების გაცნობიდან, რომლის საფუძველზე შემდგომში გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“.

ამრიგად, საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს იმ თარიღიდან, როდესაც პირისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო აქტის შინაარსი და მისი გამოცემის საფუძვლები. თუკი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელდება აქტის ისეთი სახით გაცნობა, როცა დაინტერესებული პირისთვის ცნობილი არ იქნება ამ აქტის გამოცემის საფუძვლების შესახებ, აღნიშნული მიუთითებს მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების არასრულყოფილებაზე, რაც შედეგობრივად არ უნდა აისახოს დაინტერესებული პირის კანონიერ უფლებებზე, ასევე არ უნდა შეიზღუდოს ამ უფლებების რეალიზება. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ჯ...ს“ ქონებისთვის – ... ფაბრიკა „...ისთვის“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება ისე განხორციელდა, რომ იგი არ მიიწვიეს ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისად, მისთვის ცნობილი არ იყო აღნიშნული წარმოების მიმდინარეობის შესახებ, ასევე არ იცნობდა აქტის გამოცემის საფუძვლებსა და მის შინაარსს. ამდენად, საკასაციონ პალატის თვალსაზრისით, ვინაიდან შპს „ჯ...“ ადმინისტრაციულ წარმოებაში არ იყო ჩაბმული, აღნიშნული წარმოების შედეგად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა ვერ დაუკავშირდება ამ ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შედეგად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ წარმოებაში მოსარჩელის დაინტერესებულ მხარედ მიუწვევლობის შედეგებს, საკასაციონ პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მიღლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება, ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება, დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას (იხ. სუსგ 29.12.2014წ. განჩინება, საქმე №ბს-69-67(კ-14)).

საკასაციონ სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ად-

მინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშექრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – ნესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილეობი.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანებით, ამავე ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს, მათ შორის, ... ფაბრიკა „...ს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რომელიც საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 2016 წლის 14 დეკემბერს. შპს „ჯ...მა“ 2017 წლის 24 თებერვალს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მოითხოვა ზემოაღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ჯ...ს“ საკუთრებაში არსებულ ... ფაბრიკა „...ს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. მოსარჩელის მიერ სადაც ეცეული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2017 წლის 10 მარტის №03/92 ბრძანებით განუხილველად იქნა დატოვებული შპს „ჯ...ს“ 2017 წლის 24 თებერვლის ადმინისტრაციული საჩივარი იმ საფუძვლით, რომ განმცხადებელმა გაუშვა აქტის გასაჩივრებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი ერთოვანი ვადა, თუმცა ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს არ უმსჯელია საკითხზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანების გამოცემისას, რომლითაც შპს „ჯ...ს“ საკუთრებაში არსებული ... ფაბრიკა „...ს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, იყო თუ არა მოსარჩელე მიწვეული ადმინისტრაციულ წარმოებაში, მიეცა თუ არა მას საშუალება, გამოეთქა თავისი მოსაზრებები და წარედგინა მტკიცებულებები. საქმეში წარმოდგენილი მასალებით კი არ დასტურდება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება შპს „ჯ...ს“ მოწვევითა და მონაწილეობით.

საქასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმი-

ნისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდიკიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მოხანილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაინტერესებული პირის მოხანილეობის სავალდებულობა განპირობებულია იმით, რომ მხარეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მიეცეს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მისაღები აქტის მიმართ, ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტა. აღნიშნული პრინციპი გამყარებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლითაც, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაიტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. გამოხაკლისა დაგენს კანონი. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მოხანილეობა საქმეში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 9 დეკემბრის №2/436 ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციული წარმოების სავალდებულო მოთხოვნების დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 95-ე მუხლების მოთხოვნები ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სავალდებულო მონაწილეობის, მისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლების უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული ფაქტი კი ყურადღების მიღმა დარჩა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე საქმის განხილვის ყველა ეტაპზე აღნიშნავდა, რომ იგი არ იყო მიწვეული ადმინისტრაციულ წარმოებაში, მიღებული აქტი კი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მსა „ჯ...ს“, რადგან აღნიშნული აქტით ხდებოდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სტატუსის შეცვლით თავისუფალი სარგებლობისა და განკარგვის შეზღუდვა, რაც საქართველოს კონსტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვას გულისხმობდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევა-

ში ყოველგვარ სამართლებრივ აზრს მოკლებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 მარტის №03/92 ბრძანებით შპს „ჯ...ს“ ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვება იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მხარეს გამვებული ჰქონდა აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ერთოვანი ვადა იმდენად, რამდენადაც საჩივრის ავტორი ითხოვდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას იმ საფუძვლით, რომ იგი ადმინისტრაციულ წარმოებაში არ იყო მიწვეული, რის გამოც მის საკუთრებაში არსებულ ... ფაბრიკა „...ს“ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. აღნიშნულმა ფაქტმა კი გამოიწვია მისი საკუთრების სხვა სამართლებრივ რეზუმში გადაყვანა და გარკვეული უფლებების შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით მოწესრიგებულ – „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებაზე“, რომლის მიხედვით, მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილება – განახორციელოს ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწყვეტის ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრების ადმინისტრაციული წესი იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულმა ორგანომ თავადვე გამოასწოროს საკუთარი შეცდომა, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების მთავარ მახასიათებელს, საერთო მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსთვის და აძლევს დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას, მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა. სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლში განხორციელებული ჩანაწერი, რომლის შესაბამისადაც, დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს განხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემითანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსა და პირებს შორის არსებობს უფლება-მოსილებათ დისპალანსი, მათ შორის ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს, რაც გამოვლენას პპოვებს, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაში საკუთარ გადაწყვე-

ტილებებსა თუ მოქმედებებზე განახორციელოს თვითკონტროლი და, მეორე მხრივ, იძლევა შესაძლებლობას ამ მოქმედებათა სრული ციკლი მოექცეს სასამართლო კონტროლქვეშ. ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის მიზანს წარმოადგენს უფლებებში ეფექტური აღდგენა და სადაც აქტისა თუ ქმედების კანონირების გადასინჯვით მისთვის სასურველი მდგომარეობის აღდგენა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ფორმალური მიდგომის საფუძველზე, მხოლოდ აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილ ვადის დარღვევაზე მითითებით, გამორიცხეს მითითებული საკანონმდებლო დაწარმეტების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დავა არ არის სწორად გადაწყვეტილი, ვინაიდნა წარმოდგენილი სარჩელი არის საფუძვლიანი, მას „ჯ...ს“ ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 მარტის №03/92 ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის გათვალისწინებით, არსებობს სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სრულად ბათილად ცნობის წინაპირობები. ამდენად, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოდგენილი სარჩელი დაკამაყოფილდება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში უზდა იმსჯელოს, ერთი მხრივ, ... ქართანა „...ისთვის“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების კანონიერებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი მუხლებით განმტკიცებულ – ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის დაინტერესებულ პირად მიუწვევლობის შედეგებზე.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასა-

ციონ ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სა-სამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწ-ყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილეველ შემთხვევაში, შპს „ჯ...ს“ სარჩელის სრულად დაკ-მაყოფილების პირობებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოსარჩელის სასარ-გებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინ-სტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სა-სამართლოში გადახდილი 150 ლარისა და საკასაციო სასამართლო-ში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლე-ბით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „ჯ...ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ჯ...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის გა-ნუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 მარტის №03/92 ბრძანე-ბა;
5. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სა-მინისტროს (საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტური-სა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლების) დაევალოს შპს „ჯ...ს“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა;
6. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სა-მინისტროს (საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტური-სა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლების) „შპს „ჯ...ს“ (ს/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდათი) ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული  
თანხის უკან დაპატიჟის მოთხოვნისა ჯარიმის  
დაკისრების კანონიერება**

**გადაცემისთვის  
საქართველოს სახელით**

№ბს-425(2კ-22)

10 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს „ს...ის“ წარმომადგენელმა 2018 წლის 23 მაისს სარჩელით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების საა-  
გენტოს მიმართ და სს „ს...ის“ მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის  
დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატო-  
რიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლე-  
ებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკების) შევსე-  
ბის მდგომარეობის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების საა-  
გენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შე-  
მოწმების აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის №04-156/ო ბრძანებით შექმნი-  
ლი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრა-  
მის პირობების შესრულების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებ-  
ლის მხრიდან წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების გან-  
მხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 2 მაისის  
№04/25462 გადაწყვეტილების (რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს  
„ს...ის“ 2018 წლის 9 თებერვლის და 27 თებერვლის ადმინისტრაცი-  
ული საჩივრები) ბათილად ცნობა მოითხოვა.

ამავე სარჩელით მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის უზრუნ-  
ველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და სარჩელის უზ-  
რუნველყოფის მიზნით, სადაც აქტების მოქმედების შეჩერება მო-  
ითხოვა.

სარჩელის მიხედვით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-

ტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის თანახმად, შემოწმდა სს „ს...ში“ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გეგმური ამბოლატორიული მომსახურების მისაღებად 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდში რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შესეხული თანხმობის ფორმები, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად. შემოწმება დაიწყო 2017 წლის 31 ოქტომბერს და დამთავრდა 2017 წლის 30 ნოემბერს. თემატური შემოწმების შედეგად, შემოწმებელი ჯგუფის მიერ 10 პუნქტად „გამოვლენილი“ ე.წ. დარღვევა/ნაკლოვანებებისათვის სს „ს...ს“ დაერიცხა საჯარიმო სანქციები, ჯამურად – 276660.53 ლარის ოდენობით. მათ შორის, უკან დაბრუნებას დაექვემდებარა – 90000.95 ლარი, ხოლო დამატებითმა ფინანსურმა ჯარიმაშ შეადგინა – 186659.58 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, იგი არ დაეთანხმა ზემოაღნიშნულ თემატურ შემოწმების აქტს, ადმინისტრაციული საჩივრები შეიტანა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და სს „ს...ში“ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკის) შევსების მდგომარეობის შემოწმების 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 აქტის ბათილად ცნობა, მასში ცვლილებების შეტანა და ზედმეტად დარიცხული საჯარიმო სანქციების გაუქმება მოითხოვა, თუმცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის №04-156/ო ბრძანებით შექმნილი „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ პირობების შესრულების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 2 მაისის №04/25462 გადაწყვეტილებით სს „ს...ის“ 2018 წლის 9 თებერვლის №13709 და 2018 წლის 27 თებერვლის №19734 ადმინისტრაციული საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 მაისის განჩინებით სს „ს...ის“ სარჩელი, ასევე შუამდგომლობა სადაც აქტის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მაისის განჩინების თანახმად, თბილისის

საქალაქო სასამართლოსა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად მოცემული საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივლისის განჩინებით სს „ს...ის“ სარჩელი, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 14 ივლისის განჩინებით სს „ს...ის“ შუამდგომლობა – სადაც აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე, დაკმაყოფილდა; შეჩერდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის მოქმედება მოცემულ დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 14 ივლისის განჩინება; სს „ს...ის“ შუამდგომლობა – გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის) მოქმედების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2020 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „ს...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტი, ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 2 მაისის №04/25462 გადაწყვეტილება (რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს „ს...ის“ 2018 წლის 9 თებერვლის და 27 თებერვლის ადმინისტრაციული საჩივრები).

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის შესაბამისად, შემოწმდა სს „ს...ის“ მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაც-

ვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შედგენილი თანხმობის ფორმის (ქაცრი ალრიცხვის ბლანკის) შევსების მდგომარეობა. შემონმებამ მოიცვა 2013 წლის 28 ოქტომბერ-ვლიდან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდი. თემატური შემონმების შედეგად, შემონმებელი ჯგუფის მიერ 10 პუნქტად გამოვლენილი დარღვევა/ნაკლოვანებებისათვის სს „ს...ს“ დაერიცხა საჯარი-მო სანქცია, ჯამში – 276660.53 ლარის ოდენობით. მათ შორის, უკან დაბრუნებას დაექვემდებარა 90000.95 ლარი, ხოლო დამატებითი ფინანსურმა ჯარიმა შეადგინა 186659.58 ლარი;

– სადაცო თემატური შემონმების აქტის 7.1 პუნქტის თანახმად, დასტურდება, რომ შესამონმებელ პერიოდში სს „ს...ს“ მიღება-ჩა-ბარების აქტებით მიღებული აქვს 32550 ცალი საყოველთაო ჯან-მრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბოლატო-რიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმა, მათ შორის, 117 გაუქმდებულია სხვადასხვა მიზეზების გამო, ხოლო 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სამედიცინო დაწესებულებაში სპეცი-ალურად გამოყოფილ საცავში შენახულია 270 ერთეული მოსარ-გებლის შეუვსებელი თანხმობის ფორმა;

– იმავე აქტის 7.2 პუნქტის თანახმად, ბენეფიციარების რეგის-ტრაციის მოდულში (ელექტრონული ჯანდაცვა) 2017 წლის 1 ივნი-სის მდგომარეობით დაწესებულებაში რეგისტრირებული იყო 38434 (სულ – 82004 ჩანანერი, მათ შორის, აქტიური – 29321, პასიური – 52683) მოსარგებლე, მათ შორის, ძირითადი კონტინგენტის (მითი-თებული კონტინგენტის გრაფაში ინტერება დაწესებულებაში და-რეგისტრირებული ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა, რომლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამბოლატორიული მომსახურების მისაღებად სამედი-ცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმაში დაფიქსირებული ფაქტობრივი მისამართი არის ქალაქში ან დაბაში) რაოდენობა – 14276 (29032 ჩანანერი), ხოლო დამატე-ბითი კონტინგენტის (მითითებული კონტინგენტის გრაფაში ინტე-რება დაწესებულებაში დარეგისტრირებული ბენეფიციარების ჯა-მური რაოდენობა, რომლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამბოლატორიული მომსახუ-რების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმაში დაფიქსირებული ფაქტობრივი მისამართი არის სოფელში) რაოდენობა – 24158 (52972 ჩანანერი), აღნიშნული მონაცემების შემონმებით დადგინდა, რომ სს „ს...ს“ მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრა-

მის გეგმური ამბოლატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების საანგარიშგებო ფორმაში 2422 ბენეფიციართან მიმართებით (3917 შემთხვევა) ძირითად კონტინგენტში დარეგისტრირებული პაციენტების ფაქტობრივ მისამართად დაფიქსირებულია სოფელი (მათ შორის, აქტიური პაციენტის შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 928, ხოლო პასიური პაციენტების შემთხვევების რაოდენობამ – 2989). აღნიშნულ მოსარგებლებზე მიმწოდებლის მიერ ზედმეტად მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 35387.28 ლარი.

– 7.3. პუნქტის თანახმად, 466 შემთხვევაში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სპეციალურ ელექტრონულ მოდულში მოსარგებლები რეგისტრირებული იყვნენ მოსარგებლის თანხმობის ფორმის შესრულებაში;

– 7.4. პუნქტის თანახმად, 713 შემთხვევასთან მიმართებით თანხმობის ფორმები არასრულყოფილადაა შევსებული;

– 7.5. პუნქტის თანახმად, 539 შემთხვევაში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სპეციალურ ელექტრონულ მოდულში და თანხმობის ფორმაში დაფიქსირებული მონაცემები (სახელი, გვარი) ერთმანეთს არ შეესაბამება;

– 7.6. პუნქტის თანახმად, 784 შემთხვევაში თანხმობის ფორმებზე განხორციელდა შესწორებები, რომლითაც მიმწოდებლის მიერ დაირღვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის №01-19/6 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების №01-50/6 ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი (მკაცრი აღრიცხვის ფორმა უნდა შეივსოს სრულყოფილად. დაუშვებელია მასში ჩანაწერის წაშლა, ჩასწორება და/ან მოშორება კორექტორის დახმარებით);

საქმის მასალების მიხედვით, ასევე დადგენილია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემონბების აქტზე სს „ს...ს“ მიერ 2018 წლის 9 თებერვალს და იმავე წლის 27 თებერვალს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები, ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 2 მაისის №04/25462 გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საქექიმ საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლზე, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლზე, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი №1) მე-3, 151.2, მე-18, მე-20 მუხლებზე და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

დასახელებულ ნორმათა საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის 15<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაზე და განმარტა, რომ სანქციის დაკისრება შესაძლებელია ამ მუხლით დადგენილ ვადაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარის იურიდიული პასუხისმგებლობა, თუნდაც მას ჩადენილი ჰქონდეს კანონით დადგენილი ის ქმედება, რომლისთვისაც ნორმით გათვალისწინებულია სანქცია, ამ ვადის გასვლის შემდეგ არ დადგება. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან შემოწმების აქტი შედგენილია 2017 წლის 20 დეკემბერს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სწორედ ამ თარიღიდან უნდა დაეწყო კონტროლის განხორციელებისათვის ნორმატიული აქტის ძევლი რედაქციით დადგენილი სამწლიანი ვადის უკუათველა, ამასთანავე, ვინაიდან გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შევსებული თანხმობის ფორმების შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდს, 2014 წლის 20 დეკემბრამდე არსებულ შემთხვევებზე სააგენტოს სამედიცინო დაწესებულების მიმართ პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს. მითითებული გარემოების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო აქტით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების მართლზომიერების შემოწმება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ 2014 წლის 20 დეკემბრიდან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდში სააგენტოს მიერ შემოწმებულ თანხმობის ფორმებთან მიმართებაში.

რაც შეეხება გასაჩივრებული შემოწმების აქტის შინაარსს, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სადავო პერიოდში შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების ძირითადი ნაწილი უკავშირდება ტექნიკურ ხარვეზებს, რომელთა არსებობის მიუხედავად, სამედიცინო დაწესებულებაში აღირიცხა არა ერთი ბენეფიციარი და მათი დიდი ნაწილისათვის განეულ იქნა სამედიცინო მომსახურება. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ უმთავრეს მიზანს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის საქართველოს მოსახლეობის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა წარ-

მოადგენს, ხოლო სააგენტო სწორედ ამ მიზნის მიღწევის თვალ-საზრისით, შექმნილი ორგანოა, სადავო საკითხთან მიმართებაში, მას გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული ისეთი ზიანის არსებობა, რამაც აუცილებლად უნდა წარმოშვას შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების სანქცირების საფუძველი, შემოწმების აქტში მხოლოდ გამოვლენილი ხარვეზების ფაქტების სახით ასახვა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც თანხის დაკისრება განხორციელდა სამედიცინო დაწესებულებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სს „ს...ის“ მიერ შედგენილი, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკის) შევსების მდგომარეობის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტი. აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობის პირობებში კი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის, 185-ე, 201-ე მუხლების საფუძველზე, ასევე უკანონოდ იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის №04-156/ო ბრძანებით შექმნილი „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ პირობების შესრულების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 2 მაისის №04/25462 გადაწყვეტილებაც.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2020 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის საოქმო განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო. აღნიშნული განჩინება მანვე გაასაჩივრა კერძო საჩივრით და აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებებით ანალოგიურ დავებში სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მოპასუხედ ჩაერთო სსიპ სამედიცინო დაცვის სახელმწიფო კოდების შესრულების მდგრადი დაგენერირების მიზანით გადაწყვეტილებაც.

დიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში მხოლოდ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო არ წარმოადგენს უფლებამონაცვლეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ივნისის განჩინებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი დაკავშირდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განჩინება და მოცემულ საქმეში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლებად ჩაბმულ იქნენ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლების) სააპელაციო საჩივარი არ დაკავშირდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სადაც ურთიერთობაზე ხანდაზმულობის ვადად სამი წლის გავრცელების შესახებ და ამ ვადასთან მიმართებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ დადგენილ პრაქტიკაზე; კერძოდ, საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ კანონის შეფარდებისას სასამართლო იყენებს ფაქტობრივი გარემოებების ხდომილებისას არსებულ კანონს და არა საკითხის გადაწყვეტილისას მოქმედ კანონს (საქმე №ბს-1013-599(კ-05); საქმე №ბს-672-658(კ-12); საქმე №ბს-618-606(კ-12); საქმე №ბს-849-831(კ-12); საქმე №ბს-57-52(კ-13)).

რაც შეეხება შემოწმების აქტის 7.2 პუნქტში მითითებულ ძირითად და დამატებით კონტინგენტში დასარეგისტრირებელ პაციენტთა აღრევის საკითხს, სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, პროგრამის მოსარგებლის ძირითად თუ დამატებით კონტინგენტში აღრიცხვას მნიშვნელობა გააჩნია სახელ-

მწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ოდენობის თვალსაზრისით, კერძოდ, ძირითად კონტინგენტად (ქალაქად რეგისტრირებული) მიჩნეული პროგრამის მოსარგებლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება გარკვეულწილად აღემატება დამატებით კონტინგენტში (სოფლად რეგისტრირებული) აღრიცხული პირების დაფინანსებას, რაც გამოწვეულია ამ უკანასკნელთა მიმართ საცხოვრებელ ადგილზე დამატებითი საექიმო მომსახურების არსებობით. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მასზედ, რომ მხოლოდ შემოწმების აქტში ამ გარემოებაზე მითითება არ წარმოადგენდა მისი უტყუარად მიჩნევის წინაპირობას, მით უფრო მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან მისი სადავოობის პირობებში. სადაც აქტით გამოვლენილი დანარჩენი შემთხვევები სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად მიიჩნია ტექნიკურ ხარვეზად, რომელთა არსებობის მიუხედავად, არ დადასტურებულა ზიანის მიყენების ფაქტი, რასაც უცილობლად უნდა წარმოეშვა სამედიცინო დაწესებულების სანქცირების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა დასაბუთებულ არგუმენტაციას გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე, რის გამოც წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „პროგრამის“ მე-4, მე-19, მე-20 მუხლებზე მითითებით, მიიჩნევს, რომ არსებობდა ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების დავალების ყველა წინაპირობა, ვინაიდან სათანადოდ შევსებული და გაფორმებული მკაფიო აღრიცხვის თანხმობის ფორმების არარსებობა განაპირობებს მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების შესაძლებლობას.

კასაციის ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დასახელებული „პროგრამის“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გეგმური ამბულატორიული მომსახურებისათვის პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების დაფინანსება ხორციელდება კაპიტაციური მეთოდით, რა დროსაც ძირითად კონტინგენტში (ფაქტობრივად ქალაქში ან დაბაში მცხოვრები) ერთი მოსარგებლის

მომსახურების ფიქსირებული ღირებულება შეადგენს 1.93 ლარს, ხოლო დამატებით კონტინგენტში (ფაქტობრივად სოფლად მცხოვრები მოსარგებლე) – 1.07 ლარს. დამატებით კონტინგენტის ძირითად კონტინგენტად რეგისტრაცია კი არ შეიძლება წარმოადგენდეს ტექნიკურ ხარჯებს. ასეთ შეცდომას მოჰყვება შესაბამისი ფინანსური შედეგი პროგრამის განხმაორციელებლისთვის, რაც გამოიხატება კაპიტაციური წესით დაფინანსებული თანხის არასწორად და ზედმეტად მოთხოვნაში. ამდენად, დაუსაბუთებელია თემატური შემოწმების აქტით გამოვლენილი დარღვევების ტექნიკურ ხარჯებად შეფასება და ამ საფუძვლით ბათილად ცნობა. სწორედ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ლონისძიებათა შესახებ“ №36 დადგენილებით დასახული მიზნების შესრულებას ემსახურება მომწოდებლის მხრიდან კანონით ნაკისრი ვალდებულების სრულყოფილად შესრულება, რადგან მონაცემების კანონით განსაზღვრული წესით დაფიქსირება, შესაბამის ფინანსურ შედეგს იწვევს პროგრამის განხმაორციელებისთვის, ვინაიდან ძირითადი და დამატებითი კონტინგენტის დაფინანსების პირობები განსხვავდება. ამასთან, ბენეფიციარების ძირითადი და დამატებითი კონტინგენტებში არასწორი რეგისტრაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან დარღვევას, რადგან „პროგრამის“ 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მიმწოდებლის კაპიტაციური წესით დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, ხორციელდება თუ არა კონკრეტულ ტერიტორიაზე „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება. როდესაც ბენეფიციარის ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე მოქმედებს „სოფლის ექიმის“ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, მისი დარეგისტრირება უნდა მოხდეს დამატებით კონტინგენტში.

კასატორი ასევე არ დაეთანხმა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობას სამედიცინო დანესებულების შესამოწმებელი პერიოდის ნაწილობრივ ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, რადგან მიიჩნევს, რომ კანონის უკუქცევით ძალაზე მითითება განსახილველ შემთხვევაში უსაფუძვლოა.

კასატორი – სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო იზიარებს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს კასაციის საფუძვლებს, მიუთითებს მათზე და მიიჩნევს, რომ სადაც თემატური შემოწმების აქტი შედგენილია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ამასთანავე, კასატორის მოსაზრებით, სს „ს...ს“ მართებულად ეთქვა უარი ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2022 წლის 26 აპრილისა და 10 მაისის განჩინებებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლების) საკასაციო საჩივრები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის განჩინებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლების) საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განხილული იქნებოდა არსებითად მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლების) საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სამედიცინო დაწესებულებისთვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნისა და ჯარიმის დაკისრების კანონიერება.

საკასაციო პალატა თავდაპირველად აღნიშნავს, რომ სადავო საკითხს სამართლებრივად აწესრიგებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც იმპერატიულად არეგულირებს შემოწმების განხორციელების ხანდაზმულობის ვადას. მითითებული პროგრამის „(დანართი №1) 15<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულე-

ბის კონტროლის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემთხვევის დასრულებიდან 5 (ხუთ) კალენდარულ წელს. აღსა-ნიშავია, რომ 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 ცვლილებამდე, მი-თითებული დანართის 15<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონ-ტროლის განხორციელების ვადად დადგენილი იყო შემთხვევის დასრულებიდან არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული წელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლობა, მართალია, სადაც სამართალურთიერთობისას კონტროლის ხან-დაზმულობის ვადების ხანგრძლივობას განსხვავებულად არეგუ-ლირებდა 2015 წლამდე და მას შემდეგ პერიოდში, თუმცა მნიშვნე-ლოვანია, რომ კონტროლის განხორციელების ვადის ათვლას ყო-ველთვის უკავშირებდა შემთხვევის დასრულების მომენტს. ამდე-ნად, ხანდაზმულობის გამოსაყენებელი ვადა შემთხვევის დასრუ-ლების მომენტისთვის მოქმედი ნორმით უნდა განისაზღვროს. აღ-ნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „ნორმატიული აქტე-ბის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქცს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, ხოლო 2015 წელს განხორციელებული ცვლილება უკუძალის თაობაზე დათქმას არ შეიცავდა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილების ამოქმედების ვადად განისაზღვრა მისი გა-მოქვეყნება, შესაბამისად, იგი ეხებოდა არა წინარე პერიოდს – 2015 წლამდე დასრულებულ შემთხვევებს, არამედ 2015 წლიდან გან-ხორციელებულ მომსახურებას. სწორედ ამიტომ, 2013 წლიდან 2015 წლის 26 ოქტომბრამდე დასრულებული ანაზღაურებული შემთხვე-ვა შეიძლება შემონმებულიყო მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, ხოლო 2015 წლის 26 ოქტომბრიდან დასრულებული – ხუთი წლის ვადაში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სოციალუ-რი მომსახურების სააგენტომ შეამონება 2013 წლის 28 თებერვლი-დან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდში განხორციელებული მოქმე-დებები, შემონმება კი დაინტ 2017 წლის 31 ოქტომბერს. ამდე-ნად, შემონმებამ სადაცვო შემთხვევაში მოიცვა პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა შემონმების 3-წლიანი ვადა. საკასა-ციო სასამართლო აღნიშნულ შემთხვევაში მართებულად მიიჩნევს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ ხანდაზ-მულობის 5-წლიანი ვადა გავრცელდება მხოლოდ იმ სამართლებ-რივ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა 2015 წლის 27 ოქ-ტომბრის შემდგომ (ზუუ აქტის ძალაში შესვლის შემდგომ). მანამ-დე არსებულ სამართალურთიერთობებზე კი უნდა გავრცელებუ-ლიყო ქველი რედაქციით მოცემული ხანდაზმულობის 3-წლიანი ვა-

და. ამრიგად, დასახელებულ შემთხვევებზე სააგენტოს სამედი-ცინო დაწესებულების მიმართ პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს, რად-გან გასულია ხანდაზმულობის ვადა.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სასამართლოთა მსჯელობას სადაც ურთიერთობაზე ხანდაზმულობის ვადად და სამი წლის გავრცელების შესახებ და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენასი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ კანონის შეფარდებისას სასამართლო იყენებს ფაქტორივი გარემოებების ხდომილებისას არსებულ კანონს და არა საკითხის გადაწყვეტილებისას მოქმედ კანონს (საქმე №ბს-1013-599(კ-05); №ბს-672-658(კ-12); №ბს-618-606(კ-12); №ბს-849-831(კ-12); №ბს-57-52(კ-13)).

რაც შეეხება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალურ კანონიერებას, საკასაციო სასამართლო აღნიშვნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს სადაც თემატური შემოწმების აქტის 7.2 პუნქტის კანონთან შესაბამისობის დადგენა, რის გამოც უზენაესმა სასამართლომ სადაც აქტის კანონიერება უნდა შეაფასოს სწორედ აღნიშნული პუნქტის ნაწილში.

საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ სსიპ სოცია-ლური მომსახურების სააგნტომ 2013 წლის 28 თებერვლიდან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად, შეამოწმა სს „ს...ის“ მიერ საყოველთან ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შევსებული თანხმობის ფორმები. შემოწმების შედეგად 2017 წლის 20 დეკემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგნტომ შეადგინა შემოწმების აქტი, რომლის თანახმად, სს „ს...ის“ სამედიცინო დაწესებულებაში გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: 1. შესამოწმებელ პერიოდში სს „ს...ს“ მიღება-ჩაბარების აქტებით მიღებული აქვს 32550 ერთეული საყოველ-თაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმური ამ-ბოლატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესე-ბულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმა, მათ შორის, 117 გაუქმებულია სხვადასხვა მიზეზების გამო, ხოლო 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სამედიცინო დაწესებულება-ში სპეციალურად გამოყოფილ საცავში შენახულია 270 ერთეული მოსარგებლის შეუვსებელი თანხმობის ფორმა (იხ. აქტის 7.1 პუნ-ქტი); 2. 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, სამედიცინო დაწე-

სებულების ბენეფიციარების რეგისტრაციის მოდულში რეგისტრი-რებული იყო 38434 (სულ – 82004 ჩანაწერი, მათ შორის, აქტიური – 29321, პასიური – 52683) მოსარგებლე, მათ შორის, ძირითადი კონ-ტინგენტის (მითითებული კონტინგენტის გრაფაში იწერება დაწე-სებულებაში დარეგისტრირებული ბენეფიციარების ჯამური რაო-დენობა, რომლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწი-ფო პროგრამის ფარგლებში ამბოლატორიული მომსახურების მი-საღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარ-გებლის თანხმობის ფორმაში დაფიქსირებული ფაქტობრივი მისა-მართი არის ქალაქში ან დაბაში) რაოდენობა შეადგენდა – 14276 ბენეფიციარს (29032 ჩანაწერი), ხოლო დამატებითი კონტინგენ-ტის (მითითებული კონტინგენტის გრაფაში იწერება დაწესებულე-ბაში დარეგისტრირებული ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა, რომლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგ-რამის ფარგლებში ამბოლატორიული მომსახურების მისაღებად სა-მედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თან-ხმობის ფორმაში დაფიქსირებული ფაქტობრივი მისამართი არის სოფელში) რაოდენობა – 24158-ს (52972 ჩანაწერი). აღნიშნული მო-ნაცემების შემოწმებით დადგინდა, რომ სს „ს...ის“ მიერ საყოველ-თაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამ-ბოლატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებუ-ლი მომსახურების საანგარიშგებო ფორმაში 2422 ბენეფიციარის შემთხვევაში (3917 შემთხვევა) ძირითად კონტინგენტში რეგის-ტრირებული პაციენტების ფაქტობრივ მისამართში დაფიქსირებუ-ლია სოფელი, ნაცვლად ქალაქისა (მათ შორის, აქტიური პაციენ-ტის შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 928, ხოლო პასიური პა-ციენტების შემთხვევების რაოდენობამ – 2989), რის გამოც, აღ-ნიშნულ მოსარგებლებზე მიმზიდებლის მიერ ზედმეტად მოთხოვ-ნილმა თანხამ შეადგინა 35387.28 ლარი (იხ. აქტის 7.2 პუნქტი); 3. 466 შემთხვევაში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწი-ფო პროგრამის სპეციალურ ელექტრონულ მოდულში მოსარგებ-ლები რეგისტრირებული იყვნენ მოსარგებლის თანხმობის ფორ-მის შევსებამდე (იხ. აქტის 7.3 პუნქტი); 4. 713 შემთხვევასთან და-კავშირებით თანხმობის ფორმები არასრულყოფილად იყო შევსე-ბული (იხ. აქტის 7.4 პუნქტი); 5. 539 სამედიცინო შემთხვევაში სა-ყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სპე-ციალურ ელექტრონულ მოდულში და თანხმობის ფორმაში დაფიქ-სირებული მონაცემები (სახელი, გვარი) ერთმანეთს არ შეესაბამე-ბოდა (იხ. აქტის 7.5 პუნქტი); 6. 784 შემთხვევაში თანხმობის ფორ-მებზე განხორციელდა შესწორებები (იხ. აქტის 7.6 პუნქტი); 7. 2120 შემთხვევაში თანხმობის ფორმები წარმოდგენილი იყო პირადო-

ბის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის გარეშე (იხ. აქტის 7.7 პუნქტი); 8. 775 შემთხვევაში თანხმობის ფორმაზე მოსარგებლის ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა (იხ. აქტის 7.8 პუნქტი); 9. 25 შემთხვევაში ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებული იყვნენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სპეციალურ ელექტრონულ მოდულში, მათზე შევსებული თანხმობის ფორმები ვერ მოიძებნა (იხ. აქტის 7.9 პუნქტი); 10. ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა ბაზაში უკვე დარეგისტრირებულ ბენეფიციარებზე დამატებით შევსებულია მკაცრი აღრიცხვის თანხმობის ფორმები და აღნიშნული მონაცემები ბაზაში ხელმეორედ არის შეყვანილი (იხ. აქტის 7.10 პუნქტი). შემოწმების აქტის თანახმად, სს „ს...ის“ მიმართ გამოყენებულმა საჯარიმო სანქციების ოდენობამ შეადგინა 176660 ლარი და 53 თეთრი, მათ შორის, უკან დაბრუნებას დაექვემდებარა 90000 ლარი და 95 თეთრი, ხოლო დამატებითმა ფინანსურმა ჯარიმამ შეადგინა 186659 ლარი და 58 თეთრი. ასევე დადგენილია, რომ სს „ს...ის“ წარმომადგენლის მიერ თემატური შემოწმების აქტი გასაჩინოდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომელმაც ადმინისტრაციული საჩივრები არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, გეგმური ამბულატორიული მომსახურებისათვის პროგრამაში მონანილე დანესებულებების დაფინანსება ხორციელდება კაპიტაციური მეთოდით, რომლის დროსაც ძირითად კონტინგენტში (ფაქტობრივად ქალაქში ან დაბაში მცხოვრები) ერთი მოსარგებლის მომსახურების ფიქსირებული ღირებულება შეადგენს 1.93 ლარს, ხოლო დამატებით კონტინგენტში (ფაქტობრივად სოფლად მცხოვრები მოსარგებლე) – 1.07 ლარს. კასატორების მოსაზრებით, დამატებით კონტინგენტის ძირითად კონტინგენტად რეგისტრაცია არ შეიძლება იყოს ტექნიკური ხარვეზი, ასეთ შეცდომას მოყვება შესაბამისი ფინანსური შედეგი პროგრამის განმახორციელებლისთვის, კერძოდ, კაპიტაციური წესით დაფინანსებული თანხის მიმწოდებლის მხრიდან არასწორად და ზედმეტად მოთხოვნა. საკასაციო პალატა შემოწმების აქტში მითითებულ ძირითად და დამატებით კონტინგენტში დასარეგისტრირებულ პაციენტთა აღრევის საკითხთან დაკავშირებით კასატორების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მართებულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, პროგრამის მოსარგებლის ძირითად თუ დამატებით კონტინგენტში აღრიცხვას მნიშვნელობა

გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ოდენობის თვალსაზრისით, კერძოდ, ძირითად კონტინგენტად (ქა-ლაქად რეგისტრირებული) მიჩნეული პროგრამის მოსარგებლეების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება გარკვეულნილად აღემატება დამატებით კონტინგენტში (სოფლად რეგისტრირებული) აღრიცხული პირების დაფინანსებას, რაც გამოწვეულია ამ უკანასკნელთა მიმართ საცხოვრებელ ადგილზე დამატებითი საექიმო მომსახურების არსებობით. თუმცა აღნიშნულ საკითხზე საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მხოლოდ შემოწმების აქტში ამ გარემოებაზე მითითება არ წარმოადგენს მისი უტყუარად მიჩნევის წინაპირობას. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული და შეფასებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სამედიცინო დაწესებულებაში დაცული მკაცრი აღრიცხვის ბლანკების შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების ტექნიკურ ხასიათის დარღვევებად მიჩნევის საკითხზე, ამავდროულად მიიჩნია, რომ არსებული დარღვევების მიუხედავად, სამედიცინო დაწესებულების ბენეფიციარებს გაენიათ შესაბამისი მომსახურება, თუმცა აღნიშნული დასკვნები გააკეთა იმ პირობებში, როცა სადავო აქტის 7.2 პუნქტში მითითებული გარემოებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ გამოკვლეული და შეფასებული არ იყო. კერძოდ, არ შეფასებულა აღნიშნული დარღვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა თუ არა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გამართულ ფუნქციონირებაზე, დაფინანსების პირობებზე, ასევე მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ ნებისმიერი მიზეზით, არა-მიზნობრივად და პროგრამის პირობების დარღვევით განმახორციელებლისთვის მოთხოვნილი თანხა, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა თუ არა აღნიშნული პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას.

ამრიგად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ ნაწილში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემობათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არ-სებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის 7.2 პუნქტი და დაევალოს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმავე კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის №04-156/ი ბრძანებით შექმნილი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირობების შესრულების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 2 მაისის №04/25462 გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის 7.2 პუნქტთან მიმართებაში, ვინაიდან ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს/თანამდებობის პირს წარმოეშვება საკითხის კიდევ უფრო სრულად და დეტალურად შესწავლის ვალდებულება, რაც სადაც აქტის 7.2 პუნქტთან მიმართებაში ჯეროვნად არ შესრულებულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის თანახმად, არსებობს მითითებულ ნაწილში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

რაც შეეხება სადაც თემატური შემოწმების აქტის დანარჩენ პუნქტებს, საკასაციო სასამართლო აღნიშნულ ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გამოვლენილია ძირითადად ტექნიკური ხასიათის დარღვევები, ხოლო სამედიცინო დაწესებულების მიერ ბენეფიციარებისთვის სამედიცინო მომსახურების არასათანადოდ გაწევის, ან მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევები არ არის გამოვლინილი, არ დასტურდება, რომ ტექნიკურ ხარვეზებს მოჰყვა სამედიცინო დაწესებულების-თვის დაკისრებული უმთავრესი მოვალეობის – პაციენტთა მდგო-

მარეობაზე სათანადო რეაგირების დარღვევა, არ დასტურდება ისეთი ზიანის არსებობა, რასაც შედეგად აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა სამედიცინო დაწესებულების სანქცირება. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ მსგავსი დარღვევების გამოვლენის გამო დაწესებულების სანქცირება უსაფუძვლოდ იქნა შეფასებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 მაისის №ბს-671(კ-19) განჩინებითაც.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ ფაქტებზე მითითებით ვერ უზრუნველყოფს თავისი პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის განაწილებას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე წანილის მიხედვით, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამრიგად, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსა და სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლებს) სს „ს...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის აანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-10 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სამე-

დიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლების) საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სს „ს...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის 7.2 პუნქტი და დაევალოს სისპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს აღნიშნულ ნაწილში საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015 წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილა სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 2 მაისის №04/25462 გადაწყვეტილება სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 დეკემბრის №2017/20/12/02 თემატური შემოწმების აქტის 7.2 პუნქტან მიმართებით;

6. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინება;

7. სსპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს და სისპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სს „ს...ის“ სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი) ლარის ანაზღაურება;

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)